


კვირის პალიტრა



მზა

„კუმანური“
სიკვდილის
მანქანა

N5(34) . 1/II. - 7/II.2001 .

ფასი 60 ლ.

1168
2001

ენგურკვას
ინსტრუქციის
დარღვევით
ამუშავევენ

ოჯახური
ბედნიერების
სიგნალები

მთავარი თემა:

მუცელი



„ფანტაზია“



მომთვინიარებელი

„ფანტაზიორობს“
გაითხვადი



— გარედან გაინს
გადავწვინდო გვვარი

მინიატურები

ნებარ არიან მორწმუნენი... 3

ენერგეტიკა

ღენი არ არის, გაბრამ მისი
ფასი მაინც იგრძება 4

ქონულიატი

მორიგი რაუნდი 6

საზოგადოება

რა ხდება „სასწრაფო
დახმარებაში“ ანუ რა
სარგებლობა მოაქვს „ალღას“? 9

ქოლორიტი

„ცოტას ვჭამ, გაბრამ თხუთმეტ
ლიტრამდე ღვინოს ვსვამ“ 11

მთავარი თემა

- გასტრონომიული ფლირტი 14
- საკვები, გვიმე წონა და
გინესის რეკორდების წიზნი 17
- ქართველებს ღივი ეგრძებათ,
ამერიკელებს კი... 18
- ჯარა-ეჭიმი გურიიდან 19

საპარკოსნები

რას მიირთმევს პარლამენტი?! 20

რჩევები

ბრენკაპის ღარიბეგები 21

ანტიდარკუნატი

ინფორმაციულ-შეფხვანებითი
კოლაჟი გონა ღვალის
უბის წიგნაკიდან 22

ნაფიქლი ანგაჟი

რით ვბავს კინტოს
„მარშრუტის“ მკლელი 22

კრიტიკა

„არტურმა მამაჩემი გალაკონა,
მერე კი სხვაგან წაიყვანა...“ 24

აღაღანი

„მე სანაგვეთის მოქალაქე ვარ!“ 26

შაჟონათ თქვენი ყოფნა

ტესტი ერუდიციაზე 28

გაგები და შვილები

„რგო აღაღიას სახელი
პოლიციელებთან ურთიერთობისას
გამომდგომია“ 29

სიზარული

ოჯახური ბელნიერების
სიმბოლოები 30

ფსიქოლოგიური თემა

შეგიძლიათ თუ არა მუშაობა
სწრაფად და ყურადღების
კონცენტრირებით 31

სამართ

ეს საოსარი ფესსაცემლები 32

მორიგი რაუნდი

1168
2001



„24 იანვარს მომხდარი სკან-
დალი, მასმედიაში კოლეგიალური
კუთხით გააშუქა, მწერლები-
სთვის კი ტელევიზიის კარი და-
კეტილი აღმოჩნდა“ – აცხადე-
ბენ უკმაყოფილო კალმოსნები.

6

**ქართული ფესხვრტის
მობრფილა**

„გამოჩენილ კომპოზიტორს
განსაკუთრებით უყვარდა 50-60-
იანი წლების თბილისის „დინა-
მო“. მის არქივში სრულიად ახ-
ალგაზრდა მიხეილ მესხისა და
შოთა იამანიძის პაგარა ფოტო-
სურათებიც აღმოვაჩინე.“



46

**სასიგდილოდ ნანეში
ორი უბილის მამა**



ყალაბეგაშვილი და ჯანიაშ-
ვილი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ.
ამბობენ, მათ ერთმანეთთან საკ-
მაოდ კარგი, თბილი ურთიერთო-
ბა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, მათ
შორის მომხდარმა ერთმა გაუგე-
ბრობამ ეს ურთიერთობა საღის-
ტურ მკვლელობამდე მიიყვანა.

24

რას მიირთმევს პარლამენტი?!

პარლამენტარები ორ კატეგო-
რიად დაყვეს: „უბრალოებად“ და
„ელიგარებად“. პირველი კატეგო-
რია კადრულობს ბუფეტში „შე-
ბრწყინებას“. მეორეს კი კაბინეტ-
ში ლანგრით უნდა მიართვან
სადილიც და ყავაც.



20

სამართლებრივი
მედიაციის
ბიბლიოთეკა

წინდაწინ

წინდაწინ მღვდელმონაქვე აბიბოს ნაქრესელი 34

შეჩერებული წამი

ღელათბილისი - ელენე ახვლედიანის სიმონსლა 35

ესტრადა

„ქართველი ყველაფერში წინ უნდა იყოს, განსაკუთრებით - სიმღერაში!..“ 36

პროგრესი

რით შეველით XXI საუკუნეში 38

ქართველები

ბელი უბელურისა ანუ კიდევე ერთი რეპრესირებული ქართველი მწერალი 41

გუგუნი

მსხვერპლად ქმეული ჯალათები 44

რეპორაჟი

ქართული ფეხბურთის მოტრფიალე ღმობრი მოსტაკოვიჩი 46

გომონდი

49

უსაიზავი

რევაზ ლაღიძე: - მე ყოველღღე ვსხოვრობო... 50

პარსკვლავი

მერილ სტრიკი: მე არ ვარ ნამღვილი მსახიობი 52

ნოქლა

ლადო ნაპირელი. გავიმაჩვიეთ?! 54

სასარგებლო ახრები

აფორიგებების ენციკლოპედია 55

ავტო

56

ბედისწერა

მგზნებარე კურტიზანი ღა სივისისსლიანი მკვლელი 58

ტესტი

ერთგული მკითხველი 60

საანოცრი

61

ჰოროსკოპი

კვირის (5-11 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ხართ თუ არა ღამოუკიდებელი? 63

კალიფოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გავით „კვირის კალიტრის“ ღამატვა. ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის ახრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის ახრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გოჩა ტყემელაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“

„მე ყოველღღე ვსხოვრობო“



ბაღღებიც ყოველღღის ჰყავღღა. გუღამაყარში ნაღირობღღენ თურმე. საღამოს ტყეში კოცონი ღაუნთიათ. კომპოზიტორის გონებაში მეღღოღღა გაყღღერებულა...

50

ქართველღღს ღიპი მღრღეგატი, ამერიკეღღს კი ...

მეცნიერებაში ამას ჭარბი წონის პრობლემა ეწოღღება. ამერიკაში ჭარბი წონა სხეუღღის უკანა ნაწიღღის ბრღღაში უფრო ვღღინღღება... ჩვენში კი, რაგომღღაც, ღიპი იზრღღება.



18

მსხვერპლად ქმეული ჯალათები



სასიკვეღღლო განაჩენის სისრულეში მომყვანნი იმიოტ ტრახახობღღენ, რომ თვიოტონ ისინი არაღღვითარ შემთხვევაში არ აღმოჩნღღებოღღენ მსხვერპლთა აღვიღღბე. თუმცა, სინამღღვიღღეში სხვაგვარად მოხღღდა.

44


გავიღღმარჯვეღღით?!

- ჩვენ სამართლიანად გავიღღმარჯვეღღით! - გრახახობღღა ვიღღაც უუნქციონერი. ბიჭებს მეღღებღღე - თრივეს ცრემლი უბრწყინაღღვაღღა თვაღღებში ღა ყბეღღი უკანკაღღებღღა.



54

ნეჯარ არიან მორწმუნენი...



დიდი ამბებია იელოველებისა და სხვა სექტების „მოღვაწეობასთან“ დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში...

ისე, კაცმა რომ თქვას, მე სულაც არ ვეთანხმები იმ ვითობადა ჭეშმარიტ მორწმუნეებს, რომლებიც ე.წ. „არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების“ აკრძალვას მოითხოვენ და, მით უმეტეს, არც იმათ, ვინც არბევს და აწიოკებს ამ „პატიოსან“ ხალხს – ადამიანი თავისუფალია აღმსარებლობის არჩევაში და არ სჭირდება ამას არავითარი „ადამიანის უფლებათა დეკლარაცია“ და ევროსაბჭოსა და გაეროს დადგენილება, ამას ისედაც უნდა ზედბოლეს ყველა ნორმალური ადამიანი.

უფრო მეტიც – ჩემი ღრმა რწმენით, არათუ აღმსარებლობის არჩევაში უნდა ვიყოთ ხელფეხგახსნილნი, არამედ იმის უფლებაც უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ თვითონ „გამოვიგონოთ“ ახალი „რელიგია“!!! ასე არიან, ბატონო, იელოველები და ასეა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში – არის ხალხი, რომელიც თავიანთ სცემს ძროხას, ცეცხლს, სპილოს, არაყს, ეშმაკს, „ტაბუ-რეტკას“ და ათას სხვა საგანსა თუ სულიერს... „ათეისტური მეცნიერებიდან“ ცნობილია, რომ რელიგიებს ადამიანები ამქვეყნიური პრობლემების მოგვარებისა თუ დავიწყების მიზნით „იგონებდნენ“, ან იმ „ღვთაებას“ ეთაყვანებოდნენ, რომელიც მათ ამ პრობლემების მოხსნაში ეხმარებოდა – ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც კმარა ამის დასადასტურებლად: ინდოელებს ძროხით „ედგათ სული“ და ამიტომაც გააღმერთეს იგი, ცეცხლთაყვანისმცემლებმა პირველად რომ იგემეს, ალბათ, შემწვარ-მონარშული და უმი ხორცის ჭამისგან ატკივებული მუცლები დაუშადათ, მაშინ გააფეტიშეს ბუნების ეს მართლაც საოცრება, და ა.შ.



ჰოდა, მეც, არავითარ იელოველებზე ნაკლები არა ვარ და სხვაზე კარგად ვიცი, რა სჭირდება ჩემს ხალხს, რა ენატრება და რა მოუხსნის პრობლემებს. ამიტომ, გინდ პროვოკატორი დამიძახეთ, გინდაც რაიმე უარესი, მაგრამ მე ახალი რელიგიის ფუძემდებელი ვარ და სულ მალე, დარწმუნებული ვარ, უამრავი მიმდევარი გამიჩნდება და წინასწარმეტყველდაც მაღიარებენ! თუმცა მიმდევრები ახლაც არ მაკლია საქართველოში, მაგრამ ჯერჯერობით, თვითონაც არ იციან ამის შესახებ.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავწავლოთ, ბოლოს და ბოლოს, გეტყვით, რა ღვთაებაზე და რელიგიაზე ვსაუბრობ – ეს გახლავთ ანთებული ნათურა და „ელექტროდენთაყვანისმცემლობა“!!! როგორია?! რომელი სექტა შეგვედრება საქართველოში აღმსარებელთა რიცხვით?!

მართალია, ბევრი რამე დასახვეწია, თუნდაც სახელწოდება (ძალიან გრძელია), მაგრამ ამას ეშველება – ან „დენიზმს“ დავარქმევთ, ან „ელექტრონიზმს“, ან „ენერგიზმს“, ბოლოს და ბოლოს, „ლამპოჩკიზმს“... სხვა პრობლემებსაც მოველება დროთა განმავლობაში.

ჩამოყალიბებული რელიგიის არც ერთი, ასე ვთქვათ, „ატრიბუტი“, არ აკლია ახალ „ჭეშმარიტ რწმენას“ – ღვთაებასა და წინასწარმეტყველზე ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი წმინდანებიც გვყავს: დავით მირცხულავა, იგივე „წმინდა დავით ჩამაბნელებელი“; მაიკლ სქოული, იგივე „წმინდა მიხეილ ხანდახან გამნათებელი“; სხვა „პატარ-პატარა“ წმინდანებიც გვყავს, რომლებსაც „ფიდერისტებს“ ვეძახით.

ლოცვასაც ყოველდღე აღვაველით ხოლმე, ყოველდღე კი არა, ხანდახან დღეში რამდენჯერმეც, – როდესაც შუქი ჩაგვიქრება ხოლმე და, ცხადია, ამ ლოცვაშიც ჩვენს „წმინდანებს“ ვახსენებთ და იგი დაახლოებით ასე ჟღერს: „ოხ, მირცხულავა, შენ დაგებნელდეს თვალები, როგორც ჩვენ დაგვაბნელე!“, ან „ვახ, სქოული, შენი აქ ჩამომყვანის დედა და მამა...“, ანდა „ფიდერისტებო, თქვე მართლა ფიდერისტებო!“ ზოგიერთი წმინდანი იმიტომ შევრაცხეთ წმინდანად, რომ (როგორც სხვა რელიგიებშია მიღებული) ჩვენი საქმისთვის ეწამა და ახლაც ეშმაკებს და ქაჯებს ჰყავთ გამოძწყვდეული ციხის სქელ კედლებს შორის – მაგალითად, ეშზარ ჩაჩხიანი, რომელსაც „წმინდა ეშზარ წამებულად“ მოვიხსენიებთ...

არც „წმინდა ადგილებით“ ვართ სხვა სარწმუნოებაზე ღარიბნი – სათბობენერგეტიკის სამინისტრო, „თელასი“ და „საქენერგოა“ ჩვენი მექა, მედინა, იერუსალიმი და ბუდას საფლავი... რელიგიურ დღესასწაულებს რაც შეეხება – ყოველდღე გვაქვს ხოლმე (ან თითქმის ყოველდღე), რადგან შუქი დღეში ერთხელ მაინც მოდის. სერიოზული და დიდი დღესასწაულები კი, თქვენ წარმოიდგინეთ, მართლმადიდებლურ და საქართველოში დაკანონებულ საერო დღესასწაულებს ემთხვევა. თუმცა ესეც ლოგიკურია – ამ დღეებში, როგორც წესი, რამდენიმე საათის განმავლობაში ჩახჩახებს ხოლმე ჩვენი „ღვთაება“.

მარხვებიც გვაქვს განსაზღვრულ დღეებში. მარხვა კი იმაში გამოიხატება, რომ შემთხვევითაც რომ მოვიდეს შუქი, არ უნდა ავანთოთ – ჩამქრალ „ღვთაებას“ უნდა ვუყუროთ და მხოლოდ ცივი საჭმელი მივირთვათ. თუმცა ჩვენი „წმინდანები“, ცლუნებას რომ არ აყვეთ, ამ დღეებში ერთი წუთითაც არ უშვებენ დენს. ეს დღეები კი, როგორც წესი, ზამთრის განსაკუთრებით სუსხიან ამინდებს ემთხვევა ხოლმე.


მოკლედ, ეს მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ იმედინი დასაწყისი – დარწმუნებული იყავით, მიმდევართა გასამრავლებლად იელოველებით კარდაკარ სიარული არ დაგვკირდება.

P.S. ჩვენი ახალი რელიგიის „ატრიბუტებზე“ და სხვა სარწმუნოებებთან მის მსგავსებებზე გესაუბრეთ, მაგრამ უპირატესობაზე არაფერი მითქვამს: საქმე ის გახლავთ, რომ ყველა რელიგია რაღაც მომენტში ამოწურავს საკუთარ თავს, ან უკიდურეს შემთხვევაში, რაღაცას შეცვლის ძირეულად, რადგან მათი მორწმუნეები რაღაცას ელოდებიან: მართლმორწმუნე ქრისტიანები მორედ მოსვლას, იელოველები – არმაგედონს, ბუდისტები – საყოველთაო ნირვანას და ა.შ.

ჩვენი რელიგია კი, უკუნითი უკუნისამდე იქნება უცვლელი და მისი იდეალებიც მუდმივი, ყოველ შემთხვევაში – საქართველოში, რადგან მორედ მოსვლაც რომ იყოს, წარღვნაც რომ მოგვივლინოს უფალმა და იელოველების ყველა მკვდარიც რომ ფეხზე წამოდგეს (რასაც ისინი ამტკიცებენ), ჩვენი „ღმერთი“ და ჩვენი „ნირვანა“ – ჩამქრალი ნათურა და ღრმა სიბნელი, ყოველთვის იქნება საქართველოში!

პროპოკატორი

დენი არ არის, მაგრამ მისი ფასი მაინს იზრდება



ღანი რაჭველიძე

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ელექტროენერჯია არანაირ ევროსტანდარტებში არ ჯდება, — დენის ფასი, ბოლო წლებში თანდათან დასავლურ ტარიფებს უახლოვდება.

თუ ინვარშივე დაიწყო საუბარი დენის ტარიფის გაზრდაზე, სავსებით მოსალოდნელია, რომ ზაფხულიდან საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (სემეკა) ტარიფი კიდევ მინიმუმ 1 თეთრით გაზარდოს.

დენის ფასის გაზრდის დროსა და მიზეზზე „გზა“ სემეკას წევრს დემურ ჩომახიძეს ესაუბრა:

— რა არის ტარიფის გაზრდის მიზეზი?

— დავიწყით იმით, რომ გასულ წლებში ენერგოსექტორმა 700 მლნ ლარამდე ვალი დააგროვა. სწორედ ახლა დადგა ამ ვალების გასტუმრების დრო.

— შარშანაც იყო საუბარი ვალების გადახდაზე.

— შარშანაც იდგა ეს საკითხი, მაგრამ კომისიამ არ შეიტანა ეს ტარიფში, იმ საბაბით, რომ კანონში — „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი აირის შესახებ“ არ იყო ზუსტი მითითება.

— წელს რა შეიცვალა?

— მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოიტანეს თავიანთი განგარიშები, რომელიც მთავრობამ მიიღო. საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ წელს ტარიფში ვალის მომსახურებით დემურ ჩომახიძე

სთვის გათვალისწინებული იყოს 0,3 – 0,7 თეთრი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებიან, რომ შეწყვეტენ ენერჯეტიკულ სექტორთან ფინანსურ ურთიერთობას.

— ახლა არ შეგიძლიათ კანონი მოიშველიოთ?

— კანონში შესაბამისი ცვლილებები უკვე შევიტანეთ — ჩვენმა კომისიამ და საბოტო-ენერჯეტიკის სამინისტრომ. ამჟამად ამ ცვლილებებს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი განიხილავს. შემდეგ წარედგინება პარლამენტს და თუ ის მიიღებს, მაშინ ჩვენ ვაღდებულები ვიქნებით, ვალების კომპონენტი შევიტანოთ ტარიფში.

— მარტო ეს არის ტარიფის გაზრდის მიზეზი?

— გვაქვს კიდევ საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც შარშანაც იყო გათვალისწინებული და წელსაც იქნება. 1 აპრილს „ეი-ი-ეს თელასი“ წარმოადგენს განაცხადს. „ეი-ი-ეს-სა“ და საქართველოს შორის „თელასის“ მიყიდვის ხელშეკრულებაში წერია, რომ 2004 წლამდე ამერიკული კომპანიის ტარიფი ყოველწლიურად 0,5 თეთრით უნდა გაიზარდოს.

როგორც ცნობილია, ევრობანკი ახორციელებს ენგურჰესის სარეაბილიტაციო პროგრამას, რის გამოც, ჯერ კიდევ შარშან ეს ბანკი ითხოვდა, რომ ენგურჰესის მაშინდელი ტარიფი 1,4 თეთრიდან 1,5 ცენტამდე გაზრდილიყო. მართალია, მოლიანად არა, მაგრამ ევრობანკის მოთხოვნა დაკმაყოფილდა — ენგურჰესის მიერ გამოიმუშავებული 1 კვტ.სთ-ის ფასი 1,3 ცენტი გახდა. რა თქმა უნდა, ევრობანკი ითხოვს დარჩენილი 0,2 ცენტის მომატებას.

„ელექტრობაზარი“, „სადისპეტჩერო“ და „ელექტროგადაცემა“ 5 წლით უცხოური მართვის ქვეშ გადადის. მართალია, ეს პროცესი არ დასრულებულა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უცხოელებსაც ექნებათ თავიანთი პროგრამა. წელსვე უნდა მოხდეს გამანაწილებელი კომპანიებისა და ზოგიერთი ელექტროსადგურის პრივატიზაცია. ფაქტია, რომ ისინი არ მოდიან ტარიფის გაზრდის გარეშე. შარშან ჩვენ უკან გავუშვით ჩინური კომპანია, რომელიც რიონჰესის ტარიფის გაზრდას არსებული 1,8 თეთრიდან 4,5 ცენტამდე მოითხოვდა.

აი, ასეთი ვალდებულებები გვაქვს შესასრულებელი. ამის შესახებ ვაცნობეთ

მთავრობას, რომ იქნებ მოხერხდეს მოსახლეობისთვის ხელფასის ადეკვატური გაზრდა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოხერხდეს შეთანხმება იმაზე, რომ ცოტათი მაინც გადაიწიოს ვალები.

— სახელმწიფო მინისტრმა გია არსენიშვილმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ვალები ტარიფში გათვალისწინებული უნდა იყოს. ოღონდ არა ფასის გაზრდის ხარჯზე, არამედ, „სადისპეტჩეროსა“ და „ელექტროგადაცემის“ ტარიფების შემცირების ხარჯზე.

— ამ ორგანიზაციების სამართავად ამერიკული კომპანია მოდის, ისინი არ აიღებენ მცირეტარიფიან ორგანიზაციას. ისევ ჩვენები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ მართლაც შეიძლებოდა მათი იძულება. თუმცა, დანამდვილებით ამასაც ვერ ვიტყვი.

— თუ არსებული სურათი უცვლელი დარჩა და იქამდე კიდევ არაფერი შეიცვალა, რამდენით შეიძლება გაიზარდოს ელექტროენერჯის ტარიფი?

— „თელასის“ 0,5 თეთრი, ვალებისას ჩვენ, რა თქმა უნდა, 0,3-ს ავიღებთ. ეი. 0,8 თეთრით გაიზრდება. რა თქმა უნდა, 0,8 ბევრია! გამოდის, რომ ფასი სადღაც 10%-ით იზრდება.

— როდის არის მოსალოდნელი ტარიფის გაზრდა?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ეს მოხდება იენისიდან ან ივლისიდან.

— ტარიფის შემუშავებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ელექტრობალანსი. ყველა ელექტროსადგური კომისიას აწვდის თავის პროგნოზს, თუ რამდენი ელექტროენერჯის გამოიმუშავებას აპირებს წლის განმავლობაში. ხშირად ხდება, რომ დაგეგმილსა და რეალურ გამოიმუშავებას შორის სხვაობაა. ფაქტია, ეს საკმაოდ მოქმედებს დენის ფასზე.

— ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით, თუ დიდია სხვაობა (20%-25%) პროგნოზირებულსა და რეალურს შორის, მაშინ მომავალ წელს სწორდება. ხოლო თუ მცირეა, მაშინ იგი მხედველობაში არ მიიღება.

— რატომ?

— საქართველოს ენერჯის სექტორმა ისეთ მდგომარეობაშია და ისეთია დენის საფასურის ამოღების ღონე, რომ ეს შესწორება



გინდ გააკეთე, გინდ არა.

— თქვენი ამ მოქმედებით ისევ გადამხდელი იჩაგრება. ვინც არ იხდის, არც შემდგომში გადაიხდის. არც ენერჯეტიკას ეტყობა არაფერი ნინსელის. ბოლოს და ბოლოს, თუკი ევროფასი ადევს ჩვენს დენს, მაშინ ენერჯეტიკოსებს მაინც დაენიშნოს ევროპული ხელფასი.

— ჩაკეტილი წრეა. ვერასოდეს ვერ გამოვალთ ამ მდგომარეობიდან, სანამ გადახდა არ იქნება, სანამ არ მიიღებს ელექტროსადგური თავისი შრომის საფასურს.

— მაშინ დამეთანხმებით, რომ დენის ფასის გაზრდით ეს პრობლემა — ჩაკეტილი წრე ვერ გაიხსნება.

— ელექტროენერჯის ფასის ზრდასთან ერთად, ადგილობრივი უნდა იყოს ხელფასების ზრდა. ტარიფების ზრდით, ჩვენ შრომის საფასურს განვსაზღვრავთ: დენის გაყიდვით ამოღებული თანხებიდან უნდა მოხდეს შრომის ანაზღაურება, ინვესტიციების ჩადება, რემონტი, სადგურის ნორმალური მუშაობა.

— ტარიფების გაზრდის გარდა, სემეკას აქვს სხვა მოვალეობაც. დავინწყით გადახდის პრობლემით. ელექტროენერჯის გამანაწილებელი თითქმის არც ერთი კომპანია არ იხდის მიწოდებული დენის საფასურს. ხოლო ეს კომპანიები თქვენზე კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიებით მოქმედებენ. რამდენადაც ვიცო, თქვენი მოღვაწეობის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანს არათუ ლიცენზია გაუქმებოდა, არამედ რამენაირად დასჯილიყო.

— ძალიან ძნელია დამსჯელი მექანიზმის გამოძებნა. შეიძლება ჩამოვართვათ ლიცენზია. მაგრამ, ვთქვათ, ჩამოვართვი „თელასს“ ლიცენზია, მაშინ რა ვუყოთ თბილისს? უნდა დაიხვეწოს ეს მექანიზმი: მას ალბათ ფინანსური სახე ექნება.

— სემეკას კიდევ ერთი მოვალეობა, მომხმარებლის უფლებების დაცვაა. თბილისში და არა მარტო აქ, ბევრი ოჯახია, რომელიც სრულად იხდის დენის საფასურს. მიუხედავად ამისა, დენი მაინც არ არის. ნუთუ ამით მომხმარებლის უფლება არ ირღვევა?

— ეს საკითხი ჯერ კიდევ „ეი-ი-ეს-სა“ და საქართველოს შორის გაფორმებულ კონტრაქტში უნდა გადაწყვეტილიყო.

— ანუ, „თელასის“ ყიდვის კონტრაქტის მიხედვით, „ეი-ი-ესი“ არ არის ვალდებული, თბილისს მიაწოდოს 24 საათი დენი?

— არა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ამერიკული კომპანია თბილისს მიაწვდის იმდენს, რამდენსაც ენერგოსისტემა მიაწვდის. სხვათა შორის, ბოლო მივლინებისას

საუბარი მქონდა მოლდოველ კოლეგებთან. როგორც აღმოჩნდა, კომინიოვის ელექტროგამანაწილებელი კომპანიაც პრევატიზებულია, რომელიმეც ესპანური კომპანიის მიერ. ამ კომპანიამ ივალდებულა ქალაქის 24 საათიანი ელექტრომომარაგება. ეს იმ დროს, როცა, მოლდოვის ენერგოსისტემა თავისი ქვეყნის მოთხოვნის მხოლოდ 30% ელექტროენერჯის გამოიმუშავებს. დანარჩენი 70% პროცენტი კი ესპანელებს იმპორტით შემოაქვთ.

ამიტომ ვაყვებდით „თელასს“ და მოსახლეობას შორის ხელშეკრულების დადებას: გვინდოდა, რომ ძველი შეცდომა გამოგვეწვინა და ამ ხელშეკრულებაში მაინც ჩავეწერა 24 საათიანი თუ არა, პირველ ეტაპზე 20 საათიანი ელექტრომომარაგება მაინც. მით უმეტეს, რომ იმპორტირების ლიცენზია ამ კომპანიას აქვს.

მოლდოვას და კომინიოვის, ასე თუ ისე, ეშველა, ხოლო ჩვენთან რა ხდება და გვიშველის თუ არა რამე, ამის თაობაზე ვესაუბრეთ სათბობენერჯეტიკის მინისტრის პირველ მოადგილეს ნუგზარ უფლისაშვილს.

— რა მდგომარეობაა დღეს ენერგოსისტემაში, სულ მთლად დაფიქციოთ, როგორც ეს ბოლო დღეებში ხდება, თუ რამე გვეშველება?

— გასასუხობთ — ესულდემულობთ. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს საკმაო ენერჯეტიკული სიმძლავრეები, პოტენციური დაყვანილია ნულამდე. ენერჯეტიკაში წყალი აღარაა.

— საერთოდ არ არის?

— ენერჯეტიკის წყალსაცავში დონე არის 412 მეტრი. ამ დონეზე მუშაობა არ შეიძლება. მაგრამ ყველა ინსტრუქციის დარღვევით ამ ჰესს ჩამონადენ წყალზე მაინც ვამუშავებთ.

— რამდენადაც ვიცო, ენერჯეტიკის მინიმალური დონე 440 მეტრია.

— აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. მისი საპროექტო მინიმალური ნიშნული 440 მეტრია. ამ დონის ქვემოთ მუშაობა მიზანშეუწონელია, მაგრამ მაინც ვამუშავებდით, რადგან არ გვქონდა „თბილისის“ ენერჯია. მოგეხსენებათ, რომ „ეი-ი-ეს მტკვარის“ მიერ მოწოდებული ელექტროენერჯია ძალიან არასაიმედოა და ძალიან ხშირად გვაყენებს უმძიმეს სიტუაციაში — როგორც ეს იყო გუშინ, როგორც ეს ამ დღეებში იყო და ბევრჯერ ყოფილა.

— ისე, ეს ბლოკები ნინა ნლებშიც ხშირად ჩერდებოდა.

— წინა წლებში გაცილებით უკეთ მუშაობდნენ და ამაზე სტატისტიკაც მუშავდებოდა. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენ კარგები ვართ და ისინი — ცუდები. უბრალოდ მიდგომაშია განსხვავება. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ბლოკები „ავადყოფები“

არიან და მათ ყურადღება სჭირდება. ამერიკელებს ისეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ეს ბლოკები კარგ მდგომარეობაშია და შეუძლიათ გაუწიონ ექსპლუატაცია მარტო კომპიუტერული პროგრამით.

— რამდენადაც ცნობილია, ამ ბლოკების გასარემონტებლად საკმაო თანხები ჩაიდო.

— არც იმდენი. 12-14 წლის წინ „თბილისრესში“ კაპიტალური რემონტებისათვის გამოყოფილი იყო 200-250 მლნ მანეთი, დღეს კი ეს მაჩვენებელი 5-6 მლნ დოლარს არ აღემატება. ეს ძალიან ცოტაა.

— მაინც, რამდენ ელექტროენერჯის მოიხმარს საქართველო?

— საშუალოდ, დღე-ღამეში მოიხმარს 18-20 მლნ კვტ.სთ-ს. აქედან, იმპორტირებული დენია 5-6 მლნ კვტ.სთ, იგულისხმება



რუსეთიდან და სომხეთიდან მოწოდებული ელექტროენერჯია. დანარჩენი ადგილობრივი გენერაციაა. რა თქმა უნდა, ეს მაშინ, როცა ავარია არ ხდება.

— „თბილისრესში“ „ეი-ი-ეს-ის“ ბლოკების გარდა, არის ძველი ბლოკები, რომელთაც, მართალია, მცირე სიმძლავრე აქვთ მეცხრე და მეათე ენერგობლოკებთან შედარებით, მაგრამ ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, მათი სიმძლავრე აშკარად არ გვანწყნდა.

— სწორედ ეგ არის ერთადერთი იმედი, რომ ეს ზამთარი, ასე თუ ისე, გადავიტანოთ.

— როდის შეიძლება ჩართოს ეს ბლოკები?

— ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ორ — კერძოდ მეოთხე და მერვე, 130 მგვტ-იან ბლოკებს 4-5 დღეში ავაშუშავებთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ძალიან გვინდა. ენერჯეტიკის პრაქტიკულად აღარ არის და რაღაცამ ხომ უნდა შეცვალოს. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სურვილი, რადგან ჯერ არ ვიცით, ვინ გადაიხდის გაზის ფულს და მერე, ვინ იყიდის ამ ელექტროენერჯის.

მორიბი რაუნდი

ნანა ქიბიშაური

„ჟურნალისტები სცემს მწერლებმა თუ მწერლები ჟურნალისტებმა?“ „რა საერთო აქვს ბენლადენს მწერალთა კავშირის პრესკონფერენციასთან?“ „ვინ ისროლა პირველი მოუზომავი სიტყვა, რომელსაც სკანდალი მოჰყვა?“ „ვინ და რატომ მოაკენიბა თითი ზაალ ბოტკოველს?“ „ვის“ დაკვეთას ასრულებს „რუსთავი-2“, ან „ვინ“ მართავს მწერალთა კავშირს?“ – ეს კითხვები ისევ აქტუალურია, ვინაიდან, ორი მონათესავე, მაგრამ განსხვავებულ მენტალიტეტზე დაფუძნებული დაპირისპირებული

მხარე, ყველასათვის კარგად ცნობილი და ე.წ. „სამაუწყებლო ტრიბუნით“ უზრუნველყოფილია. ჩვენი მხრიდან მკითხველს მხოლოდ ერთს შევახსენებთ: მოწინააღმდეგენი ერთმანეთისაგან „ბოდიშს“ არ ითხოვენ – ისინი ფულად კომპენსაციაზე საუბრობენ. სასამართლოში შეტანილია სარჩელი და ის, ვინც უფრო დაზარალებული აღმოჩნდება, მიყენებული შეურაცხყოფისათვის მიღებულ თანხას (10 მლნ ლარს) „საქმეში ჩადებს“.

„24 იანვარს მომხდარი სკანდალი, მასმედიაში კოლეგიალური კუთხით გააშუქა, მწერლებისთვის კი ტელევიზიის კარი დაკეტილი

აღმოჩნდა“ – აცხადებენ უკმაყოფილო კალმოსნები და დარღვეული დისბალანსის აღდგენას გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალებით ცდილობენ. მომხდარი ინციდენტის შეფასება, სხვა ჟურნალ-გაზეთებისათვის მწერალთა გაერთიანება „ბასტირონის“ თავმჯდომარემ, კობა არაბულმა ითავა. ის მუშტი-კრივად ქცეულ პრესკონფერენციაზე გამწვევლების როლს ასრულებდა და ზაალ ბოტკოველისაგან განსხვავებით, ძლივს გადაურჩა თითის მოკნეტას. როგორც თავად განაცხადა, „ბედმა გაუღიმა, რადგან „ბენ ლადენის“ ნასროლი ქილაც ასცდა“.

კობა არაბული:

„ჩვენს პირისპირ უბიფარკი და უკულტურო ვამპირები დგანან“



— ბატონო კობა, როდის ჩავარდა განხეთქილების ვაშლი მწერალთა კავშირსა და „რუსთავი-2“-ს შორის?

— „60 წუთის“ ავტორმა, აკაკი გოგიჩაიშვილმა ჟურნალისტური გამოძიებით მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, მწერალთა კავშირი კორუფციაში დაადანაშაულა. კრიმინალური ხასიათის ბრალდებებში გამოკვეთილი იყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელების კომერციული ინ-

ტერესები. თამაზ წიგწივამეს ბრალი ედებოდა სოკოს ბიზნესში, ყვავილების და გამოცემული სახელმძღვანელოების ბიზნესში. თითქოს სასწავლო წლის დაწყების გადადება ამ სახელმძღვანელოების გამოცემასთან იყო დაკავშირებული. წიგწივამეს ბრალი ქართული ჯარის დასუსტების მცდელობაში და სამხედრო შენაერთების ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებაშიც დასდეს – ეს უკვე მეტისმეტია! საბოლოო დასკვნაში კი მინიშნებული იყო, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რუსეთის სპეცსამსახურების დაკვეთების შემსრულებელია. ცოცხალ მწერლებთან ერთად, არც გარდაცვლილი მწერლები დაინდევს. მწერალთა კავშირმა სასამართლოში სარჩელი აღძრა და გოგიჩაიშვილი ცილისწამებაში დაადანაშაულა. შემდეგ გაჩნდა სხვა ბრალდებები: „60 წუთის“ ავტორის, აკაკი გოგიჩაიშვილის უშიშროების სისტემაში „ბეთხოვენის“ ფსევდონიმით მუშაობის შესახებ. ყოველივე ეს მთავრდება იმით, რომ „რუსთავი-2“-ს სასამართლოში შეაქვს შემხვედრი სარჩელი, ტელევიზიით კი აკეთებს განცხადებას, თითქოს მწერლებს „რუსთავორელებისათვის“ ბოდიშის მოხდა სურთ. ამ ყალბი განცხადების განსამართლავად გახდა საჭირო პრესკონფერენციის მოწვევა.

— მაინც რა მოხდა პრესკონფერენციაზე?

— დღის გმირი, ბენ ლადენით შარფში გახვეული ჟურნალისტი, როგორც შემდეგ გაირკვა, გურამ დონაძე, თავისი „იარაღით“ აღჭურვილი შემოიჭრა პრესკონფერენციაზე და დაიწყო ხულიგნური გამონდომები: ჯერ კითხვებს „ისროლა“, მერე ზურგს შეაქცევდა მოპასუხეს და მობილური ტელეფონით ელაზანდარებოდა ვილაცას. ჩვენმა

მწერალმა ქალებმა, ლალი ჯაფარაშვილმა და გუგული ტოგონიძემ ახალგაზრდას ჰკითხეს – „რატომ გეჯავრებით, შვილო, ასე ქართველი მწერლები?“ დონაძემ კი მათ „ქუჩის ქალები“ უწოდა და მშვიდად გააგრძელა მობილურზე საუბარი: „ამ ნაბიჯვარ მწერლებთან ვარ, სიმონ!“ ეს იქ მყოფებმა მოისმინეს. სიტუაცია უფრო დაიძაბა: სხვებთან ერთად, მეც ვცადე მისი დაშოშმინება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ადვოკატმა დებოშიორის დარბაზიდან გაყვანა მოითხოვა. დონაძე მაინც არ დაწყნარდა. მაშინ, ასაკოვანმა მწერლებმა, ზაალ ბოტკოველმა და რეზო კვერენხილაძემ მას გარეთ გაცილება დაუპირეს. აქ მოხდა, რაც მოხდა. დონაძემ დაიწყო „ფხანკალი“, მას ოპერატორიც წამოეშველა და ატყდა ერთი აყალმაყალი. გარეთ გამოყვანილმა დონაძემ მწერლებს ჯერ კომპოტის ცარიელი ქილები ესროლა, შემდეგ კვლავ შემოიჭრა დარბაზში და რამდენიმე რიგში სკამები გადააყირავა. ამ გაწვევ-გამოწვევაში ზაალ ბოტკოველისთვის თითზე კბენაც მოასწრო და კინადამ მოაკვნიტა. ბატონ ზაალს შემდეგ შრატის გაკეთება დასჭირდა. მორიგემ გამოიძახა პოლიცია. ვხედავდი, როგორ ცდილობდა პოლიციელი დონაძის გაპარებას და თან ამბობდა, ამათ ხელში ჩემი მტერი ჩავარდაო... ბოლოს, ყველა თავის გზაზე წავიდ-წამოვიდა, მწერალთა კავშირში კი დამტკვრეული სკამები და შეფუთვით სავსე კედლები დატოვეს.

— **ეს არ უნდა მომხდარიყო. ნუთუ არ შეიძლებოდა ამ დღის უფრო მშვიდობიანად დამთავრება?**

– პრესკონფერენცია გამართა მწერალთა კავშირმა და მწერლების ინტერესებში მისი ჩაშლა არაფრით არ შედიოდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ „რუსთავი-2“-ისთვის მწერალთა კავშირი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ისინი უცხოელებისაგან ფინანსდებიან და, უნდათ თუ არ უნდათ, მასონური, კოსმოპოლიტური იდეების ავტორიტეტად გვევლინებიან. მათ აქტიურად უჭერს მხარს თავისუფლების ინსტიტუტი და ფსევდოდემოკრატიული ორგანიზაციები. ყოველივე ამის უკან კი, სამწუხაროდ, ჩვენი „რეფორმატორი“ პოლიტიკოსები დგანან. მათთვის თავისუფლების ინსტიტუტი და სხვა უცხო ელემენტებისაგან დაფინანსებული ორგანიზაციები პოლიტიკური სამეთვალყურეო საგუშაგო კომისის მისიას ასრულებენ. მათ ხელს აძლევს მწერალთა კავშირის, როგორც ეროვნული ცნობიერების ბურჯის შესუსტება, მისი ავტორიტეტის შებლაღვა და მის ადგილას სხვა იდეოლოგიური კერების აღმოცენება. ეს წარმონაქმნები, რაღა თქმა უნდა, ასევე უცხოეთმოვლილი და ეროვნულ მენტალიტეტდაქვეითებული ხალხით შეივსება. სხვაგვარად ვერ აიხსნება, რატომ უნდა ებრძოდეს „რუსთავი-2“ ქართულ მწერლობას. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მე ერთგვარად მადლობელი ვარ „რუსთავი-2“-ის. მან თავისი მოქმედებით გამოაფხიზლა მთვლემარე მწერლები და დაანახვა, რა საშიშ ძალასთან გვაქვს საქმე, რა უტიფარი და უკულტურო ვამპირები დგანან ჩვენ პირისპირ, როგორი ფსიქოლოგია უყალიბდებათ სხვაზე გაშვილებულ ჩვენს ბავშვებს. ამ

გოგო-ბიჭებს საქართველოში თავისთვის ზრდის „ძია სემი“. ის იხდის ფულს და მუსიკასაც ის უკავთს. სწორედ ამ ეროვნული სულის სადარაჯოზე დგას ქართული მწერლობა.

— **ბატონო კობა, მე რამდენადაც ვიცი, „რუსთავი-2“ ქართულ მწერლობას კი არ უპირისპირდება, ის მწერალთა კავშირში არსებულ ბიუროკრატიულ აპარატსა და კორუფციაზე საუბრობს.**

– მათ თუ პიროვნული პრობლემები აქვთ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობასთან, ეს უშუალოდ მათთან უნდა გაარკვიონ და მთლიან კავშირს არ უნდა ესროლონ

დონაძემ მწერლებს ჯერ კომპოტის ცარიელი ქილები ესროლა, შემდეგ დარბაზში სკამები გადააყირავა. ზაალ ბოტკოველისთვის თითზე კბენაც მოასწრო და კინადამ მოაკვნიტა.

ტალახი. მით უმეტეს, მათ სხვებზე კარგად იციან, რომ „საინფორმაციო ჭორი“ გაცილებით უარესია, ვიდრე დამტკიცებული საბრალდებო დასკვნა. ენით დაკოდილს არაფერი შველის და ვერც უკან შეაბრუნებ სიტყვას.

— **თამაზ ნივნივაძის მხარდამჭერი, სხვის ენით დაკოდვაზე საუბრობთ? ბოლოს და ბოლოს, მისმა კრიტიკამ და გაქცეულმა კალამმა ბევრი მწერლისა და არა მარტო მწერლის ჯანმრთელობა შეინირა...**

– ამ შემთხვევაში წიგნივამე არაფერ შუაშია. მე მწერლების ღირსებას ვიცავ, ჩემს ეროვნულ და ტრადიციულ ღირებულებებს. ჟურნალისტებსაც ვიცავ. მე მათ უდიდეს პატივს ვცემ, მწერალი ხომ გარკვეულწილად ჟურნალისტიც არის. მაგრამ პროფესიონალმა ჟურნალისტებმა თავიანთი საქმიანობა მხოლოდ სკანდალზე არ უნდა ააგონ. ჩვენი ახალგაზრდები მხოლოდ რობოტის პროფესიონალიზმით და ცივი სისხლით არ უნდა მუშაობდნენ. მათ ნებისმიერი საქმე საქართველოსა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით უნდა აკეთონ. პირველ რიგში უნდა იყო ქართველი და მერე რაც გინდა, ის აკეთე – ასეთია ჩემი პოზიცია. ქართველი მწერლები ისევ ძველ მეციხოვნეებად ვრჩებით! თითოეულ ჩვენგანს დიდი ძალისხმევა გვმართებს, რომ „პანდორას ყუთიდან“ ამოფრქვეულმა ჭორმა და დეზინფორმაციამ არ წაგვლეკოს. მასმედიაში ძირფესვიანად უნდა შეცვალოს პოზიცია ეროვნულ ინტერესთა სასარგებლოდ. ისინი უნდა გახდნენ იმდენად დემოკრატიულნი მაინც, რომ როდესაც ილია ჭავჭავაძეს ტალახს ესვრიან, მწერლებმა ეთერიდან საპასუხო სიტყვის თქმა შეძლონ.

დასასრულს ვიტყვი: ჰეროსტრატეები ტაძარს მაინც ვერ დაწვავენ... ყველაფერს ღვთის ხელი მართავს და ყველას თავის მისაგებელს მიაგებს...

ობიექტურობისთვის გთავაზობთ მეორე მხარის აზრსაც: ►

გურამ ღონაძე:

მწერალთა კავშირი იზივია, რას „მწერალთა სექტა“

— გურამ, მწერალთა კავშირში მომხდარი ინციდენტი ცალმხრივად გაშუქებული რომ არ გამოგვივიდეს, იქნებ თქვენც გააკეთოთ კომენტარი?

— რა კომენტარი შეიძლება გავაკეთო? თამაზ წივწივაძეს თურმე ისე ჰყვარებია „რუსთავი-2“ და სხვა ჟურნალისტები, რომ პრესკონფერენციაზე მისულებს კომპოტები დაგვასხვედრა. ჩვენ, „მოლალატე“ ჟურნალისტებმა კომპოტები შევჭამეთ და მერე ცარიელი ქილები მწერლებს დავუშინეთ. რა უნდოდა მწერალთა კავშირში ქილებს? ან იქნებ, ჟურნალისტები ჩვენი ქილებით მივედით პრესკონფერენციაზე? ამას არავინ აკონკრეტებს.

— არც თითო მოგიკვნენ-ტიათ ვინმესთვის?

— მე არავისთვის არაფერი მომიკვნეტია. შეიძლება მაშინ, როდესაც მთვრალი მწერლები მირტყამდნენ, ვინმემ ჩემს კბილს შემთხვევით ჩამოახია თითი. არც ის არის გამორიცხული, რომ სხვა მწერალმა უკბინა. ჩემს შეკითხვას იქ ისეთი ამბავი მოჰყვა, რომ ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს, გვცემეს და გამოგვიშვეს. ამ დარბევაში 8 ტელეკომპანიის ჟურ-



ნალისტებს ვაკეთებ კომენტარს, რადგან ისინი პასუხის ღირსადაც არ მიმაჩნია. ვიტყვი მხოლოდ ერთს — ჩვენს მწერლებს ჭაჭის სუნი უდით და კლიმაქსის პერიოდი აქვთ. თუმცა, ჩემი სიტყვები ყველა მწერალზე არ ვრცელდება. მე

ბოლა და თავზე დაგვემსობოდა.

— მაინც რა იკითხეთ ისეთი, რამაც მწერლები ასე გააღიზიანა?

— თამაზ წივწივაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის არ ენდობოდა დარბაზში შეკრებილ ჟურნალისტებს. მაშინ ვიკითხე: თუ არ გვენდობით, აქ რისთვისაა მოგვიწვიეთ-მეთქი? მწერლები აჩოქოლდნენ — ეს ვინაა არისო. როდესაც დავასახელე ჩემი ტელეკომპანია, წამოვიდა სალანძღავი სიტყვების ნიაღვარი. ტელევიზიას „პედერასტების კომპანია“ უწოდეს, ჟურნალისტებს კი, „ბოზები“ და „ქვეყნის მოლალატეები“. ჩემს ადგილას გოგონა რომ ყოფილიყო, ალბათ ეს ამბავი არ მოხდებოდა, შეიძლება ამდენიც არ ეკადრათ. მწერლები აშკარად ნასვამები იყვნენ. დარბაზშიც კი ჭაჭის სუნი იდგა. სხვა ტელეარხების წარმომადგენლებიც შეეცადნენ პროფესიული ღირსების დაცვას. ჟურნალისტები ალბათ არაკნენ, წივწივაძემ ვეღარ „იწვივა“ და მოხდა მწერლების ორგანიზებული თავდასხმა ჟურნალისტებზე. თამაზ წივწივაძე იმ თაობის მწერალია, რომელიც დღევანდელი ჟურნალისტიკის პრინციპებს ვერ ეგუება. ჩემთვის კი ასეთი მწერალთა კავშირი იგივეა, რაც „მწერალთა სექტა“. ბუნებრივია, ჩვენი პოზიციები ერთმანეთს ვერ დაემთხვევა, მაგრამ მწერლებისგან ასეთი აგრესია მაინც გაუძარტლებელია. ერთსაც ვიტყვი: ტყუილად ეძებენ „რუსთავი-2“-ის უკან პოლიტიკოსთა ინტერესებს. მე მაღლობელი ვარ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის: მისგან ამ ინციდენტის დროსაც ვგრძნობდი მხარდაჭერას და საერთოდ. ბოლოს ვიტყვი, რომ ჟურნალისტები პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს არაფრისგან არ არიან დაზღვეულნი, მაგრამ თავიანთ გასაკეთებელს, თავიანთი ხალხისა და ქვეყნისათვის მაინც გააკეთებენ და იტყვიან სიმართლეს.

შეიძლება მაშინ, როდესაც მთვრალი მწერლები მირტყამდნენ, ვინმემ ჩემს კბილს შემთხვევით ჩამოახია თითი. არც ის არის გამორიცხული, რომ სხვა მწერალმა უკბინა.

ნალისტები მოვეყვით. გოგონები ისე იყვნენ ნაცემები, რომ გარეთ გამოსვლა ერიდებოდათ.

— თქვენი მისამართით ყველა ბრალდება ყალბია? ვითავეს დებოშიორ ჟურნალისტად არ სცნობთ.

— სიმართლე გითხრათ, მე არც წამიკითხავს, რას წერენ ისინი ჩემზე. მე ვიცი ჩემი საქმე და ვაკეთებ ჩემს

ვნახე, ჟურნალისტებისთვის ხელის გარტყმის შემდეგ, რამდენიმე ცნობილმა მწერალმა როგორ დატოვა დარბაზი: მათ თავიანთი კოლეგების საქციელის გამო შერცხვათ.

— თქვენ არ შეგრცხვათ?

— მე სინდისი მქენჯნიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ზემოდან ილიას და აკაკის სურათები დაგვეურებდა. ასე მეგონა, ისინი კედლიდან ჩამოცვივდე-

როგორ მუშაობს უფასო „სასწრაფო დახმარება“ — თბილისელთათვის ამ ძალზე მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად, შარშან, სექტემბერში მის ცენტრალურ სადგურს მივაკითხეთ.

სტატიაში — „სასწრაფო დახმარება“ სასწრაფო დახმარებას ითხოვს“ („გზა“, №13, 2000 წ.) მოგიტონოდათ „სასწრაფო დახმარებაში“ შექმნილ მძიმე მდგომარეობასა და იმ გამოსავალზე, რომელიც სახელმწიფომ თითქოსდა მოძებნა. მაშინ ვწერდით:

„როცა ექიმებმა დამიმართლეს, საკუთარი გულსნადები გამიმხილეს — აქ ყველანი ძველი ექიმე-

ბი ვართ, „სასწრაფო დახმარება“ ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება და რადგან სასწრაფოს მხრივ სერიოზული პრობლემებია, რაღაც ტენდერის შედეგად, სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ უნდა დაგვაფინანსოს; მარტივად რომ ვთქვათ, „ალდაგი“ ყოველთვიურად გადაგვიხდის ხელფასებს, მას კი წლის ბოლოს მერია გაუსწორდება. სადაზღვევო კომპანიამ რაღაც მოგება ხომ უნდა ნახოს! ახლა თუ არა, მომავალში მაინც. ჩვენ გვეშინია, რომ სახელმწიფო კერძო კომპანიას ფულს ვერ გადაუხდის, ისიც სასამართლოში იჩივლებს და მთელ ჩვენს ქონებას უმტკივნეულოდ ჩაიგდებს ხელში“.



რატომ ხდება „სასწრაფო დახმარებაში“ ანუ რა საკუთარს მოაქვს „ალდაგს“?

ბორა ბეჟელიანი

ძველ სტატიაშიც აღვნიშნე და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ექიმების შიში უსაფუძვლოდ არ მჩვენება, ამიტომაც თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრალურ სადგურში, თითქმის ხუთი თვის შემდეგ, კიდევ ერთხელ გადავწყვიტე მისვლა და ცვლილებების დაფიქსირება.

თითქმის ყველაფერი ისევე დამხვდა, როგორც სექტემბერში: ვერაფრით შეატყობდით, რომ სამსახურს ძლიერი კომპანია ამოუღებდა მხარში.

სამორიგეოში შევაბიჯე. ექიმებმა უცნაურად შემომხედეს — ზოგს უნდობლობა დაეტყო — თვალებით მეუბნებოდნენ, შენი მოსვლა რას გვიშველისო... მორიგე მობილური ტელეფონით დაურეკა უფროსებს და მათთან საუბრის შემდეგ მითხრა, მალე მოვლენ და ისინი ყველაფერს აგისხნიანო. მანამდე ექიმებთან გასაუბრება გადავწყვიტე. ერთ-ერთი მათგანი (თუ არ ვცდები, ედიკა ჰქვია), განსაკუთრებული ხალისით მპასუხობდა კითხვებზე და სულ იმას მიმტკიცებდა, ჩვენთან ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის, თუ გინდა შენობასაც დაგათვალიერებინებ, ნახავ, როგორი რემონტი წამოვიწყეთო. მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

გზადაგზა ჩემი მეგზური ისეთ რაღაცებს მეუბნებოდა, კომუნისტური პერიოდი გამახსენდა: ღენი კარგად გვაქვს და კიდევ უფრო კარგად გვაქნება, ხელფასებს დროულად გვირიგებენ და გვითხრეს, „კიდევ უფრო დროულად“ დაგირიგებთო, მოსასვენებელი ოთახები გაგვილამაზეს და... უფრო მეტსაც გვპირდებიანო... ვეღარ მოვითმინე და ვკითხე — ძმობილო, შენ უფროსობასთან დაახლოებული პირი ხომ არა ხარ-მეთ-

ქი? ისე იუარა, რომ გაჩენილი ეჭვი კიდევ უფრო გამძლიერა. ამ საუბრით მივადექით ოთახს, სადაც ექიმი ქალები ისვენებდნენ. ჩემი მეგზურისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია, ექიმებთან ახლოს ჩამოვჯექი და დეტალოზი ჩავრთე:

— ხელფასები გაგზარდათ? (ჩემმა კითხვამ საერთო მხიარულება გამოიწვია).

რუსიკო გოგინაშვილი:

— ადრე ხელფასი 80 ლარი გვექონდა, ხელზე 70-ს ვიღებდით, ახლა 30-40 ლარი გამოვკვდის. ადრეც გვიგვიანებდნენ ხელფასს და ახლაც. შარშანდელი დეკემბრის ხელფასს ალბათ, ჩინური კალენდრით (23 თებერვალი) ახალი წლისთვის მოგვცემენ...

— რატომ შემცირდა ხელფასი?

მაია ბლუაშვილი:

— ანაზღაურების სისტემა შეცვალეს. ამჟამად მინიმალური, ფიქსირებული ხელფასი 20 ლარია, დანარჩენი მორიგეობებზე გასვლების მიხედვით გვემატება, თითო გამოძახებისთვის — 2 ლარი. მაქსიმალური ხელფასი ამჟამად 40 ლარს აღწევს.

— თუ ასეა, რა აზრი ჰქონდა სადაზღვევო კომპანიის შემოსვლას? ნინო გულიაშვილი:

— პირადად ჩვენთვის არავითარი აზრი არ ჰქონდა, საბოლოო ჯამში უარესიც კი გამოვიდა — ხელფასი შევკმინდით. ჩვენ გვექონდა „ალდაგის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა. მათ განაცხადეს: ჩვენ გადმოვირცხავთ თანხას, მისი დახარჯვა-განაწილება კი თქვენი ადმინისტრაციის საქმეაო. ამ პირობას როგორ ასრულებენ, ისიც კი არ ვიცით. საახალწლოდაც კი ვერ დაგვირიგეს ხელფასი.

ამ დროს ოთახში ცენტრალური სად-

გურის გენერალური დირექტორი დავით გველესიანი და მისი მოადგილე რეზო თურნავა შემოვიდნენ. ექიმები არც მათ მორიდებიან და გულახდილად განაგრძობდნენ უკმაყოფილების გამოთქმას.

დავით გველესიანთან საუბარი კი, მის კაბინეტში შედგა:

— რადგან თბილისის მერიას არ ჰქონდა საშუალება სისტემატურად დაეფინანსებინეთ, მათ გადაწყვიტეს, რომელიმე სადაზღვევო კომპანიას ეეისრა დელაქალაქის ვალდებულებები ჩვენ წინაშე, ხოლო მათ შორის ანგარიშსწორება მოგვიანებით მომხდარიყო. ჩატარდა ტენდერი და „ალდაგმა“ გაიმარჯვა.

— თუ იცით, რატომ გაიმარჯვა მაინცდამაინც „ალდაგმა“, რით დაჯაბნა სხვა სადაზღვევო კომპანიები?

— ვერ გეტყვით, კომისიაში არ ვიყავი და არ ვიცი, როგორი იყო სატენდერო პირობები.

— კი, მაგრამ როგორ არ დაინტერესდით კომპანიით, რომელიც თქვენთან შემოდიოდა — თქვენ ხომ მასზე იქნებოდით დამოკიდებული?

— გამარჯვების ძირითადი განმსაზღვრელი პირობა ალბათ ფინანსური მდგომარეობა იყო. გარდა ამისა, ალბათ ჯანდაცვის სისტემაში მისი მუშაობის გამოცდილებაც გაითვალისწინეს. მე ვეწინააღმდეგებოდი აღნიშნულ ტენდერს, რადგან ამის შედეგად იცვლებოდა ჩვენი დაფინანსების ფორმა. გასული წლის სექტემბრამდე ჩვენ ე.წ. გლობალური ბიუჯეტით ვფინანსდებოდით, რომელიც შემდეგ შეიცვალა. ამჟამად დაფინანსების იმავე ფორმის დაბრუნებას მოვითხოვ. ეს დაწესებულება, ისევე როგორც პოლიცია და სახანძრო — მუნიციპალურია და მათსავით უნდა ფინანსდებოდეს, ე.ი. უნდა

გვექონდეს უზრუნველყოფილი და პრიორიტეტული დაფინანსება. ამჟამად ჩვენ გამოძახებთა რაოდენობის მიხედვით გვაფინანსებენ. მაგრამ მორიგეობისას სულ რომ არ იყოს გამოძახება, ელექტროენერგია მაინც ხომ იხარჯება, ქონების გადასახადიც შესატანია, წყალიც თითქმის მუდმივი რაოდენობით გვეჭირდება.

— რა მიგაჩნიათ ოპტიმალურ გამოძახვლად?

— მე ქალაქის მერიას ასეთ ვარიანტს ვთავაზობ: გაკეთდეს უფასო და ფასიან გამოძახებებს შორის საშუალო ვარიანტი. დავიანგარიშოთ დაწესებულებისთვის ფიქსირებული ხარჯი, რომელიც აუცილებელი პირობების დაფინანსებას სჭირდება და ეს დაფინანსოს ბიუჯეტმა. დაწესდეს ექიმებისთვის ფიქსირებული ხელფასი, რომლიდანაც ანარიცხები ასევე ფიქსირებული იქნება. კი ბატონო, იყოს უფასო გამოძახებები, 14 წლამდე ასაკისა და 75 წლიდან ხანდაზმული ავადმყოფებისთვის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მოხდეს საშუალო ფიქსირებული ღირებულების დაანგარიშება და ეს ყველაფრისთვის სავალდებულო იყოს. ჩემი გამოთვლებით, ამ შემთხვევაში გამოძახება 5-6 ლარი ეღირება. შეიძლება ვცდები კიდევ, მაგრამ ეს გზა მიმაჩნია ყველაზე ოპტიმალურად. მე პირადად „აღდაგის“ ხელმძღვანელობასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. საკუთარი მოსაზრებები მინდა, კიდევ უფრო დავაზუსტო. შარშანდელი წლის აგვისტომდე ჩვენ ვმუშაობდით პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა დღე-ღამეში 180 გამოძახებას. იქნებოდა ამდენი გამოძახება თუ არა, მაინც ვიღებდით დაფინანსებას. მაგალითად, თუ გვექნებოდა 181-ე გამოძახება, ეს ჩვენი გადასახდელი იყო, მაგრამ დაეკვიმდებოდა ნაკლები გამოძახების შემთხვევაში, დარჩენილი სახსრებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საშუალება გვეძლეოდა. ასეთ პროგრამას, რა თქმა უნდა, არც ერთი კომერციული სტრუქტურა არ დააფინანსებს, რადგან მოგებას ვერ ნახავს.

— ვფიქრობ, ერთ-ერთ საკვანძო საკითხს მივაღწეეთ: რა მოგებას ნახულობს თქვენთან ურთიერთობისას სადაზღვევო კომპანია?

— „აღდაგს“ ყოველთვიურად წარუვდგენთ ფურცელს, რომელსაც „პრეტენზია“ ჰქვია. ეს არის ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა დააფინანსოს, რომ მივიღოთ შესაბამისი ანაზღაურება. მაგალითად, ბოლო „პრეტენზიიდან“ კომპანიამ გარკვეული რაოდენობის გამოძახებები „ამოყარა“...

— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, რა გამოძახებების დაფინანსებაზე

ითქვან უარი?

— ეს არის ჩვენი გასვლები კოჯრის, ლოჭინისხევის, ლისის ტბის მიდამოებში, სოფელ დიდლოში, რომელიც ქალაქის მომსახურებად არ ჩაგვითვალეს. გარდა ამისა, კომპანიამ „ამოგვიყარა“ ავადმყოფის ამბულატორიაში მიღებაზე გაწეული ხარჯების დაფარვა: ე.ი., თუ ავადმყოფი ქუჩაში წაიქცა და მას მოვემსახურეთ — ფინანსდება, ხოლო თუ თავისი ფეხით მოვიდა ჩვენამდე — არა. ამოღებულია აგრეთვე ისეთი გამოძახებები, როცა, ვთქვათ, ავტოავარიის შემთხვევაში, ადგილზე მისულ ბრიგადას ავადმყოფი უკვე წაყვანილი დახვდა, რასაც არ ვეთანხმები: მისვლა-მოსვლაში ხომ გარკვეული სახსრები დაიხარჯა. „აღდაგმა“ არ დაგვიფინანსა ასევე იმ ავადმყოფის „დახმარება“, რომელიც თბილისელი არ აღმოჩნდა, არადა, ავადმყოფთან მისული ექიმები „ჩაწერის საბუთს“ ხომ არ მოითხოვენ?! ასეთი გამოძახებების „ამოყრა“ კომპანიამ ბოლო პერიოდში დაიწყო, აქამდე ყურადღებას არ აქცევდა: გამოძახებათა რაოდენობა შემოდგომასა და ზამთარში ყოველთვის იზრდება და, როგორც ჩანს, მათთვის დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა.

— ბატონო დავით, მოდიოთ კვლავ სადაზღვევო კომპანიის შესახებ საინფორმაციო საკითხს დავუბრუნდეთ. მერია დებს ხელშეკრულებას „აღდაგთან“ გარკვეული რაოდენობის გამოძახებებზე, რომლებსაც დააფინანსებს, ოღონდ მოგვიანებით, თავის მხრივ „აღდაგი“ დაფინანსებით თქვენ და ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები გამოძახება ჩაგვითვალდებოდეს?

— სწორედ ასეთი სქემა მუშაობს. მაგალითად აგვისტოში მერია 105 გამოძახებას აფინანსებდა და როცა სადაზღვევო კომპანია იმავე რაოდენობაზე გაა-

დავით გველესიანი



ფორმებს ხელშეკრულებას, მაგრამ რეალურ გამოძახებაში 80-ს ჩავითვლის, განსხვავება დღე-ღამეში 20-25, თვეში კი, საშუალოდ, 600 გამოდის. ე.ი. თუ სადაზღვევო კომპანიამ არ ჩაგვითვალა 600 გამოძახება, რომელთაგან თითოეული, 18 ლარი ღირს, დაახლოებით 10.000 ლარია მისი მოგება. ასლა გამოძახებების რაოდენობა გაგვეზარდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოგება მაინც რჩება. თუმცა, ეს ჩემი ვარაუდია და სხვისი მოგებების დეტალი ჩემი საქმე არ არის.

— როგორც ცნობილია, მერია თქვენ ფულს გიგვიანებდათ. თუ იცით, რამდენად პირნათელია „აღდაგთან“?

— რამდენადაც ვიცი, მერიას მილიონ-ნახევარი ლარი აქვს მისი ვალი, მაგრამ აქედან კონკრეტულად ჩვენზე გაწეული დაფინანსების წილი რამდენია, ვერ გეტყვით, რადგან კომპანია სამედიცინო სფეროს რამდენიმე მიმართულებიან პაკეტს აფინანსებს.

— როგორ გგონიათ, სოლიდური ორგანიზაცია რატომ დათანხმდა მისთვის ასეთ მცირე მოგებაზე (ისიც სავარაუდოდ) მუშაობას?

— ვფიქრობ, ნებისმიერი პერსპექტიული კომპანია ცდილობს, რაც შეიძლება დიდი სფერო მოიცავს. ჩვენ კომპანიას იჯარით მივეცი სადისპეტჩეროს ნახევარი, რომელსაც არ ვიყენებდით. იქ საინფორმაციო სამსახურის მოწყობას აპირებენ, რაც ჩემს სამსახურსაც წაადგება. გვირდებიან, მოგვიგვარონ 03-ის სატელეფონო ხაზის პრობლემა, რომელიც ამჟამად ცუდად მუშაობს და მისი საშუალებით, კონტროლსაც გაგვიწვევენ, თუმცა მე ყველაფერი ამით, საბოლოო ჯამში, კმაყოფილი ვარ. ისე, მასთან დადებულ ხელშეკრულებას 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა. „აღდაგის“ წარმომადგენელმა გვიპასუხა, რომ თუ პროგრამით არ არის კმაყოფილი არც თანამშრომელი, რომლის ხელფასმაც დაიკლო, არც მოსახლეობა (უფასო მომსახურების ავადმყოფთა კატეგორიაში შეტანილი ცვლილებების გამო — ავტ.) და არც სადაზღვევის ხელმძღვანელობა — არც ჩვენ გვაქვს ასეთი პროგრამის დაფინანსების სურვილი.

— ბატონო დავით, რომც აღარ განაახლოს „აღდაგმა“ ხელშეკრულება და მხოლოდ ის ვალები მოითხოვოს, რომელიც უკვე დაუბრუნდა მერიას — ასეთ შემთხვევაში, სანაცვლოდ, რა შეიძლება მოითხოვოს — მთელი „სასწრაფო დახმარების“ სამსახურს ხომ არ მიიღებს, თავისი შენობა-ნაგებობებიანად?

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა ვიმედოვნებ, ასე არ მოხდება... ■



მამუკა და მისი მეუღლე ირინა

სობას ვჭამ, მებრამ თხუთმეზ ლიბრამდე დვინოს ვსვამ

ჩემი რესპონდენტი, კოლორიტული მომღერალი, მამუკა ონაშვილი ავლარში ცხოვრობს. ის 1967 წლის 1 ივნისს, თბილისში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ცხოვრებისეული გზის არჩევისას, მამამ ურჩია, მსახიობობისთვის არ მოეკიდა ხელი, რადგან თვითონაც ხელოვანმა, კარგად იცოდა, რა მძიმეა შემოქმედის გზა...

მამუკამ და მისმა მეუღლემ, ირინამ გულთბილად მიმიღეს და თავიდანვე უშუალო სიტუაცია შეიქმნა. ალბათ ამიტომაც გულახდილად გამიზიარა თავისი „სატკივარი“:

ბოჩა ტყეშელაშვილი

– ხშირად მიწვევს ინტერვიუს მიცემა და ძირითადად, სულ ერთსა და იმავეს მეკითხებიან, კურიოზების მოყოლას მთხოვენ...

დავამშვიდე – ჩვენი საუბარი მართლ კურიოზებით არ შემოიფარგლება, თანაც წინასწარ შერჩეულ თემას – ქართველებისთვის დამახასიათებელ „ნიშან-თვისებას“ შეეხება-მეთქი. თუმცა, თავდაპირველად ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ამბების გახსენება ვთხოვე.

– საერთოდ, ძალიან მიყვარდა ქუჩა და „ბირჟაზე“ ღვომა, ამიტომაც იყო, რომ მამაჩემმა ჯარში სიამოვნებით გამიშვა და შემპირდა: ისეთ ადგილას მოგახვედრებ, ქუჩა კი არა, ქალაქიც ვერ დაინახო. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, გამიმართლა და ოდესაში მომიწია სავალდებულო სამსახური. იქ კი ათასგვარ ოინს ვიგონებდი, თავისუფლად რომ მესეირნა ქალაქში. ეს ჯან-ღონით სავსე კაცი, ხშირად „ვიწექი“ ჰოსპიტალში... ოინების შერჩევისას ზოგჯერ მარცხიც მომიდოდა. ერთხელ სხვების რჩევას დავეყვი და ექიმების თვალის ასახვევად, თოფიდან მსროლელი სპორტსმენების სამიზნე თეფშების ნამსხვრევების მტკერი ამოვისვი თვალებში. კინაღამ დავბრმა-

დი – თურმე ისეთი ნივთიერებისგანაა დამზადებული, რომ მხედველობას მართლა ვნებს. მაგრამ ბოლოს, მაინც კმაყოფილი დავრჩი: ხანგრძლივი მკურნალობა დამჭირდა.

– საესტრადო მოღვაწეობა ჯარშიც თუ მოგინათ?

– არა, იქ ესტრადასთან არავითარი შეხება არ მქონია, მაგრამ მანამდე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „ბიგ-ბენდში“ ვმღეროდი. ჩამოვედი თუ არა, ისევ სცენისკენ გამიწია გულმა, მაგრამ ოჯახთან ერთად გადავწყვიტე, რომ იურიდიულზე ჩამებარებინა, თუმცა დროულად მივხვდი, ჩემი საქმე რომ არ იყო და გამოცდებზეც კი არ გავსულვარ.

იმ პერიოდში ხშირად მიწვევდა სუფრასთან სიმღერა. მეგობრებმა მითხრეს – კარგი ხმა გაქვს და პროფესიულ სიმღერაში სცადე ბედიო.

თავპატიჟი არ დამიღვია – ჩავწერე რამდენიმე სიმღერა და 1995 წლიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიდ საესტრადო სცენაზე აღმოვჩნდი.

– როგორ შეაფასებდით დღევანდელი ქართული ესტრადის მდგომარეობას?

– ჩვენ კარგა ხანს ერთ ადგილს ვტკეპნიდით, მაგრამ ამ ბოლო დროს, ვვიქრობ, წინსვლა შეიმჩნევა. ჩემი ნება რომ იყოს, ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი.

– მანიც რას?

– აჰ! ამაზე რომ ვილაპარაკო, ორი დღე და ღამე არ მეყოფა, ამიტომ თავს

შევიკავე. ერთს კი ვიტყვი: თავიდან ასაწყობია ყველაფერი და მოსაშლელია ის დაჯგუფებები, რომლებიც ჩვენს საესტრადო ხელოვნებაში არსებობს. ეს უნდა იყოს ერთი ოჯახი. ამაზეც არ მინდა ვრცლად ლაპარაკი, რადგან, ერთხელ რომ ვისაუბრე, მაშინაც ბევრი კული გამოაბეს ჩემს ნათქვამს და უაზრო კითხვები დამაყარეს, მაგალითად – რატომ წახვედი ბათუმში ან ზუგდიდში... მე ვარ ესტრადის მომღერალი, ეს ჩემი ხელობაა, ამიტომ სადაც დამიძახებენ და ანაზღაურება მექნება, იქ უნდა ვიმღერო. თუმცა, თუ მეგობარმა ან ახლობელმა მთხოვა, ჩემთან ჩამოდი, შენი თანადგომა მჭირდება, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამოვუდგები მხარში.

– მამუკა, ანაზღაურებაზე ჩამოვარდა საუბარი და მაინტერესებს, თქვენი შემოსავლის წყარო მხოლოდ სიმღერაა?

– დიახ, მე სხვა ბიზნესი არ გამაჩნია. ეს არის ჩემი შემოსავლის წყარო და ჯერჯერობით მყოფნის.

– ყოველდღე გიწვეთ ესტრადაზე გამოსვლა?

– არა. რა თქმა უნდა, ყოფილა ჩავარდნები და ისეთი შემთხვევები, როცა მთელი თვე არსად გამოვსულვარ, მაგრამ მაინც საკმაოდ დატვირთული ვარ და ოჯახსაც ვარჩენ.

– მართლ უფრო ხშირად გამოდისართ თუ ვინმესთან ერთად?



ჯარში ყოფნისას გირებს აგრილებდა, მერე ყანწებს...

— ძირითადად, სამნი ვმღერით — მე, ზურა დოიჯაშვილი და ზურა კობეშავიძე. ერთმა მეგობარმა, რომლის სახელსა და გვარს შეგნებულად არ გავამხეღ, 10 კილოვატიანი აპარატურა გვაჩუქა, რაც დიდი შეღავათია ჩვენთვის. საქართველოს სხვადასხვა რაიონშიც გვიწევს გამოსვლა და კერძო საღამოებზეც დავდივართ.

— რა ჯდება ასეთ წვეულებებზე მამუკა ონაშვილის ერთ-საათიანი გამოსვლა?

— მარტო, ჯერ არასოდეს მიმღერია — ყველგან ჩვენ სამნი ვმღერით და ერთსაათიან პროგრამაში თითოეული 200 დოლარს ვიღებთ ხოლმე, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა ჩვენთვის 300 და 500 დოლარიც გადაუხდიათ.

— სამ ან ხუთსაათიანი პროგრამის შეკვეთისას ფასდაკლების სისტემა ან „საბითუმო“ ნიხრი თუ მოქმედებს?

— (იცინის!) არავითარი ფასდაკლება! ჩვენ ხომ არც ფენსაცემელებს ვყიდით და არც „კოლოგოტკებს“... ისე კი, ყველაზე უფრო სასიამოვნო მაინც სცენაზე, მაყურებლის წინაშე გამოსვლაა — როცა მღერი და ამავე დროს ადამიანებს უყურებ თვალებში. კერძო საღამოებზე ზოგი სვამს, ზოგი ჭამს, იცინის, ლაპარაკობენ, ზოგსაც სძინავს და ზოგს სულ არ აინტერესებს

შენი სიმღერა, მაგრამ რას იზამ?..

— ქუჩაში თუ გიმღერი-ათ?

— უბრალოდ, გიჟივით რომ დამეწყო ქუჩაში სიმღერა — ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, თუმცა კომპლექსები არ გამაჩნია და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ ადგილას ვიმღერებ. განსაკუთრებით მიყვარს საქველმოქმედო საღამოებზე გამოსვლა, რადგან ჩვენს დაბეჩავებულ მო-



სახლეობას ორი ლარის გადახდაც კი უჭირს კონცერტის ბილეთისთვის.

წელან რაიონებში გამოსვლები ვახსენე. ყოფილა შემთხვევა, როცა საზამთრო, კვახი, კვერცხი და სხვა პროდუქტები მოუტანიათ, ბილეთების საფასურის სანაცვლოდ. მათ, რა თქმა უნდა, უფასოდ ვასწრებდით კონცერტზე.

— მამუკა, პროდიუსერი თუ გყავთ?

— მე თვითონ ვარ ჩემი თავის პროდიუსერი, ასე რომ, ვისაც ჩემი მიწვევა სურს — პირადად დამიკავშირდეს (ამ დროს მამუკას მეუღლე, ირინა შემოგვიერთდა).

— ირინა, ჩვენი საუბრის მთავარ თემას მივადექით. როგორ უყვართ ქართველებს ჭამა-სმა. ამიტომ ამ კითხვას თქვენ დაგისვამთ: როგორ ახერხებთ ასეთ კარგ ფორმაში გყავდეთ მეუღლე? ალბათ გემრიელ საჭმელებს უმზადებთ...

— მამუკა, საერთოდ, ბევრს არ ჭამს და წუნიაც არ არის — რასაც ვუმზადებ, ყველაფერს მიირთმევს. ეგ არის, რომ ბევრი სმა უწევს ხოლმე...

— ბევრი რამდენს ნიშნავს მამუკასთვის?

მამუკა:

— ყოფილა შემთხვევები, როცა ქეიფში 15 ლიტრამდე ღვინო შემისვამს, ჩვეულებრივ კი, საშუალოდ, 10-13 ლიტრი ღვინის დალევა მიწევს ხოლმე კარგ სუფრასთან, მაგრამ სიმთვრალე მაინც არ მეტყობა.

ირინა:

— ძალიან კარგი სიმთვრალე აქვს. სიფხიზლეშიც სულ მეფერება ხოლმე, მაგრამ ნასვამს მაინც განსაკუთრებით ვუყვარვარ...

— ირინა, მამუკა თავიდანვე ფერხორციანი იყო თუ მერე და მერე თქვენი მზრუნველი ხელის წყალობით „შეივსო“?

ირინა:

— მერვე წელი დაიწყო, რაც შევუღლდით. პატარა ღიპი იმთავითვე ჰქონდა, მაგრამ ალბათ ჩემმა მზრუნველობამაც თავისი ქნა. უშნოდ გასუქებული ნამდვილად არ არის, თუმცა სჯობს, ვარჯიშობდეს და ნაკლებს სვამდეს.



მამუკა:

— სმასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა გამახსენდა. მაშინ ირაჯერ ჩემი მეუღლე არ იყო. ქეიფიდან ისეთი ნასვამი დავბრუნდი — მანქანის კარი გავაღე, ცალი ფეხი გადმოვდგი და... ჩამეძინა. მთელი ღამე ასე გამიტარებია. დილით მეზობელი გამოვიდა, სამსახურში მიდიოდა. ეტყობა, ვერ შეამჩნია, რომ მეძინა და შორიდანვე სმამაღლა მომესალმა. გამომეღვიძა. უცებ ვერ ვიპოვე, რა ხდებოდა. რა თქმა უნდა, მეზობლის სალამს სალამითვე ვუპასუხე, კარი მოვხურე, მანქანა დაექოქე და წავედი. თუმცა, ვერც გავიგე, სად მივდიოდი: ისევ მთვრალი ვიყავი და უცებ მეგონა, დილით გამოვედი სახლიდან და სადღაც საქმეზე მივდიოდი... მთელ უბანს ერთი წრე რომ შემოვუარე, მეორეზეც რომ წავედი, მერღვე გამახსენდა ყველაფერი...

ყველაზე ძალიან, მაინც რომელი კერძი გიყვართ?

მამუკა:

— ბორში — ირინა სასწაულად გემრიელ წითელ ბორშს ამზადებს. ხანდახან მეგობრებსაც კი ვეპატიუები ხოლმე საგანგებოდ ბორშზე.

— თქვენ თვითონ თუ შეგიძლიათ კერძის მომზადება?

მამუკა:

— ამ სფეროში რამდენიმე გამოცდის მძივს, უფრო მეტი წინსვლაც შექნებოდა, ირა რომ სამზარეულოში შესვლას არ მიკრძალავდეს...

ირა:

— სამზარეულოში შესვლას ნამდვილად ვუკრძალავ, რადგან მისი „მოღვაწეობის“ შემდეგ, სახვის ნაფცქვენნი შეიძლება ჭერზე აღმოჩნდეს...

ჩვენს საუბარს, თავის ვაჟიშვილთან ერთად მოსული ზურა დოიჯაშვილი შემოესწრო:

— მამუკა, წონასთან დაკავშირებული პრობლემები თუ გქონიათ გასტროლოგისას?

მამუკა ონაშვილი:

— ხშირად ჩამტეხია საწოლი, მაგრამ ერთხელ აბსოლუტური რეკორდი დავამყარე: დასავლეთში ტურნეს დროს 8 საწოლი ჩამიტყდა! ბოლოს ერთ ადგილას დივანი გავვიშალეს, სხვა საშუალება არ იყო და მე და ზურა ერთად დავგაწვინეს. უკვე ჩაძინებული ვიყავი, ლაწანის ხმა რომ გავიგონე. მეგონა, ისევ მარცხი მე მომივიდა-მეთქი. თურმე არა — მე ისევ დივანზე ვიწვიქი, ზურა კი — იატაკზე. თვალის ისევ დავხუჭე და თავი მოვიმძინარე...

საინტერესო შემთხვევა გვქონდა დაქანებულ ხის კოტეჯშიც. ნასვამები დავბრუნდით კონცერტიდან და მაშინვე დავწვიქით. სახლი ისე მაგრად ყოფილა დაქანებული, რომ ზურა საწოლში გადაბრუნდა და ძირს დავარდნილმა, კოტრიალით აივნამდე მიადწია. ერთი-ორი უშვერი სიტყვა კი თქვა, მაგრამ იქვე ჩაეძინა...

ზურა დოიჯაშვილი:

— რასან მასეა, მეც მოვყვები შენზე, როგორ გაიჭედე საპირფარეშოში (მამუკა თვალის ანიშნებს — გაჩუმდიო — ავტ.). მაშინაც ტურნე გვქონდა და მაშინაც კოტეჯში

მამუკა და მისი მზრუნველი მეგობარი ზურა დოიჯაშვილი

ვცხოვრობდით — თანაც, ორადგილიანში. ღამით მამუკა ტუალეტში გავიდა და აღარ დაბრუნებულა. გვესმის, ვიღაც ყვირის — მიშველეთ! გავიჭედე, ბიჭებო! თანაც ეტყობა, ფრთხილობს, უცხომ რომ არ გაიგონოს ვინმემ. გავყვებით ხმას — მოგეხსენებათ, სმენა კარგი გვაქვს და ჩვენი მეგობარი შეგვრჩა ხელში: უბედურ დღეში იყო — გამოსასვლელში გაჭედილი, ძლივს გამოვიყვანეთ...

მამუკა:

— ზურა, მოდი შევთანხმდეთ — ერთმანეთზე ეგეთი რაღაცები აღარ მოვყვით და მარტო სასიამოვნო ამბები გავიხსენოთ. აი, თუნდაც, ანტალიაში, საუნაში რომ შევედით... საერთო საუნა ყოფილა (მე მომიბრუნდა მამუკა — ავტ.), რა ვიცოდი?! ვზივარ ეს ტალიკი ბიჭი შიშველი, ზურაც გვერდით მიზის და შემოვიდა ორი „მაგარი“ შიშველი გოგო და — „ჰელოუ!“ — მოგვესალმა... დამცეცხლა, ხელები ავიფარე (იცინის)... მუხლებზე, რა თქმა უნდა. მერე წამოვხტით მე და ზურა და იქაურობას გავეცალეთ. ერთ საათზე მეტხანს ვისხედით ცივ აუზში — ძლივს დავიოკეთ ვნება...

— მამუკა, ბოლო კითხვა მაქვს, პუტკუნა ქალები თუ მოგწონს?

მამუკა:

— მე საერთოდ ყველა ქალი მომწონს — როგორც ადამიანი, რა თქმა უნდა. თუმცა გამხდრები უფრო მიზიდავენ... პუტკუნა ქალები! იფ, იფ, იფ, მაგათ ვენაცვალე!..



ხეტყუნტნქშაღშ აღშკუშ

„სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა
სავარგულია?!“

„არა ვარგა უსაზომო...“

შოთა რუსთაველი

რუსთაველი, როგორც ყოველთვის, ჭეშმარიტებას ლაღადებს – გემრიელად ჭამა კარგი რამ არის, მაგრამ ზედმეტობა, არც აქ ივარგებს. სხვათა შორის, ამ ქრესტომათიულ ჭეშმარიტებაში საკუთარ ტყავზე (ან, თუ გნებავთ, კუჭზე) დავრწმუნდი.

ორმოცი, მიცვალებულის, ასე ვთქვათ, „გაცილება-მოხსენიების“ პროცედურა გახლავთ. ტრადიციულად, მიიჩნევენ, რომ ამ დროს ნაგები კერძი სულს საიქიოში „მიუკა“ (თუ შთანთქმული სურსათ-სანოვავის რაოდენობას გავითვალისწინებთ, ზეცაში არცთუ ისე ურიგო „პარალელური ბანკეტი“ იმართება), ამდენად, საორმოცე სუსნაობა ერთგვარი გასტრონომიულ-ჰუმანური აქციაც გახლავთ.

ჰოდა, ვუზივარ საბანკეტო დარბაზში სუფრას და გულმოდგინედ „ვაწყო“, „საიქიოში გასაგზავნ“ ამანათს. ჭამა-სმის საკითხში, თქვენი მონა-მორჩილის შესაძლებლობები საკმაოდ შთამბეჭდავია, მიუხედავად იმისა, რომ, ვიზუალურად, „სუფრის კომპანის“ ნამდვილად არ ვგავარ. უკვე მოვასწარი ყველა მიმზიდველი ნუგბარის

საფუძვლიანი დაგეგმონება: სუფრა ჭეშმარიტად მეფურია, როგორც იტყვიან, სულო და გულო, რა გინდა – ჩიტის რძეც არ აკლია. ამანათის „მუშა“ სივრცე თითქმის შევავსე და ახლა პაწია კუნჭულს ჩაროზისთვის ვიზოვავ, რომელიც, ეგვიც არ მეპარება, ასეთივე მეფური იქნება. უზომოდ მიყვარს „ნაპოლეონი“ და ვაპირებ, პატივი სრული ძალისხმევით მივავო.

ხელმარჯვნივ გვერდს სასიამოვნო მეზობელი მიმშვენებს (თუ ვუმშვენებ – გემოვნების საკითხია!) – წარმოსადგევი ცისფერთვალა მამაკაცი, რომელიც გულმოდგინედ მიმტკიცებს (სიტყვით არა – საქმით!), რომ ეტიკეტის საკითხში ახალბედა არ გახლავთ: ჩემი ყოველი სურვილი წინასწარ ამოცნობილი და შესრულებულია; თეფში დაცარიელებისთანავე ივსება საუკეთესო ნაჭრებით, სასმისი მისი მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ არის, მოკლედ, ხელის განძრევაც არ მჭირდება: საჭმელს მილაგებენ, ღვინოს მისხამენ, თეფშს



მიცვლიან. ჩემი ნორჩი ნათესავი მარი, ხელმარცხნივ წამოსკუპებულია და აშკარად ტკბება სიტუაციით...

საშლამა არანორმალურად მიყვარს – ცხელ-ცხელი, ოხშივარმოკიდებული; დანახვაზეც კი ჩემში გამოქვაბულის ქალის ინსტინქტები იღვიძებს, მაგრამ, ამჯერად, სინიანი ოფიციატის დანახვაზე თვალი მიბნელებდა:

– უპაცრავად, ამას არ გიახლებით, გამაღლობთ.

– როგორ გეკადრებათ, ეს სარიტუალო კერძია და უარის თქმა როგორ შეიძლება?!

ცისფერთვალა რაინდი საგულდაგულად არჩევს ორ ვეება, მსუქან ნაჭერს (რა კომმარია!) და წინასწარ გამოცვლილ თეფშზე (უკვე ამაზეც იზრუნა) მიწყობს. სხვა დროს თვალის დახამხამებაში შევსანსლავდი და დამატებასაც მოვითხოვდი, მაგრამ ახლა მადისაღმძვრელ ნუგბარს კბილებდაკრეჭილ, ყავისფერ მონსტრად აღვიქვამ...


საბედნიეროდ, ჩემი ყურადღებიანი კავალერი სადღეგრძელოს სათქმელად წამოდგება და მეც ვსარგებლობ ხელსაყრელი შემთხვევით:

– მარი, მიშველე, რა!..

მარი გულიანად კუჭკუჭებს და თეფშიდან უფრო მოზრდილ ნაჭერს ითრევს. მე კი სიმწრის ოფლი მასხამს – სახელგანთქმული „ასეტრინა ნა ვერტელე“!

ესლა მაკლდა, ღმერთო, მიხსენი!

პროტესტის უსუსური მცდელობა



სრული კრახით ბოლოვდება. ჩემი რაინდი თვალბეჭდით ნაზად ჩამცქერის და „მაცდუნებს“ (ესეც ადამის შურისძიება!) გავსინჯო შემოთავაზებული დელიკატესი.

ახია ჩემზე, რას გამოვიპრანჭე ისე, თითქოს ბანკეტზე მივლიოდი?! იომინე ახლა გასტრონომიის ჟანრში გადართული ეროტიკული შემოტევა – იმას მძალეებს, რაც უხერხდება... (ჩვენში დარჩეს და, აქ სხვას რას შემოთავაზებს?!).

სასოწარკვეთილი, უჩუმრად ხელს ვაპარებ და კაბის ღილს ვიხსნი: ვგრძნობ – წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზმი ამიჯანყდება...

ჩაროზამდე ცოცხალმა მივალწი, მაგრამ „ამანათი“ აშკარად „გადაივსო“.

„ნაპოლეონის“ შეხედვაც აღარ მინდა, მაგრამ ჩემი გაღიმიებული კავალერი, ოფიციატს თეფშს აცვლევინებს და მოზრდილ ნაჭერს მიღებს, დაუყოვნებლივ მიფცქვინის უშველებელ ვაშლს, წამიც და... თეფშს ღამაზად დაჭრილი კულინარიული ნატურმორტი ამშვენებს...

ესეც ასე, ადამმა შური იძია, ევას ცოდვის გამოსყიდვა, როგორც ჩანს, მე დამეკვალა...

ღმერთო ჩემო – რისთვის?!

თამარა დედა გვახსენებს – მანქანა გველოდება. ცისფერთვალა ვაჟკაცი მყისიერად წამოხტება და ისე მოხდენილად მემბორება ხელზე, რომ ყველაფერს წამში ვპატიობ.

– გამოტყდი, ტელეფონის ნომერი ხომ



გამოგართვა? – გულიანად იცინის დედაშვილი. რეაქცია არაფერზე აღარ მაქვს – მარის მკლავზე ჩამოკიდებული, ძლივს ჩამოვდივარ კიბეზე და „ნივას“ დანახვაზე პანიკა მიპყრობს: ნუთუ ახლა, ამ „ვევერესტზე“ უნდა ავობობდე?

– Что, закормили до полусмерти? – კისკისებს თამარა დედა.

... როგორ ჯაყვჯაყებს ეს მანქანა – სული მეხუთება, გული მიჩერდება... ღმერთო, თავს ნუ მომჭრი, შინ მშვიდობით მიმიყვან და „ჭამა-სმის მოწინააღმდეგეთა ასოციაციას“ დავაფუძნებ...

მძიმე დამე დამიდგა...

„ამანათის გაგზავნა“ ჩაიშალა.

„მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა – თენდება თუ ღამდება...“

მასსოვს, ფუნიკულიორის საბაგიროს წინ, „ქართულ მონმარტრზე“ გამოტანილი ერთი ფრიად სახასიათო სუვენირი: თიხისაგან დამზადებული ღიპიანი კახელის ფიგურა, გაშლილი სუფრის ფონზე – მოხარული დედლით, შოთებით, ტიკით და სხვა ატრიბუტებით. ინგლისური წარწერა გვამცნობდა: "WELCOME TO GEORGIA!"

როგორც ჩანს, ამ სუვენირს მასპინძელი ქვეყნის განზოგადებული ხატის ფუნქცია დაეკისრა. შეიძლება დავეთანხმობთ ან არ დავეთანხმობთ ქართული ფენომენის ასეთ გაგულგარულებულ გაგებას, მაგრამ ერთი რამ უეჭველია – ჭამა-სმა, ქეიფი, დროს ტარება ქართული ეროვნული ხასიათის განუყოფელი ნიშან-თვისება გახლავთ. ყველამ ვიცით, რომ მნიშვნელოვანი საკითხები ხშირად სუ-

ფრასთან წყდებოდა. „ქართული სუფრა – აკადემიაა“! – გვამცნობს ფრთამოტეხილი ფრაზა. ფრთამოტეხილი იმიტომ, რომ აკადემიზმი ამ უძველეს ტრადიციას უფრო გროტესკულ-პომპეზური სახით თუ შემორჩა.

ზოგადად, ჩვენებური სუფრისთვის ყოველთვის უცხო გახლდათ ქრისტიანული ზომიერება, მით უმეტეს ასკეტიზმი, რისი დამადასტურებელიცაა, თუნდაც სმაში შეჯიბრის ტრადიცია, რომელიც წარმართული ბაკქანალიის პირდაპირი მეტევიდრეობის გამოვლინებას უფრო ჰგავს.

სამწუხაროდ, უძველესი, შესაძლოა, ძალზე ღამაში ტრადიციიდან მხოლოდ სტომაქზე აქცენტებდა შეგვრჩა. ამიტომაც სრულიად უსაფუძვლო – რომ არ ვთქვათ, სასაცილო – ლაპარაკი ქართული კულტურის ევროპულ შინაარსზე. ევროპეიზმი ზომიერებას, რაციონალიზმს და ციფ გონებას გულისხმობს, ანუ სწორედ ყოველივე იმას, რაც ასე შორს დგას ჩვენი ეროვნული ხასიათისაგან.

საქართველოს ზოლიაქოს ნიშანი გახლავთ კურო, ე.ი. ქართულ ცნობიერებას მიწის სტიქია განაგებს. ტყუილად კი არ მძლავრობს ეროვნულ ხასიათში „მიწიერი“ ლტოლვები – ჰელონიზმი, სმა-ჭამისკენ მიდრეკილება, ქეიფისა და დროს ტარების უზომო სიყვარული, სიზანტე (რიგ შემთხვევებში, სიზარმაცეც), ფულის წყურვილი, რომელიც მანკიერ გამოვლინებაში, მომხვეჭელობად გადაიქცევა ზოლმე. ბუღემია (მგლის შიმშილი) ჩვენი ეროვნული სენია, ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ქართველები ესოდენ უზომონი ვართ კალორიებთან მიმართებაში. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 1 მილიონამდე ჭარბწონიანია, თუმცა (თუ ეს დაგვაწყნარებს), აშშ-თან შედარებით, „ვარდებივით“ გამოვიყურებით: უკანასკნელი ცნობებით, იქ 34 მილიონამდე მსუქანაა და სწორედ ამით აიხსნება ამერიკელთა ფა-





ნატიკური გატაცება ათასგვარი სასწაულ-მოქმედი დიეტით.

დიეტოლოგების დასკვნით, ჭარბ წონას, პირველ რიგში, არასწორი კვება და ამის შედეგად განვითარებული ნივთიერებათა ცვლის მოშლა განაპირობებს. მთავარი, არა რაოდენობა (თუმცა, გარკვეულ როლს, ცხადია, ისიც ასრულებს), არამედ საკვების სახეობა, მისი მიღების დრო და თანმიმდევრობაა. დიდი ვერაფერი დიეტაა, თუ მთელი დღის ნაშომიღარანი, ან ზომიერად ნაკვებნი, საღამოს საფუძვლიანად დავნაყრდებით. ქართულებს კი „შემწვარი და მოხრაკული“ სიზმარშიც გველანდება – სწორედ ამიტომ ვუსუქდებით.

„საუზმეს თავად შეექცი, სადილი მეგობარს გაუნაწილე, ვახშამი კი მტერს მიართვი!“ – ღალადებს უძველესი ხალხური სიბრძნე. კვების ეროვნული რაციონი ამის სრული უარყოფაა, რაც სტერეოტიპში ფიქსირებულ ფუნქციონად – ქართულ ღიპად გვიბრუნდება.

შიმშილის მოკვლა და არა ღორმეცლობა

შიმშილის მოკვლა – არსებობის პირობაა, ხოლო ღორმეცლობა – ამ ბუნებრივი მოთხოვნის გადაგვარება. დღესდღეობით, ეროვნული კვების კულტურა, უფრო სწორედ, უკულტურობა, ღორმეცლობის წახალისებაში მდგომარეობს. ფრანგი დიეტოლოგების აზრით, საუზმე დღის კალორიების 25 პროცენტს უნდა შეადგენდეს, სადილი – 45 პროცენტს, საღამოს ნორმა კი 30 პროცენტით განისაზღვრება. უმჯობესია, ცხიმით მდიდარი საკვები მივიღოთ დილით და შუადღისას. ვახშამში

წყარო გახლავთ – ეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ქრესტომათიული აქსიომაა.

დღის განმავლობაში მისაღები პროდუქტის მასა შეიძლება ასეთ ფარგლებში მოვაქციოთ: პური – ხუთი ან ათი პატარა ნაჭერი, 300-400 გრამი ბოსტნეული, ორი ან ოთხი ცალი რომელიმე ხილი (საუკეთესოა, ვაშლი), ორი-სამი ჭიქა რძე, იოგურტი ან მაწონი, 200 გრამამდე ცხოველური ცილის შემცველი პროდუქტი (ანუ ხორცი, კვერცხი, თევზი ან ნივოზი) – ასეთია საუკეთესო დიეტა ქალბატონებისთვის, რომლებსაც სურთ აღნაგობის შენარჩუნება შიმშილის მტანჯველი გრძობის გარეშე. ძლიერი სქესისთვის ნორმები, ცხადია, იზრდება, რაც კონკრეტული მამაკაცის ფიზიკურ მონაცემებზეა დამოკიდებული. დიეტის სტრატეგიას ექიმი განსაზღვრავს.

ცნობისათვის: გემრიელი საკვებით

გამოწვეული სიამოვნების განცდა განაპირობებს კალორიების წვას, მაშინ, როცა უგემური საკვების უაზრო „ელაპვა“ აფერხებს ამ პროცესს. ჩვენი რჩევაა, მიირთვათ გემრიელად, აუჩქარებლად და ზომიერად. დიდი რაციონის შვიდ ულუფად გაყოფით შეიძლება დაიკლოთ ორჯერ მეტი, ვიდრე სამჯერადი კვებით. შვიდ მიღებაზე განაწილებული 2000 კილოკალორია უფრო ადვილად იცხრილება, ხოლო იგივე რაოდენობის ერთ ჯერზე შთანთქმა სწრაფად შეეიქმნით ჭარბი წონის პრობლემას; ამიტომ მიირთვით ზომიერად და ცოტა-ცოტა. დილით ნუ დაიზარებთ თუნდაც ნახევარსაათიან ვარჯიშს, რამეთუ ჯერ იწვის, ძირითადად, ნახშირწყლები, ცხიმების ჯერი ბოლოს დგება.

სასიამოვნო დეტალი: სამიჯნური ორთაბრიძე ენერჯიულ პარტნიორთან საათში 220 კილოკალორია მოითხოვს. გაიხანგრძლივით ეს სიამოვნება – უკუგება ორმაგი იქნება (უკაცრავად, სამმაგი – როგორც ირკვევა, ორგანოში დაბოლოებული სქესობრივი აქტი აახალგაზრდავებს სახის კანს, ასწორებს წვრილ ნაოჭებს და ამყარებს იმუნურ სისტემას).

სმა-ჭამის მიმართ ორიენტაციის სტრატეგიაში უნდა გამოიყოს ორი ძირითადი პუნქტი: 1) უზომო მადის ზომიერ ფარგლებში მოქცევა; 2) კალორიების სწორი განაწილება.

პირველს ადვილად მიაღწევთ, თუ დღეში ერთხელ მაინც (უკეთესია, დილა-საღამოს) მიიღებთ სინამაქის ჩაის, რომელიც აქვეითებს მადას და აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. მეორე პუნქტი საჭიროებს ვიზიტს დიეტოლოგთან, თუმცა, ამას სპეციალური ლიტერატურის დახმარებით თავადაც ჩინებულად მოახერხებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი სტრატეგია უფრო პუმანური და ბუნებრივია, ვიდრე შიმშილობა და კუჭზე რგოლის წამოცმა, რაც შუა საუკუნეების ინკვიზიციის მეთოდს უფრო წააგავს. ნუ გაიწამებთ თავს – სტრესი ნევროზად და, საბოლოო ჯამში, ისევ ნივთიერებათა ცვლის მოშლად დაგიბრუნდებათ.

და ყველაზე მთავარი – თქვენს დევიზად აქციეთ პრინციპი: „შიმშილის მოკვლა და არა ღორმეცლობა!“

მელა გომსაძე



საკვები, მძივე წონა

და გინესის რეკორდების წიგნი



ყველაზე მძიმეწონიანი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცთა შორის, ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე, ბრიტანელი დორიან იეიტსია: იგი 116,57 კგ-ს იწონიდა.

ოლიმპიელ ქალთა შორის ყველაზე მძიმეწონიანი, ამერიკელი ნიკოლ ბასი იყო (192,53 კგ). საინტერესოა, რომ ის ყველაზე მაღალიც აღმოჩნდა – 1,88 მ.

ყველაზე დიდი ღვეზელი 1998 წლის 23 ივნისს გამოაცხვეს ამერიკაში, ილინოისის შტატში. მისი სიმაღლე 34,9 სმ, დიამეტრი – 149,86 სმ, ხოლო წონა – 323,86 კგ იყო.




ყველაზე დიდი სენდვიჩი 1999 წლის აგვისტოში, ფირმა Marks & Spencer-ში დამზადდა. მისი ზომები იყო: 2,13მ X 2,13მ X 3,02მ.



გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირებული, ყველაზე მძიმეწონიანი ტყუპი ბილი და ბენი მაკქერები არიან (დაბ. 1946 წ.): ბილი მაკქერი 337 კგ-ს, ხოლო ბენი – 328 კგ-ს იწონის.

დღემდე სახელმწიფოს მეთაურებს შორის ყველაზე მძიმეწონიანად ტონგას მეფე, ტაუფა აპაუ ტუპუ IV არის მიჩნეული. 1976 წელს 1,90 მ სიმაღლის მონარქი 209,5 კგ-ს იწონიდა. 1985 წლამდე ის 139,7 კგ-მდე გახდა, 1993 წლისთვის კი 127 კგ იყო, ხოლო 1998 წელს, სპეციალური „გამაჯანსაღებელი“ პროგრამის გავლის შემდეგ, თითქმის სიმაღლის შესაფერის (90 კგ) წონას მიაღწია.



ყველა დროის „უმსუქნესი“ ადამიანი ამერიკელი ჯონ მინოსია: 1978 წლის მონაცემებით, იგი 185 სმ სიმაღლის იყო და იწონიდა... თითქმის 635 კგ-ს. გულის შეტევების შემდეგ ჰოსპიტალში მოათავსეს, სადაც 2 წლიანი უმკაცრესი დიეტის შედეგად, ექიმებმა მისი „დაყვანა“ 216 კგ-მდე შეძლეს. თუმცა, როდესაც ჯონ მინოსი გარდაიცვალა, 1983 წლის 10 სექტემბერს იგი 365 კგ-ს იწონიდა.

ქალთა შორის, მსოფლიოში ყველაზე მძიმეწონიანად როზალი ბრედფორდი ითვლება (აშშ). 1987 წელს მისი წონა 544 კგ-ს აღწევდა.

პლანეტაზე, ნორმალური სიმაღლის ადამიანთა შორის ყველაზე „ტანწერწეტად“ გინესების წიგნში რეგისტრირებულია ეტელ გრენჯერი – მისი წელის გარშემოწერილობა 0,33 მ იყო.

ყველაზე მძიმეწონიანი და ყველაზე მაღალი, სუმოს მოჭიდავეთა შორის, ჰავაიელი ჩედ როუენია. „დიდი ჩემპიონი“ (ასე უწოდებენ მას) 2,04 მ სიმაღლისა და 227 კგ-ს იწონის.



ლიბიანი მამაკაცი საქართველოში არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა. თავისი ღიპი ზოგს არ მოსწონს და მის „დასაგდებადაც“ იბრძვის, ზოგიც პირიქით, ღიპს კარგი ცხოვრების სიმბოლოდ თვლის და სიამაყედაც მიიჩნევს. რას წარმოადგენს, სინამდვილეში „ღიპი“ — დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი ქართული სინამდვილისთვის? და კიდევ — რამდენად თავსდება იგი ქართულ მენტალიტეტში და რა სარგებელი და ზიანი მოაქვს მამაკაცისთვის სამედიცინო თვალსაზრისით? ამ საკითხებთან დაკავშირებით, ვესაუბრებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოსომატური მედიცინისა და ფსიქოთერაპიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ბიორგი ძაწმთარაძეს.

ღიპი ბრკელიშვილი

— მეცნიერებაში ამას ჭარბი წონის პრობლემა ეწოდება. სხვათა შორის, ანალოგიური პრობლემა სხვა ქვეყნებშიც არსებობს, მაგრამ თითოეულში ეს მოვლენა სხვადასხვაგვარად არის განვითარებული. მაგალითად, ამერიკაში, რამდენადაც ვიცი, ჭარბი წონა სხეულის უკანა ნაწილის ზრდაში უფრო ვლინდება... ჩვენში კი, რატომღაც, ღიპი იზრდება.

— **მანც, რა განაპირობებს ამ, ასე ვთქვათ, „ეროვნულ“ განსხვავებას?**

— რა გითხრათ? ალბათ, უწინარეს ყოვლისა, განსხვავებული ცხოვრების წესი, რაციონი და სხვა ამგვარი. ისევე ამერიკასთან გავაკეთოთ შედარება: იქ ხომ ჩვენგან სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესია, სხვანაირი რაციონი, სხვა კვების რეჟიმი. ამერიკელებს ძირითადად, ჯდომა უწევთ — სხედან და მუშაობენ, ჭამენ და მუშაობენ... თუ ამას რაციონსაც დავუმატებთ, ალბათ გასაგები უნდა იყოს, რატომ არის ჭარბი წონა „ერთი ადგილის“ ზრდაში გამოხატული. რაც შეეხება ქართველებს — ჩვენც საკმაოდ ხშირად ვსხედვართ, მაგრამ სუფრასთან და არა სამუშაო მაგიდასთან: ქართული სუფრის დღევანდელი მახასიათებელი კი, მოგეხსენებათ, რაც არის — რაც შეიძლება მეტი უნდა „ჩაისხა“, რომ სხვებზე გამძლე და „მაგარი“ გამოჩნდეთ... აქედან გამომდინარე, ბუნებრივად უნდა იყოს, რომ ჭარბი წონა ღიპის ზრდაში გამოიხატება. აბა, დააკვირდით, რა საინტერესო კონსტრუქცია აქვს ზოგადად, ქართველ მამაკაცს, გვერდიდან რომ შევხედოთ: ის გარკვეულწილად, ცხვირის ფორმასაც მოგვაგონებს — თავიდან რომ გავავლოთ ხაზი, ის ნელა-

ნელა წინ იწევს და „კულმინაციას“ ჭიპთან აღწევს. შემდეგ კი, კვლავ დაბლა ეშვება...

— **სამედიცინო თვალსაზრისით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს „ღიპს“?**

— დადებითისა რა მოგახსენოთ? აი, უარყოფითი კი — რამდენიც გნებავთ, იმდენია. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ, სამედიცინო თვალსაზრისით, „ღიპი“ არც ისე ხელწამოსაკრავი პრობლემაა: უბრუნელესად, ეს არის ცხიმოვანი ცვლის დარღვევა — უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ორგანიზმის ჭარბი ქონით „შემოსვა“. ეს, თავის მხრივ, ნახშირწყლოვან ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს, რისი უკიდურესი გამოვლინება, შაქრიანი დიაბეტი გახლავთ. ორგანიზმის ჭარბი გაცხიმოვნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს იწვევს. დამტკიცებულია, რომ ასეთ შემთხვევებში ინფარქტის რისკი ყოველთვის გაცილებით მაღალია.

— **ბატონო გიორგი, არაპროფესიონალი მკითხველი რომ არ დაიბნეს, მოდით, ასე დავსვათ საკითხი: რას ვერ გააკეთებს ღიპიანი მამაკაცი, ჩვეულებრივი კომპლექციის კაცისგან განსხვავებით?**

— ღიპიანი მამაკაცი ხელებს ტერფებთან ვერ მიიჭნას, კბეზე ჩქარი ნაბიჯით ასვლისას, მესამე სართულს ვერ ასცდება



ქართველებს ღიპი ეზრდებათ, ამერიკელებს კი...



დადებითისა რა მოგახსენოთ? აი, უარყოფითი კი — რამდენიც გნებავთ, იმდენია. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ, სამედიცინო თვალსაზრისით, „ღიპი“ არც ისე ხელწამოსაკრავი პრობლემაა: უბრუნელესად, ეს არის ცხიმოვანი ცვლის დარღვევა — უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ორგანიზმის ჭარბი ქონით „შემოსვა“. ეს, თავის მხრივ, ნახშირწყლოვან ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს, რისი უკიდურესი გამოვლინება, შაქრიანი დიაბეტი გახლავთ. ორგანიზმის ჭარბი გაცხიმოვნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს იწვევს. დამტკიცებულია, რომ ასეთ შემთხვევებში ინფარქტის რისკი ყოველთვის გაცილებით მაღალია.

(საუკეთესო შემთხვევაში). მისი ფიზიკური დატვირთვა ჩვეულებრივ ადამიანზე ბევრად უფრო ნაკლებია — ეს გასაგებია არის: მის კუნთოვან და ძვალ-სასხროვან სისტემას ასეთი წონის ტარება უჭირს. გარდა ამისა, როგორც სპეციალისტები ასკვნიან, ასეთ მამაკაცს სექსუალური პოტენციალ საკმაოდ დაბალი აქვს.

— **ასეთი კაცების გადამკიდვე, ისიც გასაკვირია, რომ საქართველომ დღემდე მოაღწია: წინათაც ხომ იცოდნენ სუფრა, ქეიფი, ღვინის სმა..**

— დღევანდელი სუფრა, მხოლოდ გაუკუღმართებული ნაშთია იმისა, რაც ქართველებს მამაპაპათაგან მოსდგამთ. წინათ სუფრა ღრეობისა და უაზრო თრობის ადგილი კი არ იყო, არამედ ბრძნული სერობისა და ჯანსაღი დროს ტარების საშუალება. გარდა ამისა, რაც არ უნდა ესვა და ეჭამა ქართველ კაცს, მანც მუდმივი, მძიმე შრომით უწევდა ოჯახის რჩენა.

ჭარა-ეჭიმი გურიდან

ნინო მუხარბიაძე



დღეს კი... დიპიანი პოლიციელის ფენომენი, ალბათ მარტო ჩვენში თუ იქნება — პისტოლეტის ამოღებაზეც კი იმხელა ძალისხმევა უწევს, რომ ქოშინით კვდება — აღარაფერს ვამბობ ახალგაზრდა და ჯანმრავალი ბოროტმოქმედის შეპყრობაზე... დღევანდელ ვითარებაში, ეს პრობლემა, საერთო ფიზიკური მომზადებიდან, უფრო სწორედ კი, მოუმზადებლობიდანაც გამომდინარეობს. ქართველი ახალგაზრდობის უმეტესობა, დღეს ქუჩაში „აბირყავებს“. სპორტის კი არა — ელემენტარული ფიზკულტურის ხსენებაზეც კი, სიცილით იხოცებან...

თან, მამის მაგალითსაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს: როდესაც მთელი შეგნებული ცხოვრება იმას უყურებს, რომ მამაშენის უმნიშვნელოვანესი „საქმიანობა“ სუფრასთან ჯდომა, ჭამა-სმა და ფუყე სადღეგრძელოების თქმა — უკეთესს რას მოიფიქრებ?! ჭარბი წონაც და ღიპიც ჩვენში, ცხოვრების არაჯანსაღი წესის გამო დამკვიდრებული.

რამდენად შეიძლება, რომ გენეტიკური იყოს ჭარბი წონა?

— რა თქმა უნდა, გენეტიკური მიზეზებიც არსებობს. ენდოკრინულ სიმსუქნეს, ზემოთ ნახსენებ „ღიპთან“ და სოციალურ მოტივებთან არანაირი კავშირი არა აქვს. ეს წმინდა სამედიცინო ხასიათის პრობლემაა და ნივთიერებათა ცვლის სისტემის დაზიანებით არის გამოწვეული.

თუმცა, აქ ერთი ხელოვნურად შექმნილი მომენტიც იქნეს თავს: რატომღაც ჩვენში ითვლება, რომ ბავშვი აუცილებლად პუტკუნა და მსუქანი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მშობელი მიიჩნევა, რომ „რალაც ვერ არის წესრიგში“. ჰოდა, უზომოდ „ტენიან“ საწყალ ბავშვებს საჭმელს... არადა, ჯანმრთელი ბავშვი ზუსტად იმდენს ჭამს, რამდენსაც მისი ორგანიზმის განვითარება მოითხოვს. თუ ავადმყოფურად გამხდარი და „უჭმელია“, სამედიცინო თვალსაზრისით უნდა გამოიკვლიო — კოვზი კი არ უნდა „ტენო“ პირში... სხვა შემთხვევაში, ისეთ ბავშვს გაუუჩნეთ გასუქებისადმი მიდრეკილებას, რომელსაც საამისოდ, არც გენეტიკური და არც ორგანული წინაპირობა არ ჰქონდა.

დასკვნის სახით, ისევ და ისევ გავიმეორებ: ჭარბი წონა, ე.წ. „ღიპი“, სოციალური ფაქტორებით არის გაპირობებული და ჩვენი ცხოვრების არაჯანსაღი წესის აშკარა გამოვლინებაა.

დავიწყებ იქედან, რომე, ნამეტნავად პატივისცემით ვარ განწყობილი გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და მისივე ჟურნალის — „გზის“ მიმართ. თქვენი გურული ჟურნალისტებისაგან გამოყოფილმა ინფორმაციამ (იმაზე, რომ აპირებთ „გზის“ ერთი ნომერი მსუქან ადამიანებს მოუძღვნათ) ჩემდღეც მოაღწია. ჰოდა, ავტყფი მეც „სამგლე გოჭივით“ და აი, წერილი გავაშვანშვალე.

„სკორი“ მატარებლით მიწოდდა გამომეგზავნა, მარა რაის „სკორი“ — იმისთანა უმუქობა და ძაბვის ვარდნილობა — ვიძახი, მთელი გურია „პოლუმრაკში“ ვცხოვრობოთ-თქვა. თქვენ ქემინც 220 ვოლტს გაძღვევენ და ჩვენ 20-საც არა...

ახლა, გაკვირვებაზე თუ დევიწყე ლაილი, მსუქნები ქე დამჩრება გვერდზე. აი წერილი, ბოდიში მიკადრებია, პაწა ჩქარაა დაწერილი, მარა თქვენ ნელა წეიკითხეთ.

მსუქანი ხალხი რომ ნამეტნავად პრეტენზიული ხალხია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამაში ექიმების ჯარიც დამიკრავს კვერს. ჰოდა, სანამ მაგნის ქონებზე დევიწყებდე ლაპარაკს, მთლად გადაგებურჯენე „მედიცინსკაია ენციკლოპედიას“ ოცდაათივე ტომი. ამ ბიოლოგიების და ანთროპოლოგიების ბუტურს ყური რომ დუუგლო, გეღიერევი. მაგნის ნაზრევისაგან თავს ვიკავებ — ვინიცობაა, თქვენც არ გეღიერიოთ. მარა, მეცნიერთა ცინცქალი მონაცემები რომ ჩამივარდა ხელში სიმსუქნის ამბებზე, გულმა არ მიქნა, თქვენა რომ არ მომიწერა.

თურმე თავის დროზე სიმსუქნის პრობლემის წარმოშობას აქსელერაციას უკავშირებენ. 80-იან წლებში კაცობრიობამ საშუალოდ 15კგ-ით მეძიბა, საქართველოშიც კომუნისტების დიპებმა პარალელურად, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად სწორედ იმ დროს მიადწია პიკს. მერე „პერესტროიკა“ წამეწია და წეიყვანა „ჩაფუშვისკენ“. ამიხაა სწორედ, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მსოფლიოში ადამიანთა სხეულის მასამ 12%-ით რომ დეიკლო. იაპონია რას უჩივის, თუ იცი? — კაცობრიობა იკლებს არა მარტო წონასა და სიმაღლეში, არამედ ღონეც აკლდებაო. დიტუუ! რეიზა ვარ თბილი — თურმე 17 წლის ჭბუკები დღეს 10კგ-ით ნაკლებს წევენ, ვიდრე 60-იანი წლების მათი თანატოლებიო. რავა დამსაყრდით და დევიფეხვით, თუ ატყობთ. XXI საუკუნის ბაღნები რაფერი იქნებაო, თუ იცი? მეცნიერთა პროგნოზით, ახალშობილთა წონა დეიკლებსო. თუ 70-იან წლებში „გიგანტები“ 4,5კგ-ს იწონიდნენ, აწი 3კგ-ს მიუახლოვებიანო, მამებთ გამოყვანა აღარ დაჭირდებათ — აი კი, რაცხა კარგად მენიშნა, ხომ იცი —

ეგება წეინაცვლოთ გამრავლებისკენ. ბაღნები გვიან დეიწყებენ ტარტყანსო, გვიან ამუუვათ კბილებიო, მაი კაია — ნაკლებს შეჭამენ. მოზრდილები, გამხდრები და წვრილძვლიანები იქნებიანო — აბა, რა იქნება, თუ არ შეჭამენ?! სქესი მომავალ თაობას ნაკლებად დაინტერესებსო — ა, ამფერი აბდლური ამბავი თუ გუუგონია ყურს, — აი, ამიხა, აგენს ყველეს გვერდზე ყერი და გირჩევთ, რაცხა პერიოდში პაწაზე დამიგლოთ ყური:

— მსუქნებო! თუ რამე იმოვეთ ამ ყიამეთ ზამთარში, არ დუუწყოთ პაიყო. „რასაცა გასცემ შენიაო“ — აფერიც, აღარ გამოვადგება, იმიხა, რომე გასაცემი აღარაა.

— დეეთხუეთ ამ გლახა „დეიტობანას“. „ბორშისი“ დეიტაო — ბოლოს ნამეტანი რომ იყო მოდამი და „ბანკებს“ რომ ასრიგინებდით სამსახურში.

— დეეთხუეთ შარდის დაღვევას, დაფნის ნახარშებს და ბროწეულის ოყნებს, ხომ დეინახეთ, რას ჩივა „ფრანცუესკი“ და „ამერიკანსკი“ მეცნიერები — ყველა დეიკლებს, ვინც დასაკლებიაო. იმინუთში ნუ მეთიხოვთ „ანგელოზკობას“ და ნარნარს. ერთი გზობა თუ არ გაამართლებს, მეორე გზობა ხომ გაამართლებს!

— დეეთხუეთ ტინეციობას, ვლობა რამეფრად გევიჭრვოთ, რასაც ვიშოვით, სულ ამ კუჭს მივცეთ, სული რომ არ გავკძრეს. ნენა, ნენა, ნენა, რა დროია დამდგარი?! კვების ბიუჯეტიზა რაფერ ვერ ვზოგავთ ოჯახობა ელანძე, თუ ატყობთ!

ჩემი სურვილი ამინუთში რაფერ გამეიყურება, თუ იცი? — ნ. ხოფერიას სტაფილოსფერი წიფნი რომაა სამხარეულო რეცეპტებით გამოტენილი, ისე მენახოს თქვენი მაცივრები საჭმელით და „პრაპიზიით“ გამოძეგილი. მაგ რეცეპტების პრაქტიკულ კეთებაში ყოფილიყავით ხელდებაკაპიწებული თქვენი ბუნებრივი ცისფერი აირის თანხლებით... კილომ, ღმერთმა კაი მადაზე გამყოფოთ სულ!...

რას მიირთმევს პარლამენტი?!

რას მიირთმევს ჩვენი პარლამენტი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით? თითქმის არაფერს. მოპოვებულ მასალას თუ დავეყრდნობით, პოლიტპერსონები, სამუშაო რეჟიმის პირობებში, ძირითადად, ბოსტნეულით და ორცხო-ბილით იკვებებიან. „ასეთი უჭმელი ხალხი არ მინახავს“, — ნერვიულობს ბუფეტის დიასახლისი ლიდა გაბადაძე.



ნანა ქიბიშაური

ლიდას „სალონში“ იდეალური სისუფთავაა. თუმცა, სხვა ე.წ. საზოგადოებრივი კვების ობიექტების მსგავსად, აქაც შეხვდებით კედელზე გაკრულ წარწერას: „საჭმელები ნისიად არ გაიცემა!“ როგორც ვაიკეთ, ეს წარწერა თარჯიმნებს პრობლემას უქმნის, რადგან უცხოელ სტუმრებს უჭირთ მისი არსის გაგება. მაგრამ ჩვენი პარლამენტი ყველაფერს უცხოელებზე ხომ არ გათვლის! ბოლოს და ბოლოს, მოკლედ უპასუხონ: „ასეა საჭირო და მიტომ!“

... ბუფეტში ყოველი პარასკევი „გენერალური უბორკების“ დღედ არის გამოცხადებული. ამ დღის „მთავარ თემად“ კი, ქლორიანი ჯვარისით მაგილების და ჭურჭლის რეცხვა ითვლება. ეს საქმე დეპუტატების შრომის ნაყოფიერებასთან პირდაპირ კავშირშია, რადგან, პარლამენტის დეზინფიცირებისათვის მიღებული ზომების წყალობით, ჩვენი დეპუტატები საპირფარეშოსკენ დინჯი ნაბიჯებით, ღირსებით სავსე სახეებითა და თავდაჯერებული გამომეტყველებით მიემართებიან.

პარლამენტართა კუჭ-ნაწლავის უსაფრთხოებაზე ორი ექიმი ზრუნავს. ისინი საკვებად პროდუქტების ვარგისიანობასთან ერთად, ქალბატონი ლიდას ჯანმრთელობასაც ყოველკვირეულად ამოწმებენ. ესეც „აქოური წესია!“

როგორც მედიცინაში კარგად ჩახედულმა ერთმა დეპუტატმა აგვიხსნა, ეს აუცილებელიც კი არის, რადგან: „ქალბატონი ლიდა დამშეულ პარლამენტარებსა და გემრიელ კერძებს შორის, „გამტარის“ როლს ასრულებს და მათ ერთმანეთთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე აკავშირებს“. ესეც ასე! ახლა თავად ლიდა დეიდას მოვუსმინოთ.

— მე ქვრივი ქალი ვარ. სახლში ინვალიდი ბავშვი და მოხუცი დედა მყავს. ამიტომ დავთანხმდი ბუფეტში მუშაობას. პროფესიით საქონელმცოდნე-ეკონომისტი ვარ. 1970 წლიდან ამ საქმეს ვემსახურებოდი. პარლამენტში კი 3 წელია, რაც ვმუშაობ.

— დღეში რამდენ ადამიანს ემსახურებით?

— ჩვენთან ყოველდღიურად 50 კაცამდე სადილობს. იანვარში დეპუტატებს ბევრი გაცდენა აქვთ. შესაბამისად, ჩვენთანაც ცოტა ხალხი შემო-

დის.

— როგორია პარლამენტის მენიუ?

— მსუბუქი. პარლამენტარები ძირითადად ბოსტნეულით იკვებებიან. მოსწონთ ბოსტნეულის სალათები, ქათმის რულეტი. თითქმის ყველა დეპუტატს უყვარს შემწვარი კარტოფილი. მიერთმევენ ხაჭაპურს, ნამცხვარს, სვამენ ჩაის და ყავას. ალკოჰოლიან სასმელებს თითქმის არავინ ყიდულობს.

— თქვენ ამბობთ, რომ პარლამენტარებს მადის საქმე ვერ აქვთ კარგადო. მაშ, საიდან ამდენი „ბუთხუზა“ დეპუტატი?

— არ ვიცი, ჩემთან ძალიან ცოტას ჭამენ.

— ნისიად ბევრი სადილობს?

— კი, ავერ მაქვს სია. ამ ნისიების გამო, ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდი. ვალები რომ დამედო, მერე გამოვაკარი წარწერა — „საჭმელი ნისიად არ გაიცემა!“ ნისიები კი მაინც არის — უარს ვერავის ვუბნები. ეს ხდება მაშინ, როდესაც ხელფასებს უგვიანებენ. ხელფასებს აიღებენ თუ არა, ისევ პატიოსანი გადამხდელები ხდებიან.

ვინ რას მიირთმევს, ვის რა პრეტენზიები აქვს, ან ვინ რამდენჯერ მოხვდა ნისიების რვეულში — ეს ინფორმაცია ქ-მა ლიდამ „პროფესიულ საიდუმლოებად“ შერაცხა და არ გაამჟღავნა: სხვა გზა არ იყო და დახმარებისათვის პარლამენტში მომუშავე თვალმახვილა ჟურნალისტებს მივმართე.

პარლამენტარები ჟურნალისტებმა ორ კატეგორიად დაყვეს: „უბრალოე-



ბად“ და „ელიტარებად“. პირველი კატეგორია კადრულობს ბუფეტში „შებრწყინებას“. მეორეს კი კაბინეტში ლანგრით უნდა მიართვან სადილიც და ყავაც. ისინი ძირითადად დღის მეორე ნახევარში სადილობენ. მაგიდასთან კი, პოზიციების მიხედვით, „კუტოკებად“ სხდებიან. გამოკითხვის დროს ყველაზე „შინაურული“ დეპუტატების წოდება ვიცე-სპიკერმა გივი წერეთელმა მოიპოვა. ის ყველაზე ხშირად სადილობს ბუფეტში და ხშირ შემთხვევაში, ფენოვან ხაჭაპურს გეახ-



ლებათ. ლიდა გაბადაძემ, ყველაზე „უბრალო“ და მისთვის საყვარელ დამკვეთად ელენე თევდორაძე დაასახელა, რომელიც მხოლოდ უშაქრო ჩაის სვამს. გაიაჯყელს თურმე ფენოვან ხაჭაპურზე და „ეკლერზე“ „აბოღებს“. თენგიზ ჯგუშია ყველაზე ხშირად ხორციანი წვნიანს და „სალიანკას“ მიირთმევს. რეზო ადამია მხოლოდ ფენოვანი ხაჭაპურით სადილობს. მიმა სააკაშვილი ხილის ნატურალური წვენების ტრფიალი ყოფილა. ედვარდ სურმანიძეს გამაგრებელი წვენებისკენ ჰქონია „მიდრეკილება“. გოგი თოფაძეს მოსწონს „თოფაძე“ და მოითხოვს, რომ მისი ლუდით „უკუღმა“ სადღევრძელოები არ დალიონ. ვიტალი ხაზარაძეს თევზი „ევასება“, რეზო ყიფიანს კი იმერული ხაჭაპური.

ჟურნალისტების დაკვირვებით, პარლამენტის ბუფეტში მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალები უფრო მაღიანად სადილობენ. მამაკაცები კი, ქალებისგან განსხვავებით, ბევრს ჭკორაობენ და ამ

მიზეზით ბუფეტში უფრო მეტ დროს უწევთ ყოფნა.

ერთმა ჟურნალისტმა გაიხსენა წინა მიწვევის დეპუტატი ნესტან კირთაძე, რომელმაც სადილებით დახუნძლულ უზარმაზარ ლანგარს მის თვალწინ, ელვის უსწრაფესად გაუკეთა „ლიკვიდირება“. „ეს ჰგავდა კიოს ფოკუსს: თეფშებიდან სალათები ქრებოდა და ის ჭამდა ძალიან ბევრს და ძალიან „სექსუალურად!“ – ასეთი ორიგინალური შეფასება მისცა ქალბატონი ნესტანის ჭამის მანერას ჩემმა კოლეგამ.

პარლამენტის ბუფეტში რამდენჯერმეა „შემჩნეული“ მაია რჩეულიშვილი. „ერთ რამედ ღირს იმის ნახვა, როგორ სადილობს ეს ქალი: ის მიირთმევს დიდ ლუკმებს, ამას აკეთებს ძალიან მოხდენილად, სწრაფად, საქმიანად და უკომპლექსოდ! ამ დროს მის სახეზე წაიკითხავთ: „კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ!“

პარლამენტის ბუფეტში სამარხვო კერძები არ მზადდება. თუმცა, დეპუტატთა დიდი ნაწილი ჯიუტად ამტკიცებს, რომ მარხულობს. როდის უჭირთ ყველაზე მეტად ცდუნების გაძლება?

ამ კითხვაზე გაცემული მათი პასუხებიდან ირკვევა, რომ მარხვიდან გადახვევის ყველაზე მაღალი პროცენტი, გემრიელი სადილის სურნელზე მოდის. სხვებისგან განსხვავებული ვერსია ლევან გაჩეჩილაძეს აქვს: ის ამბობს, რომ წელიწადში ერთხელ მარხულობს და ამ დროს მისთვის ყველაზე სახიფათო ცდუნება... ლამაზი ქალია!

„დიდი გაცდენების“ შემდეგ, პარლამენტარები ხშირად ჰკოცნიან ერთმანეთს ალბათ ამიტომ, ყველაზე არაპოპულარულ სადილებად ბუფეტში „მუჟუჟი“ და ნივრით შეკაზმული სხვა სადილები ითვლება.

პარლამენტის დიასახლისი – ლიდა გაბადაძე იმედოვნებს, რომ გამოზაფხულებასთან ერთად, მათი ასორტიმენტი და მენიუ უფრო მრავალფეროვანი გახდება, დეპუტატები ვალესაც გაისტუმრებენ, ნისიების რვეულსაც დახევენ, მადაც გაეზრდება და მამასადაძემ... იბერია გაბრწყინდება!



ბრძენ უცვის დარჩენენი

● მოერიდეთ ყურსასმენით მუსიკის დიდი ხნით მოსმენას, ეს ყურადღებას აღუნებს და სმენასაც აქვეითებს.

● ხშირად ჩაიტარეთ სუნთქვითი ვარჯიშები: ჩაისუნთქეთ, რაც შეიძლება დიდხანს შეიკავეთ პაერი და ნელ-ნელა ამოისუნთქეთ.

● მამაკაცებო! არ დაგავიწყდეთ, რომ ქალის უარი ზოგჯერ... თანხმობას ნიშნავს.

● მუშაობის პროდუქტიულობისა და ხარისხის ასამაღლებლად სამუშაო კედელზე გასაკრავი კალენდარი „თბილი“ ფერების მიხედვით შეარჩიეთ.

● არ იწუწუნოთ სამსახურში – ეს საქციელი გულშემატკივრებს ვერ შეგმატებთ.

● თხილამურებზე სრიალის სწავლა მხოლოდ ინსტრუქტორის მეთვალყურეობით დაიწყეთ.

● მეგობრისთვის ისეთი საჩუქარი შეარჩიეთ, რომელიც თუ არ გაათბობს – სითბოს ასოციაციას მაინც შეუქმნის.

● მოერიდეთ სიცრუეს: ტყუილების ხშირად თქმა, თანდათან ავადმყოფურ ჩვევად გადაგექცევათ.

● ადამიანთან დაახლოებას, თავის შეცოდებით ნუ ეცდებით.

● რაიმე პროექტზე საუბრისას, დეტალებზე ბოლოს გაამახვილეთ ყურადღება.

● არ მოგერიდოთ საკუთარი თავის გაკრიტიკება – ამით მხოლოდ სიმპათიას დაიმსახურებთ.

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის ნიენაკიდან:

1. შვიდი ოქტომბერი ვლადიმერ პუტინის დაბადების დღეა.
2. გიორგი დანელიას ფილმი „არ იდარდო“, კლოდ ტელიეს ნაწარმოების, „ბიძაჩემი ბენჟამენის“ მიხედვით არის გადაღებული.
3. მუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ინვესტორი გახეთი „ნიუ-იორკ თაიმსია“.
4. როდესაც მრავალფეხა მაქსიმალური სიჩქარით გარბის, მიწას ერთდროულად მხოლოდ მისი სამი ფეხი ეხება.
5. უსინათლოთათვის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი პირველი წიგნი საფრანგეთის ისტორია იყო.
6. აკვედუკს მამაპაპურად ბელლარი ჰქვია.
7. ნეტავ, შოთა რუსთაველისთვის სიტყვა ალიტერაცია თუ იყო ცნობილი? P.S. ყოველ შემთხვევაში, უამისოდაც დიდებულად გამოხდილდა: „კარვის კალთა ჩახლართული, ჩაგჭერ ჩაუკარაბაკე“.
8. გამონათქვამი – „სახელმწიფო ეს მე ვარ“ – ლუდოვიკო XIV-ს ეკუთვნის.
9. სერჟიო ლიონეს ფილმში „კარგი, ცუდი, ბოროტი“ ელივ ვოლანის გმირს ტუკო ბენედიქტო პასიფიკო ხოსე მარია რამირესი ერქვა.
10. საბჭოთა მოქალაქეს ავტოქარხანა ახალნაყიდ მანქანაში 7 ლიტრ ბენზინს უსხამდა.
11. ცხიმინობის მიხედვით სელაპის რძე პირველ ადგილზეა. ცხიმში მისი რძის 60%-ს შეადგენს.



რძე პირველ ადგილზეა. ცხიმში მისი რძის 60%-ს შეადგენს.

12. „საიდუმლოს შენახვა სამ ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ორი მათგანი მკვდარია“, – ამბობდა ბენჟამინ ფრანკლინი.
13. ბურების ომში, ბურების მიერ დატყვევებულმა ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილმა სამი კვირის შემდეგ მოახერხა გაქცევა. P.S. ჩერჩილი შვიდთვიანი იყო.
14. პაბლო პიკასოს ძალზე უყვარდა თავისი პატარა ქალიშვილი. „იგი სუსტი სქესის იდეალური წარმომადგენელია – პასიური და მორჩილი“, – ამბობდა მხატვარი.
15. „ქალაქში მიმინოს რა უნდა“ ნოდარ დუმბაძის მოთხრობაა. P.S. ამ



ჩიო ჰგავს ყინვოს „მარშრუტის“ მძღოლი

მარინა ბაბუნაშვილი

ძველი თბილისის აუცილებელ, ცოცხალ „ატრიბუტს“ კინტო წარმოადგენდა. ყარაჩოხელს უფრო ჰკუთვნებოდა და ღირსეული კაცის სახელი ჰქონდა, კინტო კი ცუდლუტი და თავგასული „ქუჩის ბიჭი“ იყო.

კინტოც და ყარაჩოხელიც იმიტომ ვახსენე, რომ ამას წინათ ერთ ინციდენტს შევესწარი, რომლის დროსაც აღშფოთებულმა მოსუქმა მამაკაცმა სამარშრუტო ტაქსის მძღოლების მისამართით გამოთქმული უკმაყოფილება ასე გამოხატა: ამ კინტო მამაძაღვებს აღარაფრის რცხვენიათ – ისეთი თავგასულები არიან, ლამისა, ადამიანები ერთმანეთს კალთაში ჩაუსვან, ოღონდ ბევრი 50 თეთრიანი მოაგროვონ! კინტო კი არა, რომ ვუყურებ, კინტოზე უარესები არიანო!

აი, ასე – რაღა კინტო და რაღა სამარშრუტო ტაქსის თავგასული მძღოლი. ვისაც საკუთარი მანქანა არ აქვს და სამოძრაოდ საზოგადოებრივ ტრანსპორტს იყენებს, „მარშრუტკებში“ ბევრ ინციდენტს შესწრება – თუ თავად არ მიუღია მონაწილეობა, მაგალითად, იმის მსგავს ამბებს, რომელთა მომსწრეც მე გახლდით და ახლა, „სურათების“ სახით წარმოგიდგენთ.

სურათი პირველი

ბოლო გაჩერებაზე, შესასვენებლად და კოლეგებთან სალაზნანდაროდ გასული მძღოლი ღროდადრო ენერგიულად შემოიფიქს თავს სალონში და ნაცადი თვალით, მგზავრებს ითვლის. ეტყობა, მგზავრთა რაოდენობა არ აკმაყოფილებს, ამიტომაც სულაც არ ჩქარობს და „მარშრუტკის“ გადავსებას ელოდება. წინა სკამები თითქმის შევსებულია. ხვნემა-ხვნემით ორ დიდ ჩანთას მოათრევს მსუქანი ქალი,

ძლივს ამოდის საფეხურზე და ბოლო, ოთხადგილიან „სავარდელზე“ მოიკალათებს. ჩანს, მშვირია და ცელოფანის პარკის შემაწეხებელი ჭრიალ-შრიალის შემდეგ, მოზრდილ ფუნთუშას ამოაბერნის და ცისკენ ფიქრიანად მზირალი, გემრიელად ჩაფლავს სახეს რბილ მასაში...

სამარშრუტო ტაქსი, როგორც იქნა, შეივსო. მძღოლმა კვლავ მზიარულად შეათვალიერა ხალხი და ის-ის იყო, ისევ გაბრუნებას აპირებდა, რომ ერთ-ერთმა ახალგაზრდა კაცმა ვეღარ მოითმინა და შეუტია:

– კაცო, დროზე წაგვიყვანე, აივსო „მარშრუტკა“, ვერა ხედავ?

– რას ჰქვია, აივსო, – უკან ორი რო ზის?!

– შეუტია მძღოლმაც.

– იმ ორსაც გზაში აიყვან, რა!

– რო ვერ ავიყვანო, შენ გადამიხდი?

კამათში ახლა სხვა მამაკაცი ჩაერთო:

– რას ჰგავს თქვენი საქციელი, ყმაწვილი? აბა, რამდენ ხანს უნდა ვიდევო – ჩვენ აქ მოცილილები ხომ არ გვინივართ!

– გეჩქარება და მართო შენ დაიქირავე ტაქსი და წაი სახლში! – კვლავ იმოძღვრება მძღოლი, მერე უცებ გადაწყვეტს, რომ „გზას ბარაქა დააყენოს“ და მანქანას ქოჭავს.

ცოტა ხანში აჩერებენ. ისიც გადაწყვეტს, რომ დარჩენილი ორი ადგილი შეავსოს და... აი, აქ იწყება მთავარი...

– ჩვიწიეთ, ქალბატონო, პაწა და დასვით ეს კეთილმოზიბილი ხალხი! – ზრდილობად დაიღვარა მთლად.

მსუქანი ქალი, რომელიც ამასობაში მეორე ფუნთუშაზე გადავიდა, გაკვირებული იყურება აქეთ-იქით და ჩუმად კითხულობს:

– რა ჩავეწიო?

აუხსნეს, რაც უნდა გაეკეთებინა. ქალმა ცოტა ხანს იციდვინა, მაგრამ არაფერი გამოუ-

ვიდა.

– რა იყო, ქალბატონო, სახლში გეჭამა მაი „ბულკები“, მეგონა ორი ადგილი კიდე მქონდა და იმდენი ვიჭამაოთ, ვეღარავინ ეტყვა მანდ! – წყნა შეეპარა ხმაში.

– ეგ თქვენი საქმე არა არის, რამდენი გჭამე და როდის... – ხმას აუწია მსუქანმა ქალბატონმა.

ახლა კი გაცეცხლდა „თავაზიანი“ მძღოლი:

– დეღუა, გადამრეცს ეს ხალხი! მაქანა ყოველთვის ოთხი ეტევა და ჩემი პრობლემა რეიზა უნდა იყოს თქვენი სქელი გავა?

– რაო, გავაო? – აიფოფრა ქალი. – წესიერად ილაპარაკე, თორემ გავას, სადაც მიგიყვან, იქ გაჩვენებ მერე..

– რად მინდა შენი გავის ჩვენება – ფული გადაიხადე!

– ჰო, კარგი, ორი კაცისას გადავიხდი და თავი დამანებე! – უცებ დათმო ქალმაც.

– ორისას რავა გადამიხდი – სამის ადგილი ვიჭირავს! ჩადე, ქალო, ეგ ბულკი ცოტა ხანს ჩანთაში, გეიხადე მაი შუბა და ეგება, ერთი მაინც ჩააკვებო მაქანე! – შესთავაზა ოპტიმალური ვარიანტი მძღოლმა.

– შენ ცოტას ხომ არ „ურეკინებ“?! ჯერ ჩაიწიო, მერე გაიხადეო, ახლა ჩააკვებო – კიდევ რას მოინდობებ? – ახლა კი მართლა გაცეცხლდა ქალი, თან ნერვოზობისგან რამდენჯერმე „მწარედ“ ჩაბიჩა ფუნთოშმა.

– ა, ხალხო, გამამტყუნეთ ახლა! არავისაც არ დავესამო, იძანის და თან ჭამას არ ეშვება! მაღე იმ ერთ კაცსაც წამოავადებს ზეზე, გვერდით რომ უზის. დევილუბე – ყველა ვიყო, მე რაფრა უნდა გადავიკილო.. ნუ ჭამ, ქალო, ამდენს, თორე ერთი „მარშრუტკა“ არ გეყოფა შენ..

ქალს ლუკმა ყელში გაჩხირა და ხველა აუტყდა, თვალები გაუფართოვდა, ვეღარ ამოისუნთქა და ატყდა ერთი ალაჩიოთი. ზოგმა ბეჭებზე დასცხო, ზოგმა ყურის ბიბილოები დაუსრისა და ვალიდოლი ჩაუდო პირში. ძლივს მოსულიერდა ქალი.

მძღოლი ამჯერად ხმაძალა ვეღარ ბედავდა პროტესტის გამოთქმას და ჩუმიად თავისთვის ბუზღუნებდა: რა დღეში ვარ, კაცო! ყველას მე რავა „უფუტორო კოჭი“? ჩემი ბრალია, ის ქალი 120 კილოიანი რაო? მაგი მისი პრობლემა და ვერ გევიგე, რატომ უნდა გადამიხადოს ერთი კაცის ფული, მარა ჯანდაბას მაგის თავი... კინაღამ დეისჩჩო და ვეცე მე დამბრალდებოდა...

სურათი მეორე

ერთ-ერთი „კინტო-მძღოლი“ მაქროლებდა თავის „ლურჯას“, თან მავნებლონზე „აღრიალებდა“ თანამედროვე ჰიტებს, მაგრამ მუსიკის მაკორული განწყობა მგზავრთა სახეებს სულაც არ ახალისებდა – პირიქით, ყველა თავის სავიქრალს მისცემოდა. ახალგაზრდა მძღოლი კი, უფრო და უფრო უმატებდა

სიჩქარეს და ისე „მაგელებდა“ მანქანას, რომ დიდ-პატარა ორმოებსაც არად დაეიდევდა... მგზავრები რამდენჯერმე გვარანად რომ შეჭანჭყარდნენ, ერთმა ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა ამოიძახა:

– ამას ხომ არ ჰგონია, კარტოფილი უყრია მანქანაში? ეი, მეგობარო, ხალხი გიზის აქ და ცოტა ფრთხილად იარე, რა! რაც დილას ჩაი დავლიე, ლამისაა ამოვასხა პირიდან?

მძღოლმა სარკიდან შეათვალიერა და ასევე „ზურგიდან“ შეაგება კითხვა:

– ეგ ჩაი მღულარე იყო თუ საშუალოდ თბილი?

მგზავრი ჩასწვდა ირონიას და სწრაფად მიუგო:

– მღულარე არ ყოფილა, მაგრამ იმდენად ცხელი კი იყო, თავზე რომ გადაგესხას, უსათუოდ დაგწვავს...

– კაი, თუ ძმა ხარ, მაცალე გამხიარულე ბა... კარგ გუნებაზე ვარ და ნუ მომშხამავთ ახლა!

– ახლა შენს კარგ გუნებას ჩვენ ნუ გადაგვაყოლებ, თუ არა, შენც წაიტენ კისერს და ჩვენც დაგვაძტვრევ...

მძღოლისა და მგზავრის შეკამათებით შემინებულმა ბავშვიანმა ქალმა მანქანის გაჩერება მოითხოვა. ჩასვლისას 50 თეთრიანი მაწორა ჭკუამხიარულ მძღოლს, მან კი იცოტავა და ბავშვის საფასურის გადახდაც მოითხოვა.

– ეს ბავშვი სკოლის მოსწავლეს ჰგავს და რატომ არ უხდით მგზავრობის ფულს?

– „მარშრუტკაში“ ადგილის მეტი რა იყო?! იმიტომაც მოვივი გვერდით, თორემ მგზავრები რომ ამოსულიყვნენ, კალთაში ჩავისვამდი! – აღმოთდა ქალი.

– ბავშვი ხომ კარგად იჯდა სკამზე, ხომ იმგზავრა? ჰოდა, უნდა გადამიხადოთ.

– როცა მანქანაში ადგილი არ არის, მგზავრებს ფეხზე აყენებ და იმათ რა, ფულს არ ართმევ? – ახლა კაცმა დაუსვა „ჩამჭრელი“ კითხვა.

– ვართმევ, მერე?

– მერე, სულ სათქვენოდ რატომ „გემლებათ“? თავს გახვევით, ლამისაა ადამიანები ერთმანეთზე „დაალავოთ“.

– რა ვქნა, თუკი მგზავრებს სიამოვნებით ჩახუტება?! – ისევე გამხიარულდა მძღოლი. – მე თქვენკენ – თქვენ კი ეშმაკებისკენ. ამას წინათ, ერთ კონტა, მოკლეკაბიანი გოგო ამოვიდა, ადგილი არ იყო, ფეხზე დგომას კი, არჩია – იქვე ბიჭის გვერდით როგორმე მიმჯდარიყო... იმათ თუკი სიამოვნებთ ახლოს ყოფნა, რა ვქნა, მე ხომ არ ჩავუდებ შუაში ხანჯვალს!..

ამის თქმაზე სიცილი ატყდა და დაძაბული სიტუაცია განიშლდა, თუმცა... სამარშრუტო ტაქსით ვინც სარგებლობს, ყველა დამეთანხმება, რომ სამარშრუტო ტაქსის 10 მძღოლიდან 9 მაინც ნამდვილად არის... კინტო!

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკოდან:



მოთხრობის გმირი – ბელურა, ასე უღერტულებს: „ჩირიკელა კალაუსტა კიკიჭი, კიკიჭი, კიკიჭი“.

16. საუკუნის დასაწყისში თბილისის ქუჩებში ტრამვაის გამოჩენამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ხალხში ხმა დადიოდა, ვავონის ბორბლებზე ეშმაკები სხედან და ტრამვაისაც ისინი მართავენო. ბევრს სჯეროდა, რომ ხილზე გადასვლისას ეშმაკები ხილს ტეხდნენ და ტრამვაის



მგზავრებს დალუპვა ელოდათ. P.S. ტრამვაიაში ჩაჯდომას განსაკუთრებით ქალები ერიდებოდნენ. ამის მიზეზი ქალაქში გავრცელებული ლექსი იყო:

„მარგალიტი ძვირია, ლეჩაქი ორპირია, ვინც კი ტრამვაიაში ჯდება, მისი ქმარი ვირია“.

17. ინდიელელი მატარებელს რკინის გველს ეძახდნენ.

18. „შშორო, დამპალო, ნიავის საღვერავო!“ – ამ სიტყვებით ილანძღებოდა ქალაქში ჩამოსული 15 წლის ხევსური – ჯურხა წიკლაური.

19. ცნობილ კინორეჟისორს, გიორგი დანელიას, ულაპარაკოდ სწამს საიქიო ცხოვრების არსებობის. მას იმედი აქვს, რომ იქ თავის გარდაცვლილ შვილს შეხვდება.

20. შექსპირის სიტყვათა მარაგი 12 ათას სიტყვას შეიცავს.

21. ხვლიკი სუნს ორად გაყოფილი ენით შეიგრძნობს.

22. ზვიგენს თვალის დამცავი აპკი აქვს, რომელსაც თავდასხმის დროს ხუჭავს.

23. ზევსი ურანოსის და გეას შვილი-იშვილი იყო.

24. ოდევკოლონ „სამურაის“ გამოშვები ფირმის მეპატრონე აღენ დელიონია. P.S. აღენ დელიონს კინოში 87 როლი აქვს შესრულებული.

25. მძღოლს რომ არ ჩაეძინოს, ამერიკის ბევრ ქალაქში ასფალტს ისე აგებენ, რომ ყოველ 5 კილომეტრში მანქანის სალონში მცირე ხმაური შეიჭრას. P.S. ამერიკელი მძღოლები ჩვენს გზებზე უნდა ატარო, საჭესთან კი არა, ლოგინშიც აღარ დაეძინებოთ.

2000 წლის 5 თებერვალს, თბილისში, კრწანისის რაიონში მდებარე ერთ-ერთ ძველ საქვებთან მკვლელობა მოხდა. ამ ფაქტმა იქაური მოსახლეობა განსაკუთრებით შეძრა, რადგან მოკლულს, სხეულზე არც ნატყვიარი, არც ცივი იარაღის კვალი არ ეტყობოდა. როგორც გაირკვა, მას ცემით ამონადეს სული.



«არტ შრმა მამაჩემი გადაკოცნა, მერე კი სხვაგან წაიყვანა...»

13 წლის წინას მას შემდეგ მამა ცოცხალი არ უნახავს — არტურმა იგი სასიკვდილოდ სცემა

მეზი სანავა

დამნაშავე 21 წლის არტურ ყალაბეგაშვილი, მისი მსხვერპლი კი — ორი შვილის მამა, 38 წლის ვასილ ჯანიაშვილია. ყალაბეგაშვილი და ჯანიაშვილი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. ამბობენ, მათ ერთმანეთთან საკმაოდ კარგი, თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, მათ შორის მომხდარმა ერთმა გაუგებრობამ ეს ურთიერთობა სადისტურ მკვლელობამდე მიიყვანა.

2000 წლის ზამთარში არტურ ყალაბეგაშვილი აფრიკის დასახლებაში, თავის მეგობართან — ჩაზიქ სულეიმანოვთან ცხოვრობდა. სულეიმანოვის ცოლ-შვილი იმ პერიოდში სოფლად იმყოფებოდა, თავად კი, ბინაში მარტო იყო. არტურს მეგობრის მეზობლად მცხოვრები გოგონა უყვარდა და ხშირად რომ ენახა, დროებით საცხოვრებლად სულეიმანოვთან გადასვლა გადაწყვიტა. მეგობარმა მას ბინის მეორე გასაღები ჩააბარა და გასაშინაურებლად სრული თავისუფლება და ყველანაირი პირობა შეუქმნა.

ერთ დღეს, როდესაც არტური შინ დაბრუნდა, სულეიმანოვის ბინა გაქურდული დახვდა. ეს უკანასკნელი ღიღოს ბაზრობაზე ვაჭრობდა და ამდენად, სახლში ბევრი ძვირად ღირებული ნივთი და გასაყიდი საქონელი ჰქონდა. ბინიდან თითქმის ყველაფერი იყო წაღებული.

გიორგი ყალაბეგაშვილი, არტურ ყალაბეგაშვილის მამა:

„ჩემი შვილი მეუბნებოდა — მას შემდეგ, რაც ბინა გაქურდეს, ჩაზიქი სხვანაირად მიყურებს, ვგრძნობ, რაღაცას ეჭვობს, არადა არ ვიცი, რით დაუმტკიცო, რომ მასთან ცამდე მართალი ვარო. ამასობაში, სულეიმანოვისთვის მისივე სადარბაზოში მცხოვრებ ჯანიაშვილებს უთქვამთ — შენი ბინის ქურდს სხვაგან რად ეძებ, როცა მთავარი დამნაშავე შინ გყავსო. ამ

სიტყვებმა არტურის ყურამდეც მიადწია, იგი მივიდა ვასილ ჯანიაშვილთან — ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრთან, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა და უსაყვედურა, ჩემზე ასე რატომ ლაპარაკობო. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემს შვილს იმავე კორპუსში მცხოვრები — სხვა მეზობელი შეხვედრია და უთქვამს — 14 იანვარს, სწორედ იმ დღეს, როცა სულეიმანოვის ბინა გაიქურდა, ჩაზიქის აივანზე ვასილ ჯანიაშვილი და მისი ძმა დავეიჭვდით — სხვის დადანაშაულებაში ასე იმიტომ აქტიურობს, რომ ალბათ ნამდვილი დამნაშავე თავად არისო — ვამბობდით. როგორც არტური მეუბნებოდა, მას შემდეგ ის ვასილს რამდენჯერმე შეხვედრია კიდევ, გამოუტყვინა და პირობაც ჩამოუთმევია, რომ ნაქურდალს პატრონს დაუბრუნებდა. ვასილი თურმე ეუბნებოდა — დღეს არა, ხვალ — და დროც ასე გაჰყავდა. არტურს მოთმინების ფილა აევსო, უბანში ყველა იმას ლაპარაკობდა — თითქოს მეგობრის ბინა სწორედ მან „გატეხა“, ჩემს შვილს უნდოდა, სიმართლე რაც შეიძლება მალე დაემტკიცებინა. ამ მიზნით, ის 5 თებერვალს ჯანიაშვილის სანახავად „აფრიკის“ დასახლებაში წავიდა“.

პროკურატურის ინფორმაციით, მოვლენები ასე განვითარდა:

2000 წლის 5 თებერვალს არტურ ყალაბეგაშვილმა ვასილ ჯანიაშვილს სახლში მიაკითხა და სულეიმანოვის ბინის „გატეხასთან“ დაკავშირებით, საქმის გასარჩევად გარეთ გაიყვანა. იქ მას თავისი მეგობარი — პ. ზავარიანი ელოდებოდა, რომლითან ერთადაც ჯანიაშვილი ტაქსით, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის ქუჩაზე არსებულ ძველ საქვებთან მიიყვანა. როდესაც მანქანიდან გადმოვიდნენ, ხანმოკლე, დაძაბული

საუბრის შემდეგ, ჩხუბი დაიწყო. ამ დროს, დაახლოებით 16.00 საათი იქნებოდა, ინციდენტს იქვე მომუშავე მუშები შეესწრნენ. ერთ-ერთი მათგანის თქმით, მან ახალგაზრდის (ყალაბეგაშვილის) ხელში ჯოხი დაინახა. ყალაბეგაშვილმა ჯანიაშვილი სასტიკად სცემა, რის შემდეგაც მიატოვა და წავიდა. რაც შეეხება ზავარიანს — როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, ის ჩხუბში არ ჩარეულა და არც გაშმაგებული მეგობრის დამოშმინება უცდია.

მათი წასვლის შემდეგ, დასისხლიანებულ ჯანიაშვილს ყურადღება იქ მყოფმა მუშებმა მიაქციეს და „სასწრაფო დახმარებას“ გამოუძახეს. მიუხედავად ამისა, სასტიკად ნაცემი ვასილ ჯანიაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გიორგი ყალაბეგაშვილი:

„არტურს ვასილი მართლაც უცემია, მაგრამ არა მოკვლის განზრახვით — თვითონ ამბობს (ამას სხვა მოწმეებიც ადასტურებენ), რომ წამოსვლის წინ ვასილს უთხრა — ახლა მე ისევ „აფრიკაში“ ავლივარ, 5 წუთში იქ ამოდი და უბანში თქვი, რომ ბინა შენი გაქურდულიაო. ელოდებოდა კიდევ და ბიჭებისთვისაც უთქვამს, სულ ცოტა ხანში მოვა და იტყვის, რომ ბინა მან გაქურდაო. ვასილი კი, თურმე, საავადმყოფოში წაუყვანიათ, სადაც მალე გარდაცვლილა. ალბათ, დროული დახმარება არ აღმოუჩინეს და იმიტომ...“

21 წლის არტურ ყალაბეგაშვილს მეუღლე და სამი წლის შვილიც ჰყავს, თუმცა იგი მასთან გაყრილია. ყალაბეგაშვილი ადრე ქურდობისთვის ნასამართლებიც იყო, რის გამოც ციხეში ერთი წლის მანძილზე იჯდა. ამჯერად პროკურატურამ მას 106-ე (განზრახ მკვლელობა) და 360 (2)-ე (თვითნებობა) მუხლები შეუფარდა. რაც შეეხება პ. ზავარიანს — იმალება, პოლიცია კი, დანაშაულის დაფარვის გამო ეძებს.

მკვლელობის საქმეს მთავრდება-კრწანისის რაიონული სასამართლო განიხილავს. პროცესზე გარდაცვლილის შვილი, 13 წლის ნინა ჯანიაშვილი დაჰკითხეს. ჩვენებისას მან განაცხადა, რომ არტურ ყალაბეგაშვილი მათთან სრულიად დამშვიდებული მივიდა და შეხვედრისას მამამისი – ვასილ ჯანიაშვილი გადაკოცნა კიდევ. გოგონას თქმით, ამის შემდეგ ისინი საღვაც წავიდნენ.

ლია მაისურაძე, განსასჯელ ყალაბეგაშვილის ადვოკატი:

„პროკურატურამ ყალაბეგაშვილს 106-ე და 360-ე მუხლები სრულიად უმართებულოდ წაუყენა, რადგან საქმის მასალებში საამისო მტკიცებულებები, ფაქტობრივად, არ არსებობს. ის, რომ ყალაბეგაშვილს ჯანიაშვილი განზრახ არ მოუკლავს და, უფრო მეტიც, მსგავსი აზრი იმ დღეს თავში არც მოსვლია – იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას არც დანა, არც სხვა რაიმე ცივი, ბასრი ან ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდა. გარდა ამისა, ჩხუბი დღისით, მზისით, 4 საათზე ქუჩაში მოხდა. დამეთანხმებით, მკვლელობის განზრახვის მქონე ადამიანი მიზნის მისაღწევად ხალხმრავალ ადგილს არ აირჩევდა. თანაც, ჯანიაშვილს ის არ გაწირავდა, რადგან, ყალაბეგაშვილის ინტერესებში იყო, რომ ჯანიაშვილს უბანში სიმართლედ ეთქვა, ამის გაკეთება კი მხოლოდ გარდაცვლილს შეეძლო. ჯანიაშვილმა ყალაბეგაშვილს დაუდასტურა, რომ ბინიდან ნივთები მან წაიღო და ისიც უთხრა – გარდა მუსიკალური ცენტრისა, ყველაფერი ვაჭრებს გასაყიდად დავეურიგეო.“

ცემის შემდეგ, როგორც ამას შემთხვევის მომსწრე მოწმეები ადასტურებენ, ყალაბეგაშვილმა მუშებს სთხოვა, წყალი მოეტანათ და ჯანიაშვილისთვის სისხლი ჩამოებანათ. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ვფიქრობ, ეს იმის ბრალია, რომ ექიმებმა, ნათესავების მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობის გამო, მისთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა არ იჩქარეს“.

ადვოკატის თქმით, მოსამართლემ ყალაბეგაშვილს პროკურატურის მიერ წაყენებული მუხლები უნდა მოუხსნას.

ლია მაისურაძე, ადვოკატი:

„106-ე მუხლი მოსახსნელია იმდენად, რამდენადაც განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონია, 360-ე

კი პროცესუალური დარღვევით იქნა შეფარდებული. დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციის დროს იქნა დაშვებული, რომელიც თვითნებობის შესაბამის მუხლს არ ითვალისწინებს. მიმაჩნია, რომ ყალაბეგაშვილს უნდა შეუფარდონ 110-ე მუხლი – ადამიანისთვის სხეულის მიძიმე დაზიანების მიყენება, რასაც სიკვდილი მოჰყვა“.

აღნიშნული მუხლი, განზრახ მკვლელობისგან განსხვავებით, 3-5 წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯას ითვალისწინებს.

ადვოკატის ამ არგუმენტების მიუხედავად, დაზარალებულის მხარე აცხადებს, რომ განსასჯელმა ვასილ ჯანიაშვილი განზრახ, საღისტურად მოკლა. მათი თქმით, – ისევე, როგორც ყალაბეგაშვილის ახლობლების მტკიცებით, – სულემანოვის ბინის გაქურდვის გარდა, სხვა მიზეზი, რასაც ჯანიაშვილსა და ყალაბეგაშვილს შორის უთანხმოების ჩამოგდება შეეძლო, არ არსებობდა. გარდაცვლილის ნათესავები იმასაც უარყოფენ, რომ ჯანიაშვილი ექიმების უყურადღებობის გამო დაიღუპა. ამის დასასაბუთებლად ისინი ექსპერტიზის დასკვნაზე მიუთითებენ, სადაც წერია, რომ გარდაცვლილს სხეულზე ბლავი სუნის დარტყმით მიყენებული მრავალი დაზიანება აღენიშნება. სასიკვდილო კი, სწორედ მსგავსი სუნით (გამოძიების მიხედვით, ჯოხის) თავის არეში მიყენებული ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა.

ნინა ჯანიაშვილი, მოკლულის მუღლდე:

„... ძალიან გაგვიკვირდა, როცა გვითხრეს, საქმე სასამართლოს გადასცესო. გამოძიება ნორმალურად დასრულებული არ არის, საქმის მასალებში დანაშაულის ძირითადი მოტივი გაურკვეველია, მთავარი მოწმეები არ ჩანან...“



2000 წლის 5 თებერვალს ჩემი მეუღლე ავად გახლდათ და სახლში იწვა. შუადღისას, მეზობელ კორპუსში მცხოვრებმა ბიჭმა – გოგამ მოაკითხა და უთხრა – შენთან მოსულები არიანო. რა თქმა უნდა, ჩავიდა. იმ დროს ეზოში ჩვენი შვილები იყვნენ, მათ დაინახეს, რომ თეთრ, დაბურულმინებიან „ფიგულში“ რამდენიმე, დაახლოებით 4 ადამიანი იჯდა და ვასილი შუაში ჩაისვენს... მანქანა, თურმე, ელვის სისწრაფით დაძრეს და საღვაც წავიდნენ. იქ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ როდესაც სახლში მოასვენეს, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ეს იყო წინასწარ გამიზნული, განზრახ მკვლელობა, რომელიც ერთმა კი არა, რამდენიმე ადამიანმა ჩაიდინა. გარდაცვლილს თვალები დათხრილი ჰქონდა, თავის ქალა 3-4 ადგილას გაჩეხილი, ისე, რომ იქიდან ტვინი ჟონავდა, ძვლები დაღეწილი და, რაც ყველაზე მთავარია, წვივები საშინლად დარბილებული იყო – ესე იგი მას ფეხებზე მანქანითაც გადაუარეს. სამწუხაროდ, ექსპერტიზის დასკვნაში ყველა დაზიანება დაწვრილებით აღწერილი არ არის.

ის, რომ შემთხვევის ადგილას მუშები და გამელელები იყვნენ, სინამდვილეს არ შეეფერება. საქაბესთან მათ რამდენიმე შეიარაღებული პირიც დახვედებოდათ. დღეს მკვლელები, ჩემი ქმრის საღისტურად მოკვლას უარყოფს. მისი როგორ უნდა დაეჯერო მას შემდეგ, რაც მისმა ახლობლებმა სიჩუმის სანაცვლოდ, 1.000 ლარი შემოგეთავაზეს. მე ვასილის სულს ჭუჭყიან ფულზე არ ვყიდი, მათ კი დოლარებით უკვე მთელი პროკურატურა მოისყიდეს...“

38 წლის ვასილ ჯანიაშვილს ორი არასრულწლოვანი შვილი – 13 წლის ნინა და 15 წლის ალექსანდრე ღარჩა. მათი დაობლებით დამწუხრებული, გარდაცვლილის ნათესავები განსასჯელის მხრიდან მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებას 12.000 ლარის ოდენობით მოითხოვენ.

რაც შეეხება თავად არტურ ყალაბეგაშვილს, იგი ღუძილის უფლებით სარგებლობს: წინასწარი გამოძიებისთვის ჩვენება არ მოუცია. სასამართლოს კი იგი მოწმეთა დაკითხვის შემდეგ მოახსენებს თავის პოზიციას.

მე სანაგვეთოს მოქალაქე ვარ!

უცნაურსა და თავისებურ ადამიანებს რა დალევს ამ ქვეყანაზე... ჩემი რესპონდენტის დასახასიათებლად საკმარისია რამდენიმე მყვირალა სიტყვა — ანარქული, გიჟური და რომანტიკული... კაცი, რომელიც სუფთაა თავისი სიტყვითა და საქმით და შემოქმედი, რომლისთვისაც საზღვრები არ არსებობს — ასეთია გიორგი კახიძე (თუმცა მას „ბუნდოვანის“ ფსევდონიმით იცნობენ).

გიორგი 32 წლისაა, ჰყავს მეუღლე, 8 წლის ქალიშვილი და უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებული კაჭკაჭი, სახელად „კატო“. გიორგის ოთახში შესულს თავი ფოტოგალერეაში მეგონა. რას აღარ ნახავდით იქ — ვისოცკისა და ტერენტი გრანელის უზარმაზარ ფოტოებს, კედელზე დაკიდებულ უცნაურ კოლაჟებს, ვისოცკის საფლავიდან ჩამოტანილ მინას და... ტერენტი გრანელის საფლავის ქვას, რომელიც გიორგის რამდენიმე წლის წინ პეტრე-პავლეს სასაფლაოდან წამოუღია...



ნობო ჯაგახიშვილი

— ამ სახლში წინათ ცნობილი აკადემიკოსი, ბატონი ოთარ ევაძე ცხოვრობდა. ერთხელ ნოსტალგია მოსძაღებია ბ-ნ ოთარს და დედაჩემისთვის უთხოვია, ძველ კერას მოვიზიანებო. ჩემს ოთახში შესულს, ტერენტი გრანელის სურათები და მისი საფლავის ქვაც შეუმჩნეველი არ დარჩენია. გაცხებულა კაცი და ღელასთვის ერთი უცნაური ამბავი მოუყოლია: თურმე ბ-ნი ოთარის და სწირად უკრავდა როიალზე. ტერენტიც სწირად მდგარა გაღებულ სარკმელთან და მუსიკის ჰანგებით ტკებოდა. მასპინძელს არაერთხელ შეუპატიჟებია თავისთან სახლში, მაგრამ ყოველთვის უარი მიუღია. ერთხელ კი, ეტყობა, მიპატიჟებით თავგაბეზრებულს ფანტასტიკური, თითქოს წინასწარმეტყველური სიტყვები უთქვამს ბ-ნი ოთარისთვის: „რა მნიშვნელობა აქვს, შემოვალ თუ არა. დადგება დრო, როდესაც ამ სახლში სულ სხვანაირად აღმოქვამენ და გამიხსენებენ“... ასეც მოხდა... ბ-ნი ოთარის მონაყოლი ღვთის სასწაულად მივიჩნიე... ჩემთვის ხომ ტერენტის პოეზია იმდენად ახლობელია, რომ ერთხანს, უნებურად, გრანელისეულ სტილზეც კი დავიწყე ლექსების წერა. 7 წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე დავდიოდი მის საფლავზე და ტერენტიზე დაწერილი ლექსების პირველ პირს საფლავის ქვის ქვეშ ვტოვებდი. მინდოდა, ჩემი პირველი ამონახუნთქი იქ დარჩენილიყო, პოეტთან...

— გიორგი, შენ იყავი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე მდგე იმისა, რომ ტერენტი გრანელის

ლის ნეშტი პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადაესვენებინათ, რატომ?

— იმიტომ, რომ ტერენტისთვის ძალიან ახლობელი იყო პეტრე-პავლეს სასაფლაო: პოეტი იქ სწირად დადიოდა, ახალ წელსაც ხშირად, ეკლესიის სამრეკლოზე, ერთი ჰიკა წითელი ღვინითა და ერთი ნაჭერი შავი პურით ხვდებოდა ხოლმე... ეს ყველამ ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ მაშინდელ მწერალთა კავშირს „ქულების დაწერა“ უნდოდა... ყველაფერს რომ თავი დაანებოთ, ქრისტიანული თვალსაზრისითაც, მიცვალებულის ამოთხრა და სხვაგან გადასვენება, ვფიქრობ, მკრეხლობად ითვლება. ამიტომ ერთი კვირის მანძილზე დღე და ღამე ვდარაჯობდით ტერენტის საფლავს, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს — ერთხელ, ძალიან დაღლილები, სახლებში წავედით და დილის 7 საათზე დაბრუნებულეხს, აღარაფერი დაგვხვდა. დიდუბის პანთეონში მაშინ მივედით, მესაფლავემ უკანასკნელი პეშვი მიწა რომ მიაყარა საფლავს. ძალიან კარგი კაცი იყო ის მესაფლავე, ორი წელი უანგაროდ უვლიდა ტერენტის საფლავს. საოცარია, მაგრამ ზუსტად ტერენტის საფლავთან მდგარ სკამზე დალია სული, ინფარქტმა დაარტყა. თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა — 19 88 წელს მაშინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდით) ყულაბა დავდი და 650 მანეთი მოვაგროვე. ამ ფულით ზუსტად ისეთივე მარმარილოს ქვა გავაკეთებინე, ტერ-

ენტის სურათითა და მისი ცნობილი სიტყვებით: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა...“ ასე აღვადგინე ტერენტის ძველი საფლავი. როგორც პეტრე-პავლეს მაშინდელმა მესაფლავემ მითხრა, თურმე მთლიანად ვერ მოხერხდა ნეშტის გადასვენება. ასე რომ, დღეს ტერენტი გრანელი ორ საფლავში ასვენია. ალბათ ესეც პოეტის ბედისწერა იყო... დღევანდელი გადასახედიან, ყველაზე კარგი და მნიშვნელოვანი საქმე, რაც XX საუკუნეში გამოიკეთებია, ზუსტად ის არის, რომ შთამომავლობას გენიალური პოეტის საფლავი, სადაც 53 წელი განისვენებდა, არ დაუკარგე...

— ფსევდონიმად მაინცდამაინც „ბუნდოვანი“ რატომ აირჩიე?

— უფრო ადრე ძალიან სასაცილო ფსევდონიმი მქონდა — „დაბრედილი“, მაგრამ მერე „ბუნდოვანი“ გავხდი. ეს უფრო შემეფერება: ბუნდოვანია ჩემი შინაგანი და პოეტური სამყარო და იმიტომ. შეიძლება დღეში ასჯერ შემეცვალოს მსოფლმხედველობა და მე თვითონაც არ ვიცოდე, რა მინდა. ისე კი „ბუნდოვანი“, ყველას რატომღაც ჩემი ნამდვილი გვარი ჰგონია და მეკითხებიან: სვანი ხარ თუ სომეხი, ვერ გაურკვევიათ ჩემი სადაურობა. არადა, ქართლელი ვარ წარმოშობით.

— ბუნებით პესიმისტი ხარ. როგორია შენი პოეზია?

— ალბათ უფრო, ავანგარდული — ყოველგვარი ტრადიციის ნორმას არის აცდენილი. აბსოლუტური თავისუფლება და სიხალე პოეზიაში — ეს არის

ჩემი სტილი. საერთოდ, შემოქმედს უნდა შეეძლოს, რაღაცას შეეწინააღმდეგოს და რაღაცა „რქებით გაიტანოს“. ამიტომაც, თუ ჩემი ადრინდელი შემოქმედება უფრო პესიმისტურ ტალღაზე იყო აწყობილი, ახლანდელი უფრო თამამია და ოპტიმისტურ განწყობას ქმნის.

— მაგრამ ერთ-ერთ ლექსში კატეგორიულად აცხადებ: „მე სანაგვეთის მოქალაქე ვარ!“ არა მგონია, სანაგვეთის მოქალაქეობა ოპტიმისტურ განწყობაზე აყენებდეს კაცს.

— იცი რა, მაგ სიტყვებით აბსოლუტურად ყველაფერია ნათქვამი. ნაგავში ვცხოვრობთ და ჩვენ ყველა ამ ნაგავის ატრებიუტები ვართ. მეტი არაფერი! ეს რეალობაა, რას იზამ...

— აბა, რა გასულდგმულებს ამ ნაგავში?

— სიყვარული! პოეტ კაცს სხვა რა შეუძლია მიუძღვნას საყვარელ ქალს, თუ არა ლექსები. შეყვარებულობის უამს არაჩვეულებრივი ლექსები იქმნებოდა... ერთ ლექსს წაგვიკითხავ, უკანასკნელმა სიყვარულმა რომ დამაწერინა:

— „ოცი წლის წინ გავიცანი... მე შემოძლია ხელის გულზე დაგატიო, თანაც ყველაფერი გაპატიო, გარდა მთქნარებისა — იმ მთქნარებისა, რომელიც მოსაბეზრებელ საუბრებს მოჰყვება... მაგრამ შენ ვიცე, მჯერა — არ დაამთქნარებ, შენ არ მოგბეზრდები — ალბათ, ან — იქნებ...“

თუმცა ჩემი ყოველი სასიყვარულო ამბავი ფიასკოთი მთავრდებოდა ხოლმე, მაინც ვფიქრობდი, რომ შემოქმედი კაცი მუდმივად შეყვარებული უნდა იყოს...

— იქნებ შენს უჩვეულო გატაცებებზეც მითხრა ორი-ოდე სიტყვა...

— დედისერთა ვიყავი და მთელი ბავშვობა იმას ვფიქრობდი, თავი როგორ გამერთო. რას აღარ ვაგროვებდი — ასანთის კოლოფებიდან დაწყებული, მანქანის საბურავებით დამთავრებული. დინოზავრი არ მყავდა სახლში, თორემ სხვას ყველაფერს ნახავდით ჩემთან: ხვლიკებს, რომლებიც ერთხელ ამოდვრნენ თავიანთი „საკნებიდან“ და მთელ ოჯახში უდარდელად დასეირნობდნენ, ზახუნებს და ზღვის გოჭებს... ექვსი წლის წინ კი 5 გერმანული ნაგავი მყავდა. გარეთ რომ გამოვდიოდი, ჩემს ქუჩაზე სახლები და სადარბაზოები იკეტებოდა ხოლმე — ეგონათ, ვიღაც ვიჟი მოდიოდა... ბოლოს გადავწყვიტე, რომ ადამიანებთან ურთიერთობისთვის ყველას ფრინველები სჯობს. ძალიან კომუნიკაბელურები არიან და იმიტომ. ადრე 150 სხვადასხვა ჯიშის ფრინველი მყავდა სახლში, ყველა მე თვითონ დავიჭირე. არ არსებობს ჩიტი, რომელსაც ხმაზე ვერ ამოვიცნობ, რომელია... ახლა მარტო 5 პატარა ჩიტი და „კატო“ მყავს — დანარჩენები ტყვეობიდან გავათავისუფლე. „კატო“ ძალიან კარგად გამოთქვამს რამდენიმე სიტყვას (ამაში მე თვითონაც დავრწმუნდი, — ავტ.) — „ბუდას“, ოჯახის წევრების სახელებს და არც მოკითხვისა და ჭამა-სმის ცერემონიებში

მოიკოჭლებს: გამარჯობა, როგორა ხარ? — შეგეკითხებათ, საკვებსაც მოითხოვს: მშია!

— ე.წ. „უღმერთო რელიგიით“ — ბუდიზმით დაინტერესებაც ერთ-ერთი მორიგი გატაცებაა?

— ბუდას გზას უდიდეს თავყანს ვცემ, მყავს მოძღვარი და მინდა, რომ თბილისშიც არსებობდეს ბუდისტური ტაძარი (საქართველოში სულ 20-30 კაცია ბუდიზმის მიმდევარი). თუმცა მოკჩენი, ტიბეტური ბუდიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელსაც ვიზიარებ, როდი კრძალავს სხვა რელიგიის აღმსარებლობას. მე ვარ ქრისტიანი, ჩვეულებრივად, ქრისტიანულად მონათლული. ისე, ქრისტიანობასა და ბუდიზმს შორის თითქმის არანაირი განსხვავება არ არის. ბუდიზმიც, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი რელიგია, სწორად ცხოვრების გზას გიჩვენებს.

— მაშინ, ბუდიზმამდე რამ მიგიყვანა?

— ალბათ უფრო მისტიკურმა და მაგიურმა მხარემ დამაინტერესა. თანაც, ბუდიზმში ვიპოვე ყველა იმ კითხვაზე პასუხი, რომელზეც ვერც ეკლესიამ გამცა და ვერც მოძღვარმა... საერთოდ, ინდუიზმი ყოველთვის მაინტერესებდა. წელიწად-ნახევრის წინ შემთხვევით, ინდოეთიდან ჩამოსული ტიბეტელი ბერი გავიცანი. თუნძინ ჯინ პა, პროფესიით ექიმი აღმოჩნდა. უკვე 6 თვე იყო, რაც თბილისის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში მუშაობდა და ტიბეტური მედიცინის მეთოდებით კურნავდა ხალხს. სწორედ მან შექმნა პატარა ჯგუფი მათთვის, ვისაც ტიბეტური ბუდიზმი აინტერესებდა.

— ამბობ, ყველა რელიგია ერთსა და იმავეს ქადაგებსო, თან ბუდიზმს რელიგიად კი არა, უბრალოდ სწორი ცხოვრების გზის მაჩვენებელ მიმდინარეობად მიიჩნევ, მაშინ, როცა არც ეკლესია ქადაგებს საწინააღმდეგოს...

— კი, მაგრამ მართლმადიდებლობა რელიგიაა, ბუდა კი ღმერთი არ არის. ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო, პრინცი, რომელმაც უარყო ყოველგვარი მიჯაჭვულობა მატერიალურთან და უზომო თანაგრძნობით განიმსჭვალა ყველა



პერფომენსი ქარვასლაში

ტესტი ერუდიციასზე

1. ევროპელ ევრაელებს ჰქვიათ:



- ა) საბრა;
- ბ) აშქენაზი;
- გ) ბური.

2. დინდგელი ჰქვიათ:



- ა) ფუტკრის შხამს;
- ბ) შავ ცვილს;
- გ) გამდნარ ცვილს.

3. გილიარდის წითელ კურთხ ეწოდება:



- ა) კარამბოლი;
- ბ) კარამბოლინა;
- გ) კარამბა.

4. თევზის სხეულზე კატ- არა რძოვან ფირფიტას ჰქვიათ:



- ა) ქერცლი;
- ბ) ფარფლი;
- გ) ქაცვი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე


ცოცხალი არსების მიმართ (პირველ – გაუტამა ბუდაზეა აქ საუბარი). ყველაზე მეტად კი, რაც ჩემთვის მისაღები ბუდიზმში, ეს არის რადიკალური მიდგომა: ჭიას მოკლავ თუ ადამიანს, ეს ერთი და იგივე ცოდვია, რადგან ორივე ცოცხალი არსებაა, ღვთის მიერ გაჩენილი და არანაირი უფლება არ გაქვს, მას სიცოცხლე წაართვა. მე ჯერჯერობით უფლებამოსილი არა ვარ, რომ რაიმე რიტუალი შევასრულო, მხოლოდ მანტრებს, ანუ ლოცვებს ვკითხულობ ხოლმე. ის რელიგიური სამოსი კი, რომლითაც ბათუმში პერფომენსის დროს გამოვედი, ისე, უბრალოდ, ინტერესისთვის შევიკერე.

— **პერფომენსის თეატრი ქარვასლაში, ცოტა არ იყოს, უცნაურ წარმოდგენებს მართავს, შენ ამ თეატრის მსახიობიც ხარ...**

— პოეზიის შემდეგ, ყველაზე სერიოზულად პერფომენსით დავინტერესდი. ეს არის უპრეცედენტო თეატრი, რომელიც იმპროვიზაციაზეა აგებული. შეგიძლია ბოლომდე დაინარჯო და მთელი შენი შინაგანი საწყარო წარმოაჩინო. თეატრში არანაირ სტილსა და წესებს არ ემორჩილები, თავისუფალი ხარ – გინდა ყირაზე დადექი, გინდა იღრიალე და ისე გამოხატე შენი ემოციები. საზოგადოების აზრი სულ არ გაინტერესებს. შენ შოკი უნდა მიაყენო მაყურებელს და უნდა გაარღვიო ადამიანის დამყაყებელი ცნობიერება. პირველი აქცია „დადა-მეფისა და პრეზიდენტის არჩევნები“, 1993 წელს ქარვასლაში გააკეთეთ (დადაიზმი – ხელოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობა). აქციის მიზანი იყო, ყველაზე აშკარა დადაისტი ხელოვანი გამოგვევლინა. მაშინ არეული დრო იდგა და ხალხმა ვერაფერი გაიგო, იღვინე აფიშებთან და ბჭობდნენ: რა არჩევნები, რის არჩევნებიო. მერე „ზვიადისტი“ ქალები მოგვივარდნენ და ერთი ამბავი დაგვაწიეს: თქვენ ვინა ხართ, საიდან მოხვედით და რა გინდათ, პრეზიდენტი უკვე გვყავსო...

— **თქვენმა ბოლო აქციამ „ახალი სამზარეულო“, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრმა ვერც კი გაიგო, რა იყო ამ აქციის მიზანი...**

— გვინდოდა მაყურებლისათვის გვე-



თეატრის მსახიობებთან ერთად

ჩვენებინა სხეულზე ხატვის ხელოვნება, უფრო ზუსტად – ხელოვნება სხეულზე. ამიტომ ცოცხალი ადამიანები ტორტეზით მოვრთეთ. საერთოდ, შიშველ სხეულზე საღებავით ხატვა ან რაიმეს დაწერა უკვე მოძველებული ფორმაა პერფომენსში. ჩვენ გადავწყვიტეთ, ახალი სიტყვა გვეთქვა და შესაბამისად, სამზარეულოც უფრო მრავალფეროვანი გაგვეხადა – ორ უსიტყვოდ მჯდარ შიშველ ქალს კეტჩუპებით, შამპუნებით, კბილის ფერადი პასტებითა და ფქვილით ვრთავდით. მე, როგორც ერთ-ერთ კულინარს, წინსაფარი მქონდა აფარებული...

— **არ გაგიძნელდათ ისეთი უკომპლექსო ქალების პოვნა, რომლებიც ამდენი ხალხის წინ გაშიშვლდებოდნენ?**

— საკმაოდ, თბილისში ასეთი ქალების მოძებნა არც ისე ადვილია, თანაც, 10 ლარად რომ გაიხდის... ერთ-ერთი მათგანი სამხატვრო აკადემიის მენატურია. მეორე კი თეატრის მეგობარი, რომელიც აბსოლუტურად უანგაროდ დაგვენხმარა და გაიხადა... თუმცა მთლიანად მაინც არ გაშიშვლდნენ, როგორც თავიდანვე ვიყავით შეთანხმებულები – ბოლო მომენტში ვეღარ გარისკეს...

— **დაბოლოს: რას ეძებს შემოქმედი გიორგი კახიძე?**

— რა ვიცი... ეს კია, მთელი ცხოვრება ძიების პროცესში ვარ, მაგრამ ზოგჯერ აღარც კი მასსოვს, რა მინდოდა...

ჩემო ადამიანს სახელი

პოლიტიკაზე და ურთიერთობისა

გამოცდები

ნათია გომბაძე


ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეს – რევაზ ადამიას ორი შვილი ჰყავს. უფროსი – ლევანი, პროფესიით მხატვარია და საკუთარი ოჯახიც აქვს. სამწუხაროდ, ჩვენს მკითხველთან სასაუბროდ ვერა და ვერ დავითანხმეთ. მისი ძმა სანდროც იკავებდა თავს ინტერვიუსგან, ბოლოს, მინც დავითანხმე და მკითხველისათვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე მისი თავშეკავებული პასუხი მივიღე.

ალექსანდრე ადამია 22 წლისაა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თავდაპირველად ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ „ფიზიკურ აღზრდას“ ვერ გაუძლო და ინჟინრმატიკა-ბიზნისის შესწავლას მიჰყო ხელი. ერთი წლის მანძილზე ინგლისურ ენას ეუფლებოდა შოტლანდიაში. ამჟამად სურვილი აქვს, მაგისტრანტის განათლება დანიამში მიიღოს.

— რატომ მინცდამინც დანია?

— სულ უბრალო მიზეზის გამო: იქ ჩემი მეგობარი ცხოვრობს, რომელიც გამუდმებით მეპატივება. სამწუხაროდ, ახლა საზღვარგარეთ გამგზავრების საშუალება ნამდვილად არა მაქვს.

შოტლანდიაში მამიდასთან ვცხოვრობდი. მისი ქმარი ირლანდიელია. მამიდაჩემი თბილისში გაიქცა — უცხო ენების სპეციალისტია (ლინგვისტია) და საქართველოში ქართულის სასწავლად იყო ჩამოსული. დაქორწინების შემდეგ, ირლანდიაში წავიდნენ საცხოვრებლად. ერთი წელიწადი მათი სტუმარი ვიყავი. შოტლანდიაში ცხოვ-



რების მიზანს მგონი მივალწიე — ინგლისური ვისწავლე. იქ ყოფნისას საკმაოდ მაღალი კლასის რესტორნებში, ჭურჭლის მრეცხავად ვმუშაობდი. საათში 4-5 გირანქა სტერლინგს მიხდიდნენ. ამ თანხით იქ ელემენტარულ მოთხოვნილებებს თუ დაკმაყოფილებ.

— ამჟამად თუ მუშაობ სადმე?

— ვმუშაობ ინტერნეტ-კაფეში და სასტუმრო „გუდაურის“ ტექნიკურ უზრუნველყოფას ვწვდი. მაგრამ ხელფასით კმაყოფილი არ ვარ — ცოტას მიხდიან. ალბათ სულ მაღე საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში დავიწყებ სამსახურს, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორად. იქ, საგარეოდ, 200 ლარამდე მექნება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ანაზღაურებაზე მეტად, გამოცდილების შექმნის სურვილი მამოძრავებს: საზღვარგარეთ თუ წავედი, ჩემი პირადი მონაცემების ბარათს (ე.წ. CV), საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში მუშაობის სტაჟი „დაამწვევებს“...

— შეგიძლიათ თუ არა გულახდითად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება მამათქვენის საქმიანობაზე? მოგონით თუ არა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა, არის მმართველი ფრაქციის თავმჯდომარე?

— პოლიტიკური მოღვაწეობა მისი არჩევანია, რომელსაც პატივს ვცემ. რაც შეეხება ფრაქციის თავმჯდომარეობას — მე პირადად მიუესამძიძირე... საქმე კიდევ უფრო მოემატა და თავისუფალი დრო, რომელსაც ოჯახს უთმობდა, თითქმის აღარც რჩება. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ კორუმპირებული პოლიტიკოსის შვილი არა ვარ... მე თვითონ კი ძალიან შორსა ვარ ყოველგვარი პოლიტიკისაგან. არ მინდა და არც მინტერესებს — პოლიტიკოსი მამა რომ მყავს, ისიც მეყოფა... სხვათა შორის, 12 წლის ვიყავი, როდესაც სრულად შევიგრძობი, რომ რეზო ადამია მამაჩემი იყო და არა ჩემი მწვრთნელი... (იცინის). საქმე ის არის, რომ მთელი ბავშვობა თხილამურებზე სრიალს ვეუფლებოდი, მამა კი პროფესიონალი მწვრთნელი გახლავთ. ოჯახშიც ისეთივე მკაცრი იყო, როგორც ვარჯიშისას — არასოდეს გვარჩევდა მე და ჩემს ძმას სხვებისაგან.



პატარაობისას ძალიან ცელქი ვიყავი და ხშირად მტუქსავდა... თუმცა, ჩემ გამო სკოლაში არასოდეს დაუბარებიათ. ახლა კი იმდენად არის დაკავებული, რომ სახლში იშვიათად ვხვდებით და პარლამენტში ვაკითხავ ხოლმე. თანაც, პარლამენტში სამეცადინოდ, კარგი პირობებია, ამიტომ ხშირად მიხდება იქ მისვლა. თუმცა ცვლილობ, ჩემი პირადი პრობლემებით არ შეგაწუხო, მას ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს... არასოდეს გადამიშლია მისთვის გული: ადამიანმა თვითონ უნდა მიხედოს საკუთარ თავს. ცხადია, იმას არ ვამბობ, რომ რჩევა არ უნდა ჰკითხო, მაგრამ ძირითადად, შენს საქმეს შენვე უნდა მიხედო. ასეთივე დამოუკიდებელია ჩემი ძმაც.

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

— თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ: შევიკრიბებით ხოლმე და ვსვამთ. თუმცა დათრობა მაინცდამაინც არ მიყვარს, უმეტესად ლუდს ვეტანები... ვუსმენ მუსიკას. უნდა გამოვიტყუო, რომ ქართული ხალხური მუსიკა არ მიყვარს. შოტლანდიაში ყოფნისას მამიდაჩემი ცდილობდა, ჩვენი ფოლკლორული ნიმუშებისთვის მომესმინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მე უცხოური მუსიკა უფრო მომწონს. კითხვითაც, იშვიათად ვკითხულობ — უმეტესად ტექნიკურ ლიტერატურას ვირჩევ და მასაც ინგლისურად.

— გისარგებლიათ თუ არა ცნობილი მამის სახელით და საერთოდ, საზოგადოებაში როგორი განწყობა ჩნდება ხოლმე, როცა გაიგებენ, რომ რეზო ადამიას შვილი ხართ?

— ზოგს მამაჩემი აინტერესებს, ზოგს მე... არიან ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ სანდრო სჭირდებათ და მეც ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა მირჩევნია... მამაჩემის სახელი კი, განსაკუთრებით პოლიტიკოსთა ურთიერთობისას გამოძვლიდა. პოლიტიკელები ხელს ვეღარ მაკარებენ, როცა გაიგებენ, ვისი შვილიც ვარ... ჩემი ძმაცაცები ხშირად უცემიათ სამართალდამცავებს, ამიტომ ყველას უყვარს ჩემთან ერთად სიარული...

საზოგადოებაში გავრცელებულია ე.წ. ოქროსა და ვერცხლის ქორწილის აღნიშვნა. ეს ორი მნიშვნელოვანი თარიღია ხანგრძლივ საოჯახო ცხოვრებაში, მაგრამ ბევრისთვის უცნობია, რომ არსებობს სხვა, გაცილებით ნაკლებად სტაჟიანი თარიღები, რომელთა აღნიშვნა თურმე ოჯახის კეთილდღეობას, სიმტკიცეს უწყობს ხელს და ამგვარად, ოჯახური ბედნიერების სიმბოლოცაა.

მწვანე ქორწილი ქორწინების პირველ დღეს ჰქვია. ეს ახალგაზრდობისა და სიყვარულის ზეიმიცაა.

ჩითის ქორწილი აღინიშნება თანაცხოვრების ერთი წლისთავზე. ასე იმიტომ ჰქვია, რომ თავლობის თვე უკვე უკან არის და ყოველდღიურობა, თავისი ავ-კარგი თანაგაზრდების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეულა. ჩითი, როგორც ყოფითი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საჭირო ატრიბუტი, ამ თარიღის სიმბოლოა, ამიტომ მეუღლეებმა ერთმანეთს ჩითის რაიმე ნივთი უნდა აჩუქონ.

ხის ქორწილი ქორწინებიდან 5 წლის შემდეგ დგება. ამ თარიღის აღსანიშნავად ნაჩუქარი ხის ნაკეთობები მეუღლეებს ბედნიერებას მოუტანს.

თუთიის ქორწილი აღინიშნება 6,5 წლისთავზე, ეს ის დროა, როცა ორივე მეუღლემ უნდა გაიხსენოს: როგორც თუთიის ჭურჭელს სჭირდება მოვლა, დროა დრო გაპრიალება, ასევე უნდა ოჯახსაც მოვლა, საქორწინო ურთიერთობის განახლება.

სპილენძის ქორწილი ქორწინებიდან 7 წლის შემდეგ დგება. ამ დღეს მეუღლეებმა სპილენძის მონეტები უნდა გაუცვალონ ერთმანეთს და საჩუქარი კარგად შეინახონ...

თუნუქის ქორწილი 8 წლისთავს ნიშნავს. ამ დღეს მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის ცოლ-ქმარს სამზარეულოს პრიალა ჭურჭელი უნდა აჩუქონ.

ვარდების დღე ჰქვია ქორწინების 10 წლისთავს. ამ თარიღს სწორედ დღე ჰქვია და არა ქორწილი, რადგან უმჯობესია, ეს თარიღი სტუმრების გარეშე – მხოლოდ ორმა ადამიანმა აღნიშნოს, ქმარმა კი მეუღლეს წითელი ვარდები უნდა აჩუქოს.



სიმბოლოები



მინის ქორწინება 15 წლისთავზე აღინიშნება – იმის შესახებ ვიცით, რომ ურთიერთობა მეუღლეებს შორის უნდა იყოს გამჭვირვალე, სუფთა, როგორც მინა. თარიღის აღსანიშნავად ყველაზე შესაფერისი და იღბლის მომტანი საჩუქარი მინის ნივთებია.

ფაიფურის ქორწილი ქორწინებიდან 20 წლის შემდეგ დგება. სტუმრები უნდა მოიწვიონ და ფაიფურის ახალი სერვიზით გაუშალოთ სუფრა. ეს დღე მეუღლეებს შორის არსებულ სიყვარულს ძველებური ცეცხლით განაახლებს...

ვერცხლის ქორწილი 25 წლისთავია. ამ დღეს ცოლ-ქმარმა ოქროს ნიშნობის ბეჭდებთან ერთად, ვერცხლის ბეჭდებიც უნდა გაიკეთოს.

მარგალიტის ქორწილი 30 წლის შემდეგ აღინიშნება. ქმარმა აუცილებლად უნდა მიაღწიოს მეუღლეს მარგალიტისთვლიანი საყურე, შეიძლება მძივიც.

გილოს ქორწილი ქორწინებიდან 35 წლისთავზე დგება. ოჯახური სიმშვიდის, სიმყუდროვის, ზვავის სიმბოლოდ ოჯახში ახალი სუფრა (მაგიდის გადასაფარებელი) ჩნდება.

ალუმინის ქორწილი 37,5 წლისთავია. ამ დღეს სტუმრად მოსული მეგობრები იხსენებენ წარსულს... ხანგრძლივი საუბარი, წყვილს შესანიშნავ განწყობას ჩუქნის, რაც დიდი ხნით ამახსოვრდება ყველას.


ლალის ქორწილი დაოჯახებიდან 40 წლის შემდეგ აღინიშნება. ლალი – სიყვარულისა და ცეცხლის სიმბოლოა. ამ თვლით დამშვენებულ ბეჭედს ნამდვილად იმსახურებს თქვენი მეუღლე...

ოქროს ქორწილი 50 წლის იუბილეა. ძველი ოქროს საქორწინო ბეჭდები ახლით უნდა შეიცვალოს. თითები, რომელიც მას ატარებდა, იცვლება ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ბეჭდები კი ცვლება...

ღიამანგის (ბრილიანგის) ქორწილი 60 წლისთავია. ეს თარიღი ხმაურიანი, მხიარული შეკრება უნდა იყოს შვილების, შვილიშვილების, შესაძლოა, შვილთაშვილების მონაწილეობით.

რკინის ქორწილი ქორწინებიდან 65 წლის შემდეგ აღინიშნება. გილოცავთ! თქვენი კავშირი რკინასავით მტკიცე ყოფილა. მას ვერაფერი დაემუქრება.

თქვენ თითქმის არ გახსოვთ თქვენი ქორწინების დღე? ან გამოთვლა დაგავიწყდათ და არ იცით, 37,5 ან 60 წელი როდის გავიდა? ნუ დაივიწყებთ – გაიხსენეთ ბედნიერი დღეები, ჩაიხედეთ ოჯახურ ფოტოალბომში. გამოთვალეთ ყველა თარიღი და აუცილებლად აღინიშნეთ: რაც უფრო მეტს იფიქრებთ ერთმანეთისათვის სიხარულის მინიჭებაზე, მით უფრო მყარი ოჯახი გექნებათ და რკინის ქორწილსაც სიხარულითა და ხალისით გადაიხდით.




შეგიძლიათ თუ არა მუშაობა სწრაფად და ყურადღების კონსენზირირებით

დაიხსოვით, რომელ ფიგურაში რა ციფრი წერია და დააფარეთ ხელი



თქვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად ჩაწეროთ მოცემულ ცარიელ ფიგურებში, შევსებული ფიგურების შესაბამისი ციფრები.


ციფრები ფიგურებში ჩაწერეთ მიმდევრობით მარცხნიდან მარჯვნივ, მწკრივებისა და ფიგურების მიხედვით. დააფიქსირეთ დრო, რომელიც ფიგურების სრულად შესავსებად დაგჭირდათ.



შედეგები: თუ დასახული ამოცანა 30 წამში ან უფრო სწრაფად შეასრულეთ, ეს საუკეთესო შედეგია; 30-დან 35 წამამდე – კარგი შედეგია. 36-40 წამი – საშუალო; 40 წამზე მეტი, დაბალ მაჩვენებლად ითვლება და იმას ნიშნავს, რომ გადაღლილი ხართ ან სერიოზულად არ მიუძღვებით ამოცანის შესრულებას. შეგიძლიათ ხშირად შეასრულოთ შემოთავაზებული ტესტი – ამით ყურადღების კონცენტრაციის უნარს გაივარჯიშებთ. დასაშვებია ფიგურების ნებისმიერი მიმდევრობით განლაგება. ამგვარად შესრულებული ვარჯიში მალე მოიტანს შედეგს, რომლითაც კმაყოფილი დარჩებით.

გისურვებთ წარმატებას!







ისტორიას და ლიტერატურას კარგად ახსოვს კონკიას ბროლის პაწია ფეხსაცმელი, მოძობლავი სკარლეტ ოპარა, რომელიც ყველა წვეულებაზე ახერხებდა ფართო ქვედაკაბიდან მოხდენილი ფეხსაცმლის და ნატიფი ფეხის გამოჩენას.

გავიდა დრო... ახლა მოდურია „ბოტ-ფორტები“ და კოვბოური ჩექმები, პლატ-ფორმები და ოთხკუთხედცხვირიანი თასმებიანი „ბათინკები“, მაღალყელიანი, მოხდენილი ჩექმები. ყველაფერ ამას ხალხი ფეხზე ირგებს, იხდენს და უმეტესობას აზრადაც არ მოსდის, რომ მათი „მოდური წარმომავლობა“ საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს. წვრილცხვირიანი და ნავისებრი ფეხსაცმელები (მეორე სურათი) XV საუკუნის რაინდთა ფეხსაცმლის „შთამომავალია“.

დეკორატიული ბრჭყვიალა ბალთები XIII საუკუნის ევროპულმა მოდამ გამოგვიგზავნა, პლაჟზე ჩასაცმელი „ვიეტნამკები“ (პირველი სურათი), ჯერ კიდევ ძველ ევროპულში არსებობდა, პლატ-ფორმიანი ფეხსაცმელი კი თურმე ჩვენს ერამდე დიდი ხნით აღრე განჩნდა.

ფეხსაცმლის ზომები ჯერ კიდევ 1320 წელს ინგლისის მეფემ, ედვარდ მეორემ შემოიღო. მისი ფეხი სიგრძეში 36 ქერის მარცვლის ტოლი იყო. ეს ზომა ეტალონი გახდა, მას – ფუტი უწოდეს (ONE FOOT – ერთი ფეხი, 30,5 სმ).

ჩვეულებრივი, დღეისთვის ტრივიალური ფეხსაცმლის თასმები თურმე თომას ჯეფერსონმა გამოიგონა. ისინი ინგლისში 1770 წელს გამოჩნდა, ტრადიციული, უხეში ბალთები შეცვალა და მთელი ასწლეულის განმავლობაში „მოდის მწვერვალზე“ რჩებოდა. იანკები კი ევროპულ სიასლეს კონსერვატიულად შეხედნენ – ის ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს და ამერიკამ ტრადიციული ბალთები, გასული საუკუნის შუა წლებამდე ვერ დათმო.




ფეხსა

ყველასათვის კარგად ცნობილი კონკიას ამავე თურმე ჩვენს ერამდე 600 წელშიც არსებობდა ევროპულში. ამ უძველესი ვერსიის თანახმად, ფეხსაცმელებს პრინცესას ჩიტმა მოჰპარა, ნიკარტით პრინცს მიუტანა და უფლისწულმაც მაშინვე მათი მფლობელის მოძებნა ბრძანა.


ისტორიამ ვერ შემოინახა კონკიას მასინდელი ფეხსაცმელი, მაგრამ ფარაონის ფეხსაცმელები, რომლებშიც ის დაკრძალეს, სამუხეუბო რარიტეტი გახდა. ისინი ფარაონის მონებისა და მტრების ფიგურებით იყო მოხატული, რითაც იმას გამოხატავდა, რომ მკვდარ ფარაონსაც კი მონა და მტერი ფეხქვეშ უნდა გაგებოდა.

თუ თვალს ისტორიულ ტრატატებს გადავუვლით, ნამდვილად შეგებრალებათ ძველ ჩინეთში მცხოვრები ქალები: მათი მაშინდელი სილამაზის კანონები ბევრად მკაცრი იყო, ვიდრე დღევანდელი დიეტები და შეიპინგი. X-XI საუკუნეებში მინიატურული ჩინელი ქალები ციციქნა ნაქარ ფეხსაცმელებს ატარებდნენ. გასათხოვარ ქალიშვილს ფეხი 7,5 სმ – „ოქროს ლოტოსის“ ზომის უნდა ჰქონოდა. ჩინური ტრადიციის თანახმად, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო ჰქონოდა გოგონას პრეტენზია მდიდარ საქმროზე. ამისათვის ჯერ კიდევ ბავშვშივე უნდა დაეწინაურებინათ ფეხი.



მეტაღის ფული	პოეტი-ბარდი	ღებულება, რომელსაც არ ამტკიცებენ	პარკოსანი მცენარე	ფანქრის გული	...
მეტაღის ფული	პოეტი-ბარდი ოკუჯაბა	ღებულება, რომელსაც არ ამტკიცებენ	პარკოსანი მცენარე	ფანქრის გული	... კუჭუნო
მონეტა	გაბრავლების ცხრილი	მრისხველიანი ავტომობილი	საფული თუშეთში	ვისიმე ბიოგრაფიის მწამდენი	იოსიფ ბრომ ...
მონეტა	გაბრავლების ცხრილი	მრისხველიანი ავტომობილი	საფული თუშეთში	ვისიმე ბიოგრაფიის მწამდენი	იოსიფ ბრომ ... „მოსე“

საყვარო



მეღებნი

ვობაში გოგონებს მაგრად უკრავდნენ ტერფებს ნაჭრებით, რომ ფეხს ზრდა შეეწყვიტა.

ქუსლიანი ფეხსაცმლის წინაპარი ევროპულ კულტურაში XVII საუკუნის ვენეციური პლატფორმიანი ფეხსაცმელი იყო. რაც უფრო დიდგვაროვანი იქნებოდა ქალი, მით უფრო მაღალი იყო მისი ფეხსაცმლის ხის პლატფორმა. ასეთი ფეხსაცმელებით სიარული ადვილი არ იყო, ამიტომ მათ მფლობელს ყოველთვის თან ახლდა ორი



4

მოსამსახურე, რათა საჭიროების შემთხვევაში, ქალბატონისთვის ხელი შეეშეველებინა. ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ამ საკითხს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ თავისი რანგისთვის შეუფერებელი ფეხსაცმლის ჩაცმისთვის ზოგიერთი „თავხედი“ გილიოტინაზე ასვლითაც კი დაისჯა...

პლატფორმიანი ფეხსაცმელი საკმაოდ პოპულარულია აღმოსავლურ კულტურაში - მაგალითად, იაპონიაში. ინდოეთში ქორწინების ცერემონიის დროს ვერცხლის საქორწინო ფეხსაცმელებით იმოსებოდნენ. ინდუისტური რელიგიის თანახმად, ადამიანის, ცხოველის, ქვეყარ-

მაგლის სიცოცხლე წმინდა და ხელშეუხებელია, ამიტომ ინდოელი მეწაღეები „ეკოლოგიურ“ სტილში მუშაობდნენ: არ იყენებდნენ ცხოველურ მასალებს და საქმეს ფილოსოფიურად უდგებოდნენ. მათი შექმნილი ფეხსაცმელი პატარა სკამების სტილშია დამზადებული - იმისათვის, რომ ადამიანმა სიარულისას არ ჭყლიტოს ფეხქვეშ მოქცეული ცოცხალი არსება(4). სირიელი ქალები კი XIX საუკუნეში აბანოში ხის ქოშებით დადიოდნენ, რომელსაც მარგალიტის ინკრუსტაციები ამშვენებდა (3).

თანამედროვეთა გაკვირვება კი როკ-მომღერალმა ელტონ ჯონმა შეძლო: ერთ-ერთ კონცერტზე უცნაური კოსტიუმითა და ვერცხლისფერ-წითელი პლატფორმიანი დაბალყელიანი ჩექმებით გამოჩნდა(6).


მოდაში პერიოდულად შემოდის საბოთბი. ისტორია ამ ხის ფეხსაცმელების

გამოჩენას სიტყვა „საბოთაუს“ უკავშირებს. დიდი ფრანგული რევოლუციის დროს მუშები თავიანთ ხის ფეხსაცმელებს - საბოს იხდიდნენ და დაზგებზე აბრაზუნებდნენ, რითაც მუშაობაზე უარის თქმას გამოხატავდნენ. დღესასწაულებზე კი გლეხები „სახეიმო“ ხის ფეხსაცმელს იცვამდნენ (5). XVII-XVIII საუკუნეებში კონტრარადისტებს ქალაქიდან

ქალაქში საქონელი, საბოს დაგრეხილ ხის ცხვირში დამალული გადაჰქონდათ. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ჯაშუშები საზღვრის გადალახვისას, სპეციალურ საბოს იცვამდნენ, რომელსაც ქუსლი და წვერის ადგილები შეცვლილი ჰქონდა - მოძრაობის ცრუ მიმართულების შთაბეჭდილების შექმნის მიზნით.

ძველი ფეხსაცმელები იგივეა, რაც ძველი წიგნები - მათ ბევრი საინტერესო ამბის გადმოცემა შეუძლიათ.

5



6



დღი აღება	მეფის ტიტული ინდოეთში	ფეხბურთელი ვინუდინ	მღნარე ვერმანიაში	მაგარი კახუჭტი	1000 კილოგრამი	სახელმწიფო ქვროპაში	კვიპკე ლუპას ღმერთი
კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
დასწრე - მაინა ასწრე - ...	ვასართობი მუსიკის სახეობა	მწერალი დეფო	საჯეფესო ხარისხის ბროლი	ბალანსივაძე	ბალანსივაძე	ბალანსივაძე	თოთიყ- ვის ვიძი

აბიბოს ნეკრესელი ასურელ მამათაგან ყველაზე მეტად თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით გამოირჩევა. მან ისე იშრომა და იღვაწა საღმრთოდ, ისე შეიმკო საღვთო მადლით თავისი სული, რომ მთელი მისი ცხოვრება სამაგალითო გახდა შთამომავლობისათვის.

აბიბოს თავისსავე დაარსებული ნეკრესის მონასტრის ეპისკოპოსი იყო. სწორედ აქედან წარმოსდგა მისი ზედსახელი — ნეკრესელი. იმ დროს ჩვენი ქვეყანა სპარსი დამპყრობლების ხელში იყო, რომლებიც თავყვანს სცემდნენ ცეცხლს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა თავიანთი სარწმუნოება გაეფრცხლებინათ ქართველებში. სპარსელებმა ბევრგან ააგეს თავიანთი ბოძონები (კერპები), რომლებზედაც გამუდმებით ენთო ცეცხლი. მოგვები დიდი განცხრომით ასრულებდნენ ცეცხლის მსახურების წესებს. ყველაფერი ეს აწუხებდა და აღონებდა რჩეულ მღვდელმთავარ აბიბოსს. იგი ამიტომაც უფრო მეტი ძალისხმევით უნერგავდა ქრისტეს სიყვარულს თავის სამწყსოს და გულწრფელად უჩვენებდა ყველას ცეცხლის თავყვანისცემის ამაოებას.

ერთხელაც, აიღო წყლით სავე ჭურჭელი და ღვთის სახელის ხსენებით დაიწყო ყველგან სპარსელების სათაყვანო ცეცხლის ჩაქრობა. სპარსელებმა მაშინვე შეიპყრეს აბიბოსი, ტანჯვა-წამების შემდეგ საპრობილეში ჩასვეს. ეს ამბავი მალევე შეატყობინეს მცხეთაში მჯდომ მარზპანს და სთხოვეს, სასტიკად ეწამებინა და თუ თავის საქციელს არ მოინანიებდა, მოეკლა კიდეც.

კარგად იცოდა აბიბოსმა, რისთვის იბარებდა სპარსელების უფროსი, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი მადლობა აღუვლინა ღმერთს, რათა გახდა ღირსი მოწამეთა გუნდში ჩარიცხვისა. გზაში მრავალი ტანჯვა-წავლება მიაყენეს სპარსელებმა აბიბოსს. აქვე გადასცეს მას სვიმონ მესვეტიისაგან გამოგზავნილი წერილი, კვერთხი და ევლოგია, რამაც დიდად გაასარა. შემდეგ, ვიღაც ქართველები შემოხვდნენ გზად და შეუძახეს: თუ მარზპანის წინაშე წასვლას გადაიფიქრებ, გაქცევაში დაგეხმარებითო, მაგრამ აბიბოსმა არ ინება. მისი ერთადერთი სურვილი, შეხვედროდა ღირს მამას — შიო მღვიმელს სპარსელებმა შეუხრულეს. ამის შემდეგ, აბიბოსი უშიშრად წარდგა მათი უფროსის წინაშე, სოფელ რეხში, სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი.



წიგნი მღვდელმთავარი აბიბოს ნეკრესელი

როცა მარზპანი შეეკითხა — როგორ გაბედე ჩვენი ღმერთის მოკვლაო, აბიბოსმა დაწვრილებით აუხსნა ცეცხლის მსახურების ცთომილება და ურჩია, განდგომოდა ცეცხლმსახურებას და ეღიარებინა ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი — იესო ქრისტე. „მე არ ვიცი სხვა ღმერთი, თვინიერ იესო ქრისტესი. ხოლო ცეცხლი, რომელიც მე დავპირიტი, იყო საცთური ეშმაკუფლთა. ახლა მე გლოცავთ და მოვიწოდებთ, ცეცხლმსახურებას განუდგეთ და აღიაროთ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი იესო „ქრისტე“. ამან მარზპანი კიდეც უფრო მეტად განარისხა. „მე გეკითხები, რაისთვის მოჰკალ-მეთქი ჩვენი ღმერთი, ხოლო შენ შენი ღმერთისკენ გვიპირებ გადაყვანას?“ აბიბოსმა მეორედაც ცხადად დაანახვა სპარსელს სიცრუე მისი სარწმუნოებისა და მეორედ მისცა რჩევა, შესდგომოდა იესო ქრისტეს. „ცეცხლი ცალკე ბუნების ნაწილია და მხოლოდ შეშის წვით წარმოიშობა. ამიტომაც საკმარისი იყო მასზე მცირე წყალი დამესხა და მაშინვე ჩამქრალიყო. წყალი ცეცხლზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და გამკვირვება თქვენი ასეთი გაშმაგება, როგორ არ გრცხვინათ, რომ ასეთ არარაობას ღმერთად მიიჩნევთ...“ ამაზე მარზპანს

სრულებით დაეკარგა მოთმინება: მივარდა აბიბოსს, სცემა და თავის ხელქვეითებს უბრძანა მისი ჩაქოლვა, სიკვდილის შემდეგ კი, მისი სხეულის გადაგდება მინდორში ფრინველთა და ნადირთა შესაჭმელად. მაგრამ „ნეტარ არს, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისა და სასოება მისი არს უფლისა მიმართ ღვთისა მისისა!“ ვერც მხეცთა, ვერც ფრინველთა ვერ იკადრეს წმინდა მოწამის გვამის შეხება.

დიდხანს იყო იგი მინდორში და უფროსის განკარგულებით თვალყურს ადევნებდნენ სპარსელები, რათა ქრისტიანებს არ დაესაფლავებინათ. როცა მათ მოეზრდათ მეთვალყურეობა, ბერ-მონაზვნებმა ეს წმინდა გვამი შესაფერისი პატივით დაკრძალეს მცხეთაში — სამთავისის მონასტერში. მოგვიანებით ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა წმ. აბიბოსის უხრწელი ნაწილები მცხეთის სამთავროს მონასტერში გადმოასვენა და წმინდა ტრაპეზის ქვეშ დაფლა.

აბიბოს ნეკრესელის წამების თავაპირველ წიგნს, რომელიც VI საუკუნის დამლევის ძეგლად არის მიჩნეული, ჩვენამდე არ მოუღწევია. მოგვიანებით, IX საუკუნეში, არსენ პირველმა კათალიკოსმა აღწერა აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და მოწამეობრივი აღსასრული.

ქართულმა ეკლესიამ წმინდა მღვდელმოწამე აბიბოსის ხსენების დღედ 29 ნოემბერი, ხოლო ხსოვნის დღედ — 12 დეკემბერი დააწესა.

საქართველოში არსებული ეკლესიამონასტრებისაგან განსხვავებით, ნეკრესის მონასტერი ერთადერთია, რომელიც ღირსი შეიწირავს. მართალია, დღეს მსხვერპლშეწირვა წარმართულ რიტუალად ითვლება, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ ამ მონასტერთან დაკავშირებული ერთი ამბავი. სპარსელთა შემოსევებისას, ნეკრესის მკვიდრთ წასასვლელი რომ აღარსად ჰქონიათ, თავი მონასტრისთვის შეუფარებიათ თავიანთი ოჯახებით და საქონლითურთ, ორი-სამი დღე იმალებოდნენ. მტერი რომ გამოჩენილა, მოუფიქრებიათ და ღორებისათვის თავები დაუჭრიათ. როცა სპარსელებს მთის ფერდობიდან დაგორებული სისხლიანი ღორის თავები დაუნახავთ, დამფრთხლან და უკუქცეულან. ამის შემდეგ ნეკრესის მონასტერში ხალხისათვის ღორის შეწირვის უფლება მიუციათ...

6060 სიბაიბვილი

ეს პატარა ფოტო, თითქმის რვა ათეული წლის წინანდელი ახალგაზრდების ხალისიანი განწყობის წუთებს აღბეჭდავს... იგი 1923 წელს (ფოტოზე წარწერის მიხედვით) მხატვართა და მწერალთა საღამოზე, ქეიფის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრეა გადაღებული ბაღში (ქაშეთის ტაძრის მახლობლად). ფოტოგრაფმა მაშინ, თბილისის სამხატვრო აკადემიის მხატვარი-სტუდენტების: ელენე ახვლედიანის (მარცხიდან პირველი), შალვა შევარდნაძის და მათი ამხანაგის, მუსიკოს რიტა ოსმანაშვილის ახალგაზრდული ცხოვრების წამი შეაჩერა. სურათზე აღბეჭდილთა სასიამოვნო განწყობაზე ის ცხერის ბატკანიც მოწმობს, რომლის კისერში გამობმული თოკი ბაბუაჩემს უჭირავს ხელში. აყვავებული ხეები და ბუჩქები, უკანა პლანზე რომ ჩანს, გაზაფხულის მაუწყებელია – გაზაფხულისა, რომელიც დიდი მხატვრის, ქალბატონ ელენე ახვლედიანის ფუნჯს ბევრჯერ აუძღვრებია თავის ტილოებში. შემოქმედი ფოტოზე ოცი წლისა თუ იქნება მხოლოდ – თეთრი პიჯაკი, წვრილი შავი ჰალსტუხით, ხაზს უსვამს მის ნატიფ ემოციებსა და კდემამოსილებას.

აღნიშნული ფოტო ჩემი მამისეული ოჯახის ალბომში ინახება. ბაბუაჩემი, ლენინის ორდენოსანი პედაგოგი შალვა შევარდნაძე, ელენე ახვლედიანის თანაკურსელი გახლდათ. მამაჩემმა, ჟურნალისტმა ელგუჯა შევარდნაძემ, ძველი თბილისის მოტოფიალე ხელოვანს, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს რამდენიმე სტატია მიუძღვნა. მხატვარი ქალის სახელოსნოში ერთ-ერთი ვიზიტის დროს (1975 წლის სექტემბერი), ქალბატონ ელენეს აღნიშნული ფოტოს გადაღებული ასლი აჩვენა. მამაჩემი იგონებს: სტუმართმოყვარე დიასახლისმა სახელოსნოს ანტრესოლთან მიმიპატიჟა, სადაც სახელდასელოდ გაეშალა სუფრა, მასზე ყურძნის მტევნებსა და შემოდგომის ხილს ნამდვილი ცოცხალი „ნატურმორტი“ შექმნა... სწორედ ამ სუფრასთან ვაჩვენე ქალბატონ ელენეს ძველი ფოტო. ინტერესით დააცქერდა... სათვალედან მოშინარალი თვალები მოჭუტა... და წამოიძახა: „გამასხენდა, როგორ არა, ეს ხომ შალვაა, შაკო, „ციხფერყან-წელებით“ რომ იყო გატაცებული და „ქიმერიონშიც“ ხშირად დადიოდა... ტიცანისა და პაოლოს ლექსები ზეპირად იცოდა...“ შემდეგ კი დასძინა:

„მაგრამ ჩემს თანაკურსელებს საფრანგეთში წასვლის გამო, ხომ ადრევე დაგშორდი... წავიდა ის დრო, აღარ გამეორდება...“



დედათაბილისი ელენე ახვლედიანის სივრცხლა

ამ შეხვედრიდან ოთხი თვის შემდეგ (1975 წლის დეკემბრის ბოლოს) წავიდა ჩვენგან ყველასათვის ახლობელი ხელოვანი, წავიდა შეუღლებული, წელგამართული და დაგვიტოვა საოცრად მეტყველი, დაუცხრომელი სული – დედათბილისზე შექმნილი უამრავი სურათის

სამყაროში რომ იკვეთება...

... პატარაა ეს ფოტო, მაგრამ გრძნობათა იმ ნაკაულს ჰგავს, რომელიც მთიდან დაშვების შემდეგ, სხვათა ახალ განცდებსა და ემოციებს უღებს სათავეს...

6067 შევარდნაძე



„ქართული ყველაფერში წინ უნდა იყოს, განსაკუთრებით - სიმღერაში!“

ლელა ჭანმოცაძე

60-80-იანი წლების ქართული ესტრადის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურის, ბატონი ელუარდ სეფაშვილის ცხოვრება სიმღერას ბავშვობიდანვე დაუკავშირდა.

ექვსი წლის იყო, ფანდური რომ აჩუქეს და მამინვე ჩაისახა ბავშვის სულში მუსიკის სიყვარული. შვიდი წლისა უკვე ვირტუოზი გახდა, მერე ფანდური გიტარამ შეცვალა. მამინ ნახალკოვკაში გიტარა მხოლოდ ქობულოვებს ჰქონდათ. მშობლები რომ სკოლაში წაიყვანდნენ, შევიდოდა ეზოში, უკანა მხრიდან გამოიპარებოდა, მივარდებოდა ქობულოვებთან და სიმებზე თავის ბავშვურ თითებს აფხაკუნებდა. სულ დაწინილი ჰქონდა ხელები... ასე დაიბადა ნიჭიერი მუსიკოსი ელუარდ სეფაშვილი. მერე გიტარაზე დაკვრა სხვებსაც ასწავლა და ნახალკოვკაში პირველი ტრიოც ჩამოაყალიბა. სცენა დაიპყრეს „მამუბმა“. ჰიტებად იქცა „ირემი“, „წაღვერი და თბილისი“, „გროძობა როგორ დაგვამო...“

შემდეგ იყო ის ავბედითი ავტოავარია ნოვოსიბირსკში: მძლოლი დაიღუპა, ელუარდი კი დიდი ხნით საწოლს მიეჯაჭვა, მაინც არ გატყდა. მშობლებსაც კი არ შეატყობინა, მთელ სხეულზე რომ თაბაშირი ედო და ტკივილებს გმირულად იტანდა. ერთი ყლოუბი ვისკი ათრობდა და ქართველ გურმანს საშლამის გემო ენატრებოდა. სანახავად მისულ მსახიობებს ეუბნებოდა: „რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან თბილისში ჩემი სახელით დეპუტები გაავზავნეთ – „კარგად ვარ. მალე ჩამოვალ“, ცოლოა დედა, არ მინდა ინერვიულოს.“

მუსიკამ მაინც თავისი გაიტანა. სიარულიც ისწავლა და გიტარაზე დაკვრაც. სიმღერის სიყვარულმა შეუძლებელი შეადგინა. ხელახლა დაიბადა. ფაქტობრივად მკვლრებით აღდგა, მერე ჰქონდა კონცერტი ფილარმონიაში. გადაჭედული დარბაზი რომ დაინახა, თვალები ცრემლით ავესო და ვეღარ იძღერა.

1960 წელს ჩამოაყალიბა ანსამბლი „ლილე“, შემდეგ „თეთნული“. ამ ანსამბლში აღდგა ფეხი მისმა ვაჟმა – მერაბმა. მამინ ვინ იფიქრებდა, თუ ის ხრინწიანი ყმაწვილი მომავალში ქართული ესტრადის ერთ-ერთი ვარსკვლავი გახდებოდა...

ახლაც თავისი ანსამბლი ჰყავს ბატონი ელუარდს. „სეფას ბიჭები“ ნელ-ნელა იპყრობენ მსმენელთა გულებს.

— ბატონო ელუარდ, რას გვეტყვი ქართულ ესტრადაში არსებულ პრობლემებზე. რა განუხებთ ყველაზე მეტად მომღერლებს?

— მე მგონია, რომ ქართველი ყველაფერში წინ უნდა იყოს, განსაკუთრებით კი — სიმღერაში. განუმეორებელია ჩვენი მრავალხმიანი სიმღერა. უწინ რუსები სულ ერთ ხმაში მღეროდნენ. 1955 წელს გასტროლები მქონდა მოსკოვში. იქ ღრავუნსკის ცოლს გაუუკეთე სიმღერა ხმებში. ძალიან გაუჭირდა ათვისება, იძენდა უცხო იყო რუსებისთვის მრავალხმიანობა. მერე შეეჩვივნენ. მოგეხსენებათ, როგორი მშრომელი ხალხია. ნახეთ, რამდენს მიაღწიეს. ჩვენი ესტრადა კი ჩამორჩა. ძალიან ძლიერი მომღერლები გვყავს, მაგრამ უსპონსორობის გამო, საკონცერტო ტანსაცმლის შეკერვასაც ვერ ახერხებენ, არათუ სიმღერას. არადა, რა

კარგი თაობა წამოვიდა. უწინ სად იყო ამდენი სოლისტი. ძირითადად ანსამბლები გვყავდა. უჭირთ მომღერლებს, სილუბჭირემ კი ისინი ამბიციურად ადამიანებად აქცია. შურთ ერთმანეთის, ერთმანეთს ჭამენ.

— რა ბედი ელით ასეთ სიტუაციაში „სეფას ბიჭებს“? მე ვიცი, რომ თქვენ ისინი საკუთარი შვილებივით გიყვართ?

— „სეფას ბიჭებს“ ვერც ერთ ანსამბლს ვერ შევადარებ. ჩემი სტილი აქვთ, ყველა-საგან განსხვავებული. სამივე სოლისტები არიან გიტარაში. მათ ჯერ გიტარაზე დაკვრა ვასწავლე და შემდეგ სიმღერა. ორი მათგანი წელს უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ძალიან მიყვარან. ფაქტობრივად, მაგ ბიჭებით მე ვმღერი.

— ახალგაზრდობის ნოსტალგია ხომ არ მოგეძაღათ, ბატონო ელუარდ?

— ნოსტალგია კი, ნამდვილად მაქვს. მართალია, ჩემს ბიჭებთან ერთად ისევ გამოვიდვარ კონცერტებზე, მაგრამ უკვე მიჭირს, ფეხებში ძალა დამაკლდა, ფეხი უწინაც მაწუხებდა, მაგრამ მამინ ამას ყურადღებას არც ვაქცევდი. ახლა კი ვმეტი-ჩრობ, ვიძაბები, ქალები რომ მიყურებენ. ყველაფერი ხომ ამქვეყნად ქალებით არის, ქალებით იწყება, უამრავი ფაფურაკი მქონია მათ გამო. ყმაწვილკაცობისას გიტარას ვუპირავდი და გაგიჟებული ვუმღეროდი.

— პირველი სიყვარული როდის გენვიათ?

— ასე მგონია, არც მქონია პირველი სიყვარული. ცოლი ძალით შემრთეს...

— ძალით რატომ?

— „შემომეხარჯა“. უწინ ხომ იცით, როგორი ღრო იყო, მსგავსი რამ დიდ დანაშაულად ითვლებოდა და არავის ეპატიებოდა. მეც დაქორწინდი იძულებით. შვილი რომ გაუჩნდა, გავუშვი. ბავშვი კი ჩემმა მშობლებმა გამიზარდეს.

— მეორე ცოლზე რას იტყვით?

— მეორე ცოლი პოლონელი გახლდათ. მოსკოვიდან ჩამოვიყვანე. იქ ტელევიზიაში მუშაობდა, ვერ შეეგუა აქაურობას, გაუჭირდა. ულამაზესი ქალი იყო. ქუჩაში მარტოს გავლა უჭირდა — ხომ იცით ჩვენი კაცების ამბავი. გაჟღერებით უკან ხომ არ ვღვევდი?! გავუშვი ვარშავაში. დამშვიდობებისას ვუთხარი: წადი და ჩამოვალ-მეთქი. ახლაც მივიღვარ...

— მესამე ცოლი ვინ იყო?

— ვუღიღუტა მურადელი, მერაბის დედა... მეოთხე კი იზოა. მან რეკორდი მოხსნა — უკვე ოცდაორი წელია, რაც მიძღვრეს... იზოს ძალიან ვუყვარვარ. თვითონ გაი-

ჭირვებს, მაგრამ მე არ გამიჭირვებს... ხელოვნებისთვის ბევრის გაღება შეუძლია. მე, პირადად, კულტურის მინისტრად დავინიშნავდი... ჩემი მერაბიც ღვიძლი შვილივით უყვარს.

— **ბატონო ედუარდ, მე ვიცი, რომ თქვენ გამოირჩეულად გიყვართ ცხოველები. ამბობენ, მომაკვდავ ძაღლებზეც კი ზრუნავსო...**

— ვინმემ რომ ძაღლს რამე დაუშავოს, თავს შეეკვავ. ერთ შემთხვევას ვიამბობთ: ძაღლს მანქანამ დაარტყა. საბრალოს ხერხემალი ჰქონდა გადატყვევებული. წამოვიყვანე სახლში. ისე მოვუარე, ორი კვირა კიდევ იცოცხლა.

— **თქვენზე იმასაც ამბობენ, თბილისში ხიდი არ არის, საიდანაც ყირა არ გაუჭიმიანო.**

— ხიდიდან არასოდეს გადმოვვარდნილვარ — ყოველთვის ჩემი სურვილით ვხტებოდი. მასსოვს, მუხრანის ხიდიდან რომ გადმოვხტე, ფეხი თაბაშირში მქონდა. იმ ავარიის შემდეგ, როცა ათი მოტეხილობით გაუნძრევლად ვიწექე და ტკივილგამაყურებლებსაც კი არ ვიკეთებდი, ხიფათი ბევრჯერ შემემთხვა, რადგან ერთხელ რომ გადატყდა ძვალი, მერე ხშირად ვიტყვხდი. გამუდმებით ან ხელი მქონდა ჩასმული თაბაშირში, ან ფეხი.

— **გასტროლების დროს თუ გქონიათ ფათერაკები?**

— არა. ასეთ დროს სულ ვფრთხილობდი. როგორც ხელმძღვანელი, გამუდმებით მობილიზებული ვიყავი, რომ ანსამბლი არანაირ უსიამოვნებაში არ გახვეულიყო. ერთადერთი შემთხვევა მქონდა ვენუკოვოს აეროპორტში. აპარატურა ჩანთაში იყო მოთავსებული, ვიღაც უღვაშიანმა მუშამ კი იმხელაზე გაისროლა ჩანთა, შემემინდა, არ დაეღეწა. ვთხოვე, ცოტა ფრთხილად მოექცე-მეთქი. შემომიბტია: დადიხართ და ვაჭრობთ აქ მანდარინით და კიდევ, უხეშობასაც ბედავთო. ვტაცე ხელი ბუდიონივით გრძელ უღვაშში და ისე მწარედ მოვქაჩე, რომ მოლიანად აეხა. რა თქმა უნდა, მილიცია ჩაერია საქმეში. დამაჯარიმეს, სხვას რას მიზამდნენ...

— **მილიციასთან საერთოდ, როგორი დამოკიდებულება გქონდათ, ბატონო ედუარდ? მე მგონი საიდუმლო არ არის, რომ საქვს მთვრალი ახალგაზრდობაშიც ხშირად მართავდით და ასევე ბოლომდე არ გითქ-**

ედუარდ სეფაშვილი თავის ახალ ანსამბლ „სეფას ბიჭებთან“ ერთად.



ედუარდ სეფაშვილის ანსამბლი „ლილე“.

ვამთ უარი ამ ჩვევაზე...

— ... მეზობლები ჩემს მანქანას რომ შეხედავენ, მაშინვე ხვდებიან, ფხიზელი ვარ თუ არა. მანქანა თუ სწორად დაეყენე, ე.ი. შინ მთვრალი მოვედი... მილიციასთან უსიამოვნებები მაინც არ მასხენდება. ალბათ არც მქონია. ერთხელ ნახალოვკაში ვიყავი, ჩემს ბიჭთან. იქიდან წამოსულმა მოძრაობის წესი დავარღვიე. ვიღაც ორმეტრიანი ინსპექტორი უმალ თავს დამდგა, შემომხედა თუ არა, მიცნო. შენ ის არ ხარო? — მკითხა. კი-მეთქი, ვუპასუხე. მართლა ის ხარო? — ჩამეძია. დიას, დიას — ისევ დავუღასტურე. თუ ისა ხარ, მაშინ იმღერეო, დაიჩემა. მე, რა თქმა უნდა, შევუკურთხე. იცით ალბათ, ზოგჯერ ვინებაც მიყვარს...

— **ბატონო ედუარდ, თქვენ**

ერთ-ერთი პირველთაგანი იყავით, ვისაც თქვენმა სენსიამ ბ-ნმა პრეზიდენტმა ღირსების ორდენი გადასცა. მართალია, ბოლო წლებში ძალიან მოგვიმრავლდნენ ორდენოსნები, მაგრამ თაფიდან სომ ასე არ იყო...

— მართალია, ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი, ვისაც ეს ჯილდო ერგო. მაგრამ ძალიან გვიან ავიღე — არ ვცხადებოდი ცერემონიაზე. ბოლოს მივედი და პრეზიდენტმა გადმომცა საზეიმო ვითარებაში. თან მკითხა: ხომ არაფერი გიჭირთო? მხრები ავიჩიჩე. ვერაფერი უუპასუხე. ან რა უნდა მეთქვა? თითხმეტი ლარი მაქვს პენსია, სიგარეტის საყიდლად არ მყოფნის. ზოგჯერ კი ამასაც არ გვაძლევენ. რაც ვეჭონდა, ყველაფერი გავყიდეთ და ქურდებსაც მოვუსპეთ ყველანაირი საბაბი იმისა, რომ შემოვიდნენ ჩვენს სახლში — ვერაფერს მოიპარავენ...

— **ბატონო ედუარდ, ხშირად გაისმის ასეთი ფრაზა: ჯეროვნად ვერ ვაფასებთ ჩვენს მომღერლებს, მსახიობებსო. თქვენც სომ არ ხართ გულდამწყვეტილი ამის გამო?**

— ჩემი ტიტული იცით, რა არის? — რომ გამოაცხადებენ ედუარდ სეფაშვილი და დარბაზში ტაში დაიქუხებს. არანაირი ჯილდო ხალხის სიყვარულს არ შეედრება. რაც შეეხება ორდენებს, ჩემი ღირსების ორდენი, ჩემი მერაბია!





რით შევვდიით XXI საუკუნეში

რაც გვინდა, რომ XX საუკუნეს გავატანოთ, შეიძლება ითქვას, ნათელია — გაზის კამერები, საკონცენტრაციო ბანაკები, შიდსი, ჩერნობილი... ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ არსებობს სია — იმისა, რაც XX საუკუნეში დაიბადა და რის XXI საუკუნეში „ნალეზაზეც“ ამ სიის შემდგენლები — ამერიკული ჟურნალის THE UTNER READER-ის ჟურნალისტები, უარს ნამდვილად არ იტყოდნენ. გადარჩეული იდეებიდან და ობიექტებიდან, ასევე მათზე გაკეთებული კომენტარებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ THE UTNER READER წარმოგვიდგენს არა ტიპურ ამერიკას, არამედ ერთგვარ „მომწვანო-მოვარდისფრო“ ინტელექტუალურ უმცირესობას, რომლისთვისაც უცხო არ არის იდეალიზმი და თვითირონია. ამასთან, სიაში შეტანილია ისეთი პუნქტებიც, რომლებიც ირონიას მკითხველშიც აღძრავს — მარტო ეს სამი რად ღირს: „ადამიანის უფლებები“, „ქალთა უფლებები“ და „გეებისა და ლესბოსელთა უფლებები“. მოკლედ, მოდით ვნახოთ, რას თვლიან ამერიკელები XX საუკუნის „მიღწევებად“.

ავიაგადაფრენები. ითვლება, რომ ატლანტის ოკეანეს პირველად ჩარღვნილინდებრგმა გადაუფრინა. სინამდვილეში კი, 1919 წელს ინგლისელი ჯონ ელკოკი და ამერიკელი არტურ ბრაუნი საკუთარი თვითმფრინავით კუნძულ ნიუფაუნდლენდიდან აფრინდნენ და 28 საათის შემდეგ ირლანდიაში დაემშენენ, მაგრამ ჭეშმარიტი გადატრიალება მოგზაურობის ინდუსტრიაში 50-იანი წლების დასასრულს მოხდა, როცა ახალმა „ბოინგ 707“-მა ამგვარი გადაფრენები ევროპაში შევსებულების გატარების მსურველი მუშა-მოსამსახურეებისა და სკოლის მასწავლებლებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადა.

ანტიბიოტიკები. ინგლისელი მეცნი-

ერის ალექსანდრ ფლემინგის მიერ პენიცილინის აღმოჩენის ისტორია თითქმის ყველასათვის ცნობილია. შევსებულებიდან დაბრუნებულმა მეცნიერმა შემთხვევით შენიშნა, რომ დაუღვერობის გამო, სტაფილოკოკის სინჯები თავდია დარჩენილია და ისინი ობს გაენადგურებინა. ფლემინგმა ამ ანტიბიოტიკურ საშუალებას პენიცილინი უწოდა, ხოლო ტერმინი „ანტიბიოტიკი“ რუსმა ემიგრანტმა — ზალმან ვაკსმანმა შემოიღო (ორივე მეცნიერი ნობელის პრემიის ლაურეატი გახლავთ). სიცოცხლის შესანარჩუნებელ ახალ ტექნოლოგიებს შორის ყველაზე იაფფასიან და მარტივ ანტიბიოტიკებს, უარყოფითი თვისებებიც აქვთ — ისინი იმუნურ სისტემას ასუსტებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა,

ანტიბიოტიკების წყალობით, დღესდღეობით მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

სისხლის ბანკები. 1916 წელს, ექიმ ოსვალდ რობერტსონის მიერ შემუშავებული სისტემის წყალობით, დღეს დაახლოებით 4 მილიონი ამერიკელი ერთმანეთს სისხლს უცვლის. საოცარია, მაგრამ პირველი სისხლის ბანკი შეიქმნა არა ამერიკაში, არამედ ლენინგრადის ერთ-ერთ საავადმყოფოში. ხოლო 1940 წელს აშშ-ში აგორდა ეროვნული პროგრამა „ორგანოების გაცვლა“, რომლის დროსაც შემოიღეს არა მარტო სისხლის, არამედ თირკმლების, ფილტვების, გულისა და სხვა ორგანოების დონორთა რეგისტრაციის ერთობლივი სისტემა.

ცხელი წყალი. 1900 წლისათვის ამერიკაში წყალგაყვანილობის სისტემა უკვე თითქმის ყველა სახლში იყო, მაგრამ ისეთ ფუფუნებას, როგორცაა ცხელი წყლის ჭავლი, კიდევ სამი ათწლეული დასჭირდა და მხოლოდ 1930 წელს დაინერგა იაფფასიანი და ადვილად მოსახმარი წყლის გამაცხელებლები. ხოლო 1968 წელს გამოჩნდა პირველი ჯაკუზი.

„მწვანეთა“ მოძრაობა. როცა 1979 წელს დეპუტატმა დანიელ ბრელაზმა მეორედ დაიკავა დეპუტატის სკამი შვეიცარიის პარლამენტში, რაიმე განსაკუთრებული ზეიმი არ გაუმართავთ, მაგრამ ეს მოვლენა პოლიტიკურ აზროვნებაში კო-

ლოსალური ძვრის მანიშნებელი იყო, რადგანაც ბრელაზი პირველი პარლამენტარი გახლდათ „მწვანეთა“ პარტიიდან. დღეს „მწვანეები“ აქტიურად თანამშრომლობენ სხვა პარტიებთან გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ფინეთის, სლოვაკეთისა და საქართველოს პარლამენტებსა და მთავრობებში. ხოლო მათი ხმა, რომელიც ამტკიცებს, რომ ყოველდღიური საზრუნავი და კომფორტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისეთი აბსტრაქციები, როგორცაა „ეკონომიკური და საწარმოო წინსვლა“, თანდათანობით უფრო ძლიერდება.

ინტერნეტი. იმ ტრილიონობით დოლარიდან, რომელიც გადამხდელთა ჯიბიდან პენტაგონის ბიუჯეტში გადავიდა, ერთი ღირებული რამ მანაც დარჩა – ინტერნეტი. სამხედრო კომუნიკაციის სისტემას, რომელიც 1969 წელს APRANET-ის სახელით შეიქმნა, შემადგენელი ნაწილების განადგურების შემდეგაც, უნდა გაეგრძელებინა ფუნქციონირება. ეს საოცრება კემბრიჯში (მასაჩუსეტის შტატი) ფირმა BOLT, BERANEK & NEUMAN-მა შექმნა და 1971 წელს პირველი ქსელი 15 ერთმანეთთან დაკავშირებული კომპიუტერისაგან შედგებოდა. ორი წლის შემდეგ მათი რიცხვი 37-მდე გაიზარდა და მხოლოდ 1982 წელს, როცა ევროპელმა მეცნიერებმა შექმნეს ე.წ. მასშტაბური ოქები TCP/IP (TRANSPORT CONTROL PROTOCOLS), შესაძლებელი გახდა, ამერიკელთა ელექტრულ ქსელებში შესვლა. ასე ჩაეყარა საფუძველი იმ კომუნიკაციურ საშუალებას, რომლის წყალობითაც დღეს მილიონობით ადამიანისთვის მისაწვდომი გახდა მსოფლიო საინფორმაციო სივრცე.

„მისანებებელი-ქაღალდი“ (POST-IT NOTES)

დღეს ყველა იყენებს ამ პატარა ყვითელი ქაღალდის ნაჭრებს, რომლებზეც ეწერო, რაც ვკვირდება, რომ შემდეგ მაცივარზე, კომპიუტერის დისფლეიზე ან კარზე მივაკრათ. POST-IT NOTE კი იმის შედეგად გაჩნდა, რომ ფირმა 3M-ის თანამშრომელი არტურ ფრაი საეკლესიო გუნდიდან დაითხოვეს: ღვთისმსახურების დროს, მისი ნოტების დასამაგრებ-

ბელი მეტალის სამაგრი ხმაურით იატაკზე დაეცა... მას შემდეგ, რაც 1980 წელს ეს მისაწებებელი ქაღალდები გაყიდვაში შემოვიდა, ვეღარც კი წარმოგვიდგენია, როგორ ვცხოვრობდით მათ გარეშე.

ნიგნები რბილი გარეკანით. იმან, რაც 1935 წელს იწყებოდა, როგორც წმინდა წყლის ავანტიურა – ინგლისური გამოცემლობის PENQUIN BOOKS პირველი წიგნები რბილი გარეკანით, – 50-იან წლებში ნამდვილი კულტურული რევოლუციის ხასიათი მიიღო. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში რობერტ დე გრაფის გენიალურმა ინტუიციამ ითამაშა. გრაფმა 1939 წელს გამოიგონა ახალი საბაზრო კატეგორია – „მასობრივი მოთხოვნის წიგნები“ – და დააარსა ჯიბის ლიტერატურა POCKET BOOKS-ის პირველი გამოცემლობა. უზარმაზარი ტირაჟით გამოცემული „ფოქეთ-ბუქები“ გაცილებით იაფი ღირდა და წიგნის მალაზიების გარდა, აფთიაქებსა და ავტობუსის განერებებზე იყიდებოდა. ასეთი კოლოსალური რაოდენობის პოტენციური მკითხველისათვის აქამდე არასოდეს ყოფილა წიგნი ასე ხელმისაწვდომი.

კროსვორდები. პირველი კროსვორდი 1913 წელს გაზეთ THE NEW YORK WORLD-მა დაბეჭდა. ეს თავსატეხი ჟურნალისტმა არტურ ვინმა გამოიგონა. ახალი ჰობის პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და 1924 წელს გამოცემლობა SIMON & SCHUSTER-მა კროსვორდების პირველი კრებული დაბეჭდა. მას შემდეგ კაცობრიობას უსარგებლო და გამოუყენებელი სიტყვები

აღარ დარჩა.
ქსეროქსები. პირველი ქსეროასლი ნიუ-იორკელი ადვოკატის (შეთავსებით ქიმიკოს-გამომგონებლის) ჩესტერ კარლსონის ცდის შედეგად გაჩნდა. თავის ლაბორატორიაში კარლსონმა აღმოაჩინა, რომ ელექტრული მუხტისა და ფხვიერი მელნის მეშვეობით შესაძლებელია წაშში ნებისმიერი დოკუმენტის ასლის მიღება. პირველი ასლგადამღები მოწყობილობა 1949 წელს გამოჩნდა, ხოლო ჩვენთვის ცნობილი, ქაღალდის ავტომატურად მიმწოდებელი მოწყობილობები, 1959 წელს. ამ აღმოჩენამ გადატრიალება მოახდინა ოფისებსა და საგამომცემლო საქმიანობაში და ამასთან უსაზღვროდ გაზარდა გამოუყენებელი მაკულატურის რაოდენობა...

ნაყინი ვაფლის ჭიქაში. ლევენდის თანახმად, 1904 წლის სენტ-ლუისის მსოფლიო ბაზრობაზე, ერთ-ერთმა ნაყინის გამყიდველმა, რომელიც სანაყინე ლამბაქების (იმ დროს კი, სწორედ ლამბაქებით ყიდდნენ ნაყინს) დეფიციტს განიცდიდა, დახმარება სთხოვა მეზობლად მდგომ საკონდიტრო ნაწარმის გამყიდველს, სირიელ ერნესტ ჰამისს. ჰამიმ უცხად მოიფიქრა, რომ სანაყინე ლამბაქების შეცვლა მილისებრად დახვეული „თურქული ვაფლით“ შეიძლებოდა. ასე გაჩნდა მილიონობით ადამიანის უსაყვარლესი და ამასთან, ეკოლოგიურად სუფთა, უგემრიელესი ნუგბარი.

ქალთა უფლებები. XX საუკუნის დასაწყისში დედამიწის ზურგზე არსებულ არც ერთ ქვეყანაში ქალებს ხმის უფლება არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ სუფრაჟისტების მოძრაობა (მოითხოვდა სუსტი სქესისთვის ამ უფლების მიანიჭებას), ჯერ კიდევ 1869 წელს დღევანდელი ვაიომინგის შტატის ტერიტორიაზე შეიქმნა, პირველი ქვეყანა, რომელმაც ამ რადიკალური პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა გაბედა, ნორვეგია გახლდათ. აქ 1913 წელს ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ. და მხოლოდ 1920 წელს – აშშ-ის კონსტიტუციაში შესწორების მიღების შემდეგ, საარჩევნო ყუთებთან პირველად მივიდნენ ამერიკელი ქალები.

გაებისა და ლესბოსელთა უფლებები. 1969 წლის 27 ივ-



ყველასათვის ნაცნობი და საჭირო „ელვა“ შესაქრავიეც XX საუკუნის „მეილია“



AL და HUMAN RIGHTS WATCH. ამ ორგანიზაციათა აქტივისტები დღემდე ყველა შესაძლო ხერხით ებრძვიან ტირანიის ნებისმიერ გამოვლინებას.

ჩაცმა-დახურვის თავისუფლება. დღევანდელ დღეს შეგიძლიათ ჩაიცვათ ყველაფერი, რაც მოგესურვებათ! ეს ჩვენი წინაპრებისთვის შეუცნობელი თავისუფლებაა. როცა 1921 წელს ქვედატანების სივრცე მუხლამდე დამოკლდა და ევროპული ცივილიზაციის

კრატია. 1932 წელს, ყველაზე მწვავე ეკონომიკური კრიზისის ხანაში, შვედმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც იმხანად ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდნენ, შექმნეს ერთგვარი ოქროს შუალედი კაპიტალიზმსა და კომუნისმს შორის: შეინარჩუნეს თავისუფალი მეწარმეობის პრინციპი და ამასთან, ადავინეს სოციალური სამართლიანობა (დააწესეს უფასო სამედიცინო მომსახურება და ეკონომიკური გარანტიები მოზუცებულთათვის). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს პრინციპი ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და დედამიწის სხვა კუთხეებში. თუმცა, მოგვიანებით სოციალ-დემოკრატამ პოპულარობა დაკარგა — 1980 წელს ფრანგი სოციალისტების ლიდერმა — ფრანსუა მიტერანმა აღმოაჩინა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები აქტიურად ერეოდნენ კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკაში.

ლისს ნიუ-იორკის პოლიციის რაზმი, რომელიც კრისტოფერ-სორითს (ამ ქუჩაზე მდებარეობს სექსუალურ უმცირესობათა ბარების უმეტესი ნაწილი) აწიოკებდა, ერთ-ერთ ბარში ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა: ბარის კლიენტები პოლიციელებს ლანძღავდნენ, ავეჯს ამტვრევდნენ და მათ არ ემორჩილებოდნენ. საპროტესტო გამოსვლები მთელ კვირას გაგრძელდა. ერთი წლის შემდეგ კი გეების, ლესბოსელების, ტრანსვესტიტებისა და სხვა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებმა ნიუ-იორკის ქუჩებში საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს. ასე დაიწყო ბრძოლა მათი უფლებებისთვის, ვისაც აქამდე გარყვნილებად, საზოგადოების ხორცმეტებად და დამნაშავეებადაც კი თვლიდნენ.

ის ისტორიაში პირველად, კაცობრიობამ იხილა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება — ქალის ფეხები. ბოლო მოუღო წარსულის ერთ-ერთ ტირანიას: „ჩაცმა-დახურვის კოდექსს“. გარდა ამისა, ქალებს თავისუფლად მოძრაობის, სირბილის, ზტუნვისა და ლაღად ცეკვის საშუალება მიეცათ. ხოლო სინთეტიკურმა ქსოვილებმა (ნეილონი და პოლიესტრი) ქალები უთოობის მომაბეზრებელი ცერემონიისგანაც გაათავისუფლა.

მაგრამ თავად სოციალ-დემოკრატის არსი — ნებისმიერი ადამიანი იმსახურებს საზოგადოებრივი სიმდიდრიდან თავის კუთვნილ წილს — კაცობრიობის მიერ შემუშავებულ იდეათაგან, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სამართლიანია.

ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებების დამცველი კამპანია შედარებით ახალგაზრდაა. განსაკუთრებით კი იმ საუკუნისთვის, რომელიც ადამიანის მონობას 1962 წლამდე (გადავარდა მონათმფლობელობა საულის არაბეთში) ეგუებოდა, ხოლო თეთრკანიანთა ბატონობას „შავ“ მოსახლეობაზე 1994 წლამდე ითმენდა (1994 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდამ არსებობა შეწყვიტა).

მზის ენერჯია. მზის ენერჯიის ელექტრულად გარდაქმნის დემონსტრირება პირველად 1904 წელს, სენტ-ლუისში მოხდა. მაგრამ ამ ხერხით ენერჯიის მიღება ძალზედ ძვირად ღირებული საიმონება იყო და ამიტომ მთელი XX საუკუნის მანძილზე კაცობრიობა, უმეტესწილად ისევ სათბობის ტრადიციულ ტიპებს (ნავთობს, გაზს), ჰიდროელექტროსადგურებსა და აესებს იყენებდა. მაგრამ, ბოლო დროს მზის ბატარეების წარმოებაში მიღწეული წარმატებები და ნავთობისა და ელექტროენერჯიის ფასების განუწყვეტელი ზრდა იმედს გვაძლევს, რომ სულ მალე დედამიწის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი პირდაპირ მზიდან მოწოდებული ენერჯიის აქტიური მომხმარებელი გახდება.

„ჰიპური“ ცხოვრების სიმბოლო — **ფრისბი** (მფრინავმა თევზმა) სენსაცია გამოიწვია 1950-იან წლებში. ახლა ამერიკელებსაც კი აღარ ახსოვთ, რომ ქალაქ ნიუ-ჰეივენში არსებობდა კომპანია „FREESBY PIE“, რომელიც ტორტისთვის განკუთვნილ მუყაოს თევზებს უშვებდა. მერე ისინი ხელიდან ხელში გადადიოდა იელის უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში. ლეგენდის თანახმად, სწორედ იქ იშვა ეს თამაში და შემდეგ მთელ ქვეყანას მოედო. ფრისბი იმით ხიბლავს ადამიანებს, რომ სპორტის სამყაროში მისთვის უჩვეულო სული-სკვეთება შემოიტანა: მასში არც ანგარიში არსებობს და არც გამარჯვებული — სამაგიეროდ, ბევრ სიამოვნებას ჰკვრის მის მოყვარულთ. ამიტომაც იყო, რომ არავის გაჰკვირვებია, როცა 1991 წელს პენტაგონმა, სპარსეთის ყურეში მომხდარი კონფლიქტის დროს რეგიონში გადასროლილ ჯარისკაცებს 20 ათასი ფრისბი გაუგზავნა.



6060 ჩაპახიშვილი

ფიცხი კაცი ყოფილა ლადო ბალიაურ-
რი, ფიცხი და ფხიანი, გაუტყნელი ხე-
ვისური; ტანად ჩასხმული და მოხდენი-
ლი, აზრიანი და კარგი მოუბარი. სხვა-
თა და სხვათა მიზეზთა გამო, ბევრისთვის
დღესაც უცნობია რეპრესირებული მწერ-
ლის ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი
ნეშტი ახლა შუაფხვოში, იახსრის გორაზე
წმინდა ალაგას განისვენებს. რომ არა
მწერლის სიძე, ცნობილი საზოგადო
მოღვაწე ნიკო მაკალათია, ლადოს ძვლები
დღესაც შუა აზიის მიწაში, ყარაგანდ-
ში იქნებოდა დარჩენილი...

გადასახლებიდან თვითონაც ახალ-
დაბრუნებულ ნიკოს, მაინც გაუბედავს
და ლადოს ძვლები ყაზახეთიდან ჩე-
მოღნებით უტარებია... თბილისში ჩამო-
სულს ტაქსი გაუჩერებია და შუაფხოს
გამგზავრებულა. არავინ უწყობდა მისი
განზრახვის შესახებ, რადგან იცოდა ნი-
კომ – განუკითხაობის ქაოსში ამ ამ-
ბის განმაურება კარგს არაფერს უქად-
და. ცოლისდებს მოულოდნელად დას-
დგომია თავს და მანქანის საბარგულ-
იდან ლადოს ძვლებით სავსე ორი ჩე-
მოღანი გადმოუღია. თვითონ კი მამ-
ინვე უკან გამობრუნებულა.

5 და ჰყავდა ლადო ბალიაურს. თურ-
მე ეჭვით უყურებდნენ დები სიძის თავ-
გამოდებას: ვაითუ ლადოს ძვლების მა-
გივრად სხვა მიცვალებულის ნაშთს
დავტირითო, მაგრამ ერთ-ერთ დას მძის
თავის ქალა ნაჭრილობევით უცვნია.
ლადოს ისეთ დროს მოუხდა ცხოვრება,
როდესაც ხევსურეთში ვაჟკაცობა შულ-
ლის დროს გამოჩენილი სიმამაცით
იზომებოდა, როცა „ვაჟაი ნაჩეხი სჯობ-
და“ და ლადოც ახალგაზრდობაში
თურმე ხშირად „შულლობდა“ ხოლმე.
ამიტომ ბუნებრივია, ნაიარევიც ბევრი
ექნებოდა...

დამშვიდებულან დები: სხვა თუ
არაფერი, ძმის სამარე ვიცით და დავ-
იტირებთ მაინცო...

ლადო ბალიაური 1907 წელს,
სოფელ ახიელში დაიბადა. ისეთი დრო
იყო, როცა არხოტიონთა სახლებში
სიკვდილი დათარეშობდა – გამწვავე-
ბული იყო ქისტებთან ურთიერთობა.
ლადო მამის, თათიას ერთადერთი იმე-
დი იყო. ამიტომ გამოარადა შვილის
ბედ-იღბალზე მწუხარმა თათიამ ვაჟი
მთას – არავინ მომიკლასო და სასწავ-
ლებლად თბილისში, კახიანის სახელო-

ბელი უბეღურისა



ანუ კიდევ ერთი რეპრესირებული ქართველი მწერალი

ბის „მუშფაკში“ (მუშათა ფაკულტე-
ტი) მიაბარა. ლადო, პლეხანოვის
გამზირზე, საერთო საცხოვრებელში ცხ-
ოვრობდა დავით ბალიაურთან და თანა-
სოფელელ გაბრიელ ნაროზაულთან ერ-
თად. „მუშფაკის“ დამთავრების შემდეგ,
ნიკო მაკალათიას დახმარებით, სწავლა
ლენინგრადის უნივერსიტეტში, აღმო-
საველეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გა-
ნაგრძო, მაგრამ 1934 წელს სამწუხარო
ამბავი აცნობეს: მისი ბიძაშვილი, ქაქუ-
ცა ჩოლოყაშვილის რაზმელი, თავისუ-
ფლებისათვის მებრძოლი 38 წლის თომა
ბალიაური სოფელ ამლაში მოკლა
ბოლშევიკური მთავრობის ერთგულმა
კაცმა... ლადომ ლენინგრადი უყოყმან-
ოდ მიატოვა და არხოტში შურის სა-
ძიებლად დაბრუნდა. მართლაც, თავის
ბიძაშვილთან ერთად „ამლის შარაზე
წააქცია მკვლელის ახლობელი (მონე),
ვისაც ბრალი ედო თომას დაღუპვაში“
(გაბრიელ ნაროზაული).

ლენინგრადიდან დაბრუნებულმა ლა-
დომ, ახალი იმედებითა და ძალისხმევით

განაგრძო სწავლა ფილოლოგიის
ფაკულტეტზე. დაიწყო აქტიური ლიტ-
ერატურული მოღვაწეობა, წერდა
მოთხრობებს, მინიატურებს. 1938 წელს
საქართველოს მწერალთა კავშირის
წევრიც გახდა. ის დროა, როცა ქვეყანა
სავსეა ახალი იდეოლოგიის მეხოტბე-
ბით; როცა 30 ვერცხლზე იყიდება მე-
გობრობა და ვაჟკაცობა; რეპრესიები
ახალი დაწყებულია და ციხეები ხალხის
„მტრებით“ არის სავსე. ლადოც თავის
მეგობრებთან ერთად არაერთხელ დამდ-
გარა რეალური საფრთხის წინაშე. გაბ-
რიელ ნაროზაული ორიოდე ჭიქა ღვი-
ნოზე დათენებულ ერთ-ერთ დამეს ასე
იგონებს – თვითონ მას, გაბრიელ ჯაბუ-
შანურსა და ლადოს დილით მირზა
გელოვანიც შეუერთდათ თურმე. „დავ-
ლიეთ. ავდექით და ფუნეკულიორზე
წავედით. მირზას ერთი ნახვით შეატყ-
ობდი, რომ ძალიან მაგარი იყო, გაუტყნ-
ელი. ნატყვიარი აჩნდა გულთან ახ-
ლოს. ლადომ და გაბრიელმა მითხრეს:
სარკის წინ მდგომს დაეხალა საკუ-
თარი თავისთვის ტყვია, რასაც თვითონ
ასე ხსნიდა ხოლმე: მინტერესებდა, სისხ-
ლი როგორ გადმოსჩუხჩუხებდა ნატყვი-
არსო...

გავადვიძეთ ლუდის გამყიდველი.
დღევანდელ დღესავით დამამახსოვრდა:
თოთხმეტ-თოთხმეტი კათხა გამოცვა-
ლეთ... ჩამოვედით ქალაქში და დავ-
სხედით სასადილოში. დაიწყო მირზამ
პოლიტკატიმრების სადღეგრძელოები.
სათითაოდ ახასიათებდა ტიცინა ტაბი-
ძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, სისო ლომ-
ინაძეს, რომლებიც იმ დროს დაჭერ-
ილები იყვნენ. სასადილოში მყოფი
ხალხი პირდაღებული გვიყურებდა...

მეორე დღეს გვითხრა ლადომ: მირ-
ზას ყველაფერი ფეხებზე კიდა, არაფ-
რის ეშინია, გუშინ კინაღამ ხათაბალა-
ში გაგვხვია, ორგანოს მუშაკები რომ
შესწრებოდნენ ჩვენს ღრეობას, უეჭვე-
ლად დაგვაპატიმრებდნენ...“ ტყუილად
როდი ფრთხილობდა მწერალი – აკი
თვითონაც ვერ გადაურჩა ქარიშხალს...
მავანთა და მავანთ უცილობლად უნდა
„მოეხადათ“ ნაღები ქართველი საზოგა-
დოებისთვის. რადგან ასე უფრო გაუად-
ვილებოდათ, ღირსება აყვარათ და დაე-
ჩლუნგებინათ ქართველები.

ლადოს ცოლეურები ხელისუფლებ-
ისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი.
სიმამრი, ქეთო ჭელიძის მამა, მღვდელი
იყო. სრულიად უდანაშაულოდ დახ-

კრიტეს. მალე მამის ხვედრი და-ძმამ, ელენე და შურა ჭვლიძეებმაც გაიზიარეს – არავინ იცის, „გუბერციის“ სასიკვდილო საკნებიდან სად გაქრნენ ჭვლიძეები. ბუნებრივია, ეს ამბები მწარედ ჩააფიქრებდა მწერალს და შეუძლებელია, სიძულვილი არ ჰქონოდა უსამართლობისა და ცრუ იდეოლოგიის მიმართ, მაგრამ ლადო ბალიაურის თანატოლი მწერლების სახელები რეპრესიების წლებში მაინცდამაინც არ ფიგურირებს: ასაკის გამო მათ, უბრალოდ, ვერ მოასწრეს „მტრული“ და „მოღალატური“ საქციელით დაინტერესებინათ უშიშროება, თორემ ბრალდების წაყენებას რა უნდოდა?!

1941 წლის 22 ივნისის ომი დაიწყო. უცხოეთში გადახვეწილ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს საქართველოში არალეგალურად მოქმედ ორგანიზაციებთან ჰქონდათ კავშირი და პროკლამაციებით მოუწოდებდნენ, გერმანელების წინააღმდეგ, რუსების სასარგებლოდ არ ებრძოლათ: გერმანიის ჯარი ჩრდილო კავკასიაზე ჩაივლის, საქართველოს ხელშეუხებლად დატოვებს და თუ ასე მოხდება, ქვეყანა დამოუკიდებლობას მოიპოვებსო... შეთქმულები ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს კრებებზე, მაგრამ მაინც გამჟღავნდა მათი ზრახვები და რეპრესიებმაც არ დააყოვნა. ლადო ბალიაურის პირდაპირი კავშირი ამ ორგანიზაციებთან, მართალია, წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ როგორც გაბრიელ ნაროზაული ლადოს დებისგან გაგონილს იხსენებს, ერთ-ერთ შეკრებას რომელსაც შეთქმულთა აქტიური წევრი, მწერალი გიორგი ქადაგიძე ხელმძღვანელობდა, ლადოც დასწრები. ეს კი ნიშნავდა, რომ ლადოს სახლს და საიდუმლოს შემნახავ პიროვნებად მიიჩნევდნენ. იმ დროს კი უშიშროების კომიტეტს, როგორც ამბობდნენ, სასიყვარულო სარეცელზე მყოფი ცოლ-ქმრის ჩურჩულიც კი ესმოდა და ეს ამბავი როგორ გამოეპარებოდა?! დააპატიმრეს ლადოს სიძე, ნიკო მაკალათია. თვითონ ლადომ შუაფხოს შეაფარა თავი, მაგრამ იქ დიდხანს არ გაჩერებულა.

არაგვის ხეობაზე ჯარის ნაწილები იდგა და შინსახკომელები მიდი-მოდიოდნენ, საფრთხე ყოველთვის არსებობდა. 1942 წელს ლადო ქუთაისში გადასულა და ის ზამთარი დის ოჯახში გაუტარებია. ჯუთა სნოს წყლის სათავეში მდებარეობს. სოფლის მოპირდაპირე



მხარეს ერთი მომცრო გამოქვაბულია – „ლადოს ეხს“ ეძახიან ახლაც. თურმე იქედან ხელისგულივით მოჩანდა სოფელი და გამჭრიახ მზერას უცხო მგზავრი ადვილად ვერ გამოეპარებოდა. აქ, რამდენიმე თვის განმავლობაში იმალებოდა ლადო, ხანდახან ღამეს თავის დებთან ათევდა, დილით კი ისევ ქარაფისკენ მიეშურებოდა. ფრთხილობდა, რადგან ყოველ წუთს, მოსალოდნელი იყო შინსახკომელთა გამოჩენა. და-სიძეთა ოჯახების გარდა, სულ რამდენიმე კაცმა თუ იცოდა ლადოს ჯუთაში ყოფნა. მწერალი ვერ ბედავდა სახლიდან გარეთ გამოსვლას – კედლებსაც კი ყურები ჰქონდა, ყოველი მეორე ადამიანი დამსმენი იყო... როგორ უნდოდა საფიზნოზე შეყრილ ხალხთან საუბარი, მათთვის თავისი ტკივილისა და დარდის გაზიარება, მაგრამ ვერავის ენდობოდა და შეწუხებული წერდა: „ვუშე თოვლში და ღამეში ატუხულ ერთადერთ ხეს, ჩემებრ მარტოდ დარჩენილ ხეს... ხე იძარცვება თოვლში და ღამეში, ხე ქრება და ჩემს სულს სიმარტოვე ეუფლება. მარტოდმარტო ვრჩები ადამიანებს შორის“. მაგრამ კარგად იცოდა ისიც, თავის ბედისწერას რომ ვერ გაექცეოდა. ალბათ, ზოგჯერ ამიტომ თუ აღარ ერიდებოდა თავის გამჟღავნებასაც. ასეც მომხდარა: „სოფლის სხვა უბანში, მეორე დასთან მყოფს, ივანეთ ბაბუასთან და ქოხათ ჩაჩაურთან ჩხუბი მოსვლია. გაუჟღავნებია თავი და დილით, ხალხის დასანახად, გიგიტას (დის ქმარს) არხოტის მიმართულებით გაუცილებია... გიგიტა რომ დაბრუნებულა, უკითხავთ: ამ თოვლში როგორ გადავა მთას, სად წავიდაო?

– არხოტში, – მიუგია გიგიტას იქვე მსხდარი დიაცების გასაგონად, რუსულად კი ჩაულაპარაკნია: „ობრატნო ვერნიოტსია“.

გაზაფხულზე გულმა აღარ მოუთმინა ლადოს, შინ ველარ გაჩერდა და „ტყვეობიდან“ თავი გაითავისუფლა, სოფელშიც აღარ ფრთხილობდა და შედეგმაც არ დააყოვნა.

გათენებისას, თოფ-იარაღში ჩამჯდარი ფორმიანი შინსახკომელებით აივსო სოფელი. ნაწილმა გიგიტას სახლისკენ აიღო გეზი, ნაწილი კი მთრეხისკენ წავიდა. რაიონის შინსახკომის უფროსმა ღონდაძემ „კაგებეს“ მაშინდელი თავმჯდომარის რაფავას წერილობითი დოკუმენტი წარუდგინა გიგიტას – სულ რადენიმე სიტყვით იუწყებოდა: ლადო ბალიაური იმალება ჯუთაში და დააპატიმრეთო! გიგიტამ იუარა – ლადო ჩემთან რომ ყოფილიყო, მთელ სოფელს ეცოდინებოდაო. სახლის ყველა კუთხე-კუნჭული გადაქექეს, მაგრამ ლადოს კვალს მაინც ვერ მიაგნეს. ჭკვიანი კაცი იყო გიგიტა და ადვილად დაარწმუნა ღონდაძე, რომ სოფელში ლადოს ძებნა უაზრობა იყო. მილიციელთა რაზმი უკან ხელცარიელი გაბრუნდა, მაგრამ კვლავ გროშებზე გაიყიდა კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცი... სოფლის მოენემ მილიციელებს აუწყა, რომ ლადო გიგიტას სახლის სახურავზე იმალებოდა. მალე გიგიტას სახლი ტყვია-წამლის კვამლში ისე გაეხვია, რომ აღარ ჩანდა. დაჭრილი ლადოს ძახილზე – ნუღარ მესვრით, დავიჭვრიო, უფრო გაგულისებულან ფორმიანები და ტყვიის წვიმა წამოსულა არაბულების სახლზე. არც ლადო მჯდარა გულხელდაკრეფილი:

ვინმე ნიკო ფიცხელაურს კარაკულის ნატყვიარი ქული უჩვენებია „თანამებრობებისთვის“ და უთქვამს: კინაღამ შუბლი გამიხვრიტაო... დაჭრილი პოეტი ბალახზე დაუსვენებიათ.

სარკე მოუთხოვია ლადოს – ჩამახედეთ, შეშინებული ხომ არა ვარო... ყველა ტყვია ფეხებში ჰქონდა გავლილი, მაგრამ ტკივილებს ვაჟკაცურად იტანდა თურმე. მილიციელებს კი, საქმის წარმატებით დაგვირგვინების აღსანიშნავად, „სამადარიჩოდ“, გზად არაფი უყიდათ და ჭიქების ჭახუნით თურმე გამარჯვებას ულოცავდნენ ერთმანეთს... ლადოს სიძეები, გიგიტა და გიორგი არაბულეები, როგორც „ბანდიტის“ ხელშემწყობნი, ერთი თვე ციხეში აყურყურტეს. ლადო კი არხოტის ანუ ანდეზიტის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს.

– მე ძალიან კარგად ვარ, 7 ნატყვიარი მჭირსო, – იწერებოდა ლადო. ამ მწარე ირონიაში კი მისი სულიერი სიმტკიცე კარგად იგრძნობოდა. საავადმყოფოში მასთან, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ყაზბეგის რაიონის მილიციის უფროსი, ვანო მაჭარაშვილი მისულა და დამცინავად უთქვამს: „დაგიჭირე, მამამაღლო?!“ ლადოს არაფერი უპასუხია – ეგ არის, გრაფინი აუღია და სახეში უსვრია...

ცოტა რომ გამოკეთდა მწერალი, ორთაჭალის ციხის საავადმყოფოში დააწვინეს. მალე სასამართლოც დაინიშნა – ბრალდებად, დაპატიმრებისას სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა წაუყენეს. მალევე „გუბერციის“ ციხეში ჩასვეს. ორი წელი გაატარა სააყრობილეში. საოცარია, მაგრამ მაშინ, როდესაც ყოველ წუთს ვიდაცას ხვრეტდნენ, ლადო ამჯერად როგორდაც გადარჩა. უბრალოდ, ადგილსამყოფელი შეუცვალეს და ავჭალის ციხეში გადაიყვანეს. იქ ხშირად აკითხავდნენ დედა, მეუღლე და ნიკო მაკალათია. ერთმა თუშმა პატიმარმა, კოტე თავბერიძემ შემოგვინახა ლადოს საპატიმრო ცხოვრების ეპიზოდები. ერთხელ ბერდელა (ლადოს დედა) შვილის სანახავად მისულა. ზედამხედველებს უარი უთქვამთ შეშვებაზე: შვილთან შეხვედრის უფლება არა გაქვთო.

– არ მაქვს და არც გეხვეწებით! – უპასუხია ბერდელას. მერე შემალღებულ ადგილზე ასულა და იქიდან გაუმხნეკება შვილი:

– მოკვდი, შვილო, მოკვდი, არ მენანები – შენს მამა-პაპასაც ასე უბრძოლია!..

და თან იქვე მდგომ „ნაჩაღნიკებზე“ უკითხავს:

- ვინ არიან, აქ რომ ჰყუდიანო?
- ნაჩაღნიკები! – აუხსნია შვილს.
- არა შვილო, შენ სტყუვდები, ნაჩაღნიკები თქვენა ხართ, ესენი კი თქვენი მწყემსებია, თქვენ გვივლიანთ!

„ნაჩაღნიკებს“ ერთმანეთისთვის შეუხედავთ და გასცინებიათ...

1944 წელს კოტე თავბერიძე და ლადო ბალიაური იგოეთის კოლონიაში გაამგზავრეს. მაშინ კოლონია თვითონ პატიმრების ხელით შენდებოდა. ლადო კორპუსის „სტარასტად“ დანიშნეს – მეთვალყურეობა უნდა გაეწია 100 ტუსადისტთვის. დღისით მუშაობდა, ღამით კი კითხულობდა და წერდა. არაერთი მოთხრობა და მინიატურა დაწერა იგოეთში ყოფნის დროს. წერილებში განსაკუთრებული დაჟინებით სთხოვდა ახლობლებს, რომ მისთვის დიმიტრი უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“, მოსე გოგიბერიძის „ფილოსოფიის ისტორია“ და ლერმონტოვის ლექსები გაეგზავნათ. 5-6 წლის შემდეგ უფრო შორს, ახლა უკვე შუა აზიისკენ გაამგზავრეს გადასახლებულნი. ლადო ყაზახეთში, ქ. ყარაგანდში „დასახლდა“, როგორც თვითონ იგონებდა, – „დაღლილი მწარე განცდებით, დაღლილი ფიზიკურადაც და სულიერადაც“. არადა, ყველაფერი საკუთარი ხელით უნდა გაეკეთებინა: ლუკმაპურზეც უნდა ეზრუნა და საცხოვრებელ „მიწურზეც“. მეტი გზა არ იყო და ლადოც საკარტოფილეს ხნავდა გუთნით, თესავდა, მაგრამ დიდხანს ვერ შეძლო ფიზიკური შრომა. მაინც ამშვიდებდა თავისიანებს – არც ისე მძიმეა ჩემი მდგომარეობა, თქვენ რომ გგონიათ, ნუ დარდობთ – ცხოვრება აქაც შეიძლება, გავა დრო, გამომიშვებენ და სულ ერთად ვიქნებითო... ენატრებოდა ოჯახური სითბო და სიმყუდროვე.

და აი, ლეკის ასულმა, ჰალიმათა დაატყვივა ხევსური ვაჟკაცი. ცოლად შეირთო. უნდოდა, გაზაფხ-

ულზე ჰალიმათი საქართველოში გამოეგზავნა და ოჯახის წევრებისთვის გაეცნო: „ეინტერესება თქვენი ნახვა“, – წერდა 1953 წელს დედას.

იწურებოდა გადასახლების ვადა; მატულობდა პირადი წერილების რიცხვიც. თავის დას, თუთის წერდა: „ვიცი, შენ გამწერალი ხარ – რომელი ერთი ცოლი შეგუხვეწაო დმერთს! ჩემო თუთი, მე ასეთი ბედი მქონია და რა ვქნა; მე ვერ შევქმენი მტკიცე ოჯახი, ვერ დავმკვიდრდი ერთ ადგილზე! განა არა მწყურია ოჯახი და შინ ყოფნა, მაგრამ ზოგს ასეთი ბედი აქვს, ზოგს ისეთი. აი, ეხლა რომ დავბრუნდები საქართველოში, ფეხს არსად მოვიცვლი. გავაკეთოთ სახლი შუაფხოში. ჰალიმათი მშრომელი ქალია, შევიძინოთ ძროხები, ფუტკარი, ხან ხარის ჭალას, ხან შუაფხოს – ჩვენი სიბერე ტკბილად გავატაროთ...“

ველარ მოესწრო ლადო შუაფხოს ნახვას... ამოდ იწერებოდა – განცხადება და მოთხრობები გამოვგზავნე თბილისში და პასუხს ველოდები მწერალთა კავშირიდანო. თუ დაბეჭდავენ, უკეთესად იქნება ჩემი საქმე და დაბრუნებაც გამიადვილდებაო. სტრიქონებს შორის კი თითქოს წინასწარმეტყველურად, მაინც გაკრთებოდა ხოლმე ეჭვი: „თუ დავბრუნდი... იქნება გამანთავისუფლონ...“

უკვე გათავისუფლებული და საქართველოში დასაბრუნებლად გამზადებული ლადო ბალიაური გარეულ იხვევებზე წასულა სანადიროდ; წასულა და ჭაობს ჩაუთრევია... ასე ამბობენ...

კიდევ ერთი კარგი ქართველი მწერალი ბურუსით მოცულ ვითარებაში გამოესალმა სიცოცხლეს... არადა, არავინ იცის, მართლა ჭაობმა ჩაითრია თუ...

P.S. ლადო ბალიაურის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოწოდებული მასალებისთვის მადლობას ვუხდის ბატონ ამირან არაბულს.



msxverplad

qceuli

ჯეკეთები

დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის მთელი ისტორიის მანძილზე ჯალათების მთელმა რიგმა ჩაიარა, რომელნიც თავიანთი საქმის ოსტატები იყვნენ. მათ პატივს სცემდნენ, გვერდს უვლიდნენ, ეშინოდათ და სძულდათ. სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მომყვანნი კი იმით ტრაბახობდნენ, რომ თვითონ ისინი არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდებოდნენ მსხვერპლთა ადგილზე. თუმცა, სინამდვილეში სხვაგვარად მოხდა.



დიდი ხნის მანძილზე სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას საფრანგეთში სანსონების დინასტიის წარმომადგენლები — ცნობილი პარიზელი ჯალათები ემსახურებოდნენ. ისინი დამნაშავეს თავს ჰკვეთდნენ ნაჯახით ან ხმლით, ძელს უმტვრევდნენ, ახრჩობდნენ, აწამებდნენ, სჯიდნენ შაყის კვრითა და ბორბალზე გაკვრით, ცოცხლად წვაავდნენ და სარზე აგებდნენ.

XVIII საუკუნის ბოლოს, სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას შარლ-ანრი სანსონი განაგებდა. თავისი სისხლიანი სამუშაოს საფუძვლიანად შემსრულებელს, შარლ-ანრი სანსონს, სიკვდილით მორიგი დასჯის შემდეგ, მელანქოლია მოეძალა — დამნაშავეებისადმი სიბრალულის გრძობამ შეიპყრო. უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმის ფიქრმა შეაწუხა, რომ მათთვის სიცოცხლე ასე სასტიკად არ მოესწრაფა, როგორც ამას სასამართლო განაჩენი მოითხოვდა.

ერთხელ, ბნელ, წვიმიან საღამოს, სანსონის სახლის კარზე დააკაკუნეს. გვიანი სტუმარი პარიზის მოღური ექიმი გიიოტენი აღმოჩნდა.

— მისიე სანსონ, — ნახევრად ჩურჩულით წარმოთქვა ექიმმა, — თქვენთან სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე მაქვს.

მასპინძლის კაბინეტის საწერ მაგიდაზე ექიმმა გიიოტენმა ქალაქის რამდენიმე რულონი გაშალა. მათზე უჩვეულო კონსტრუქცია იყო გამოსახული: ორი ვერტიკალური დაფა, რომელთა შორისაც სწორპირიანი დანა მაგრდებოდა.

— იცნობთ ამ მანქანას? — ჰკითხა ექიმმა ჯალათს.

— ეს, ეწ. მანაია, — მიუგო სანსონმა. — იტალიისა და გერმანიის სამთავროებში სიკვდილით დასჯის ამ იარაღს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ, მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდებოდა თავის მოკვება ერთი, ზოგჯერ კი ორი დარტყმითაც კი. ხმალი ან ნაჯახი ბევრად უფრო საიმედო იყო.

— თანახმა ვარ — თქვა ექიმმა, — მაგრამ ნაჯახიც ხომ შეიძლება ასცდეს მიზანს და დასასჯელს ან ხერხემალზე მოხვდეს, ან კეფაზე. ეს კი სისასტიკეა.

— მანაია სულაც არ არის „პანაცეა“, — შეეპასუხა ჯალათი, — მაგრამ თქვენ დროულად მოხვედით ჩემთან. მეც წინააღმდეგი ვარ ტანჯვის მომტანი დასჯის.

— ახლა ჩემს მთორე პროექტს შეხედეთ, ბატონო სანსონ.

გიიოტენმა კიდევ ერთი რულონი გაშალა და გაუმჯობესებული მანაიის კონსტრუქციის ასხნას შეუდგა. იგივე ორი ბოძი, იგივე დანა, მაგრამ ნახევარმთავრისფორმიანი პირით, რომელიც ზედა მხარეს ტყვიით იყო გამაგრებული. სიკვდილის მანქანის ქვედა ნაწილში გათვალისწინებული იყო კალაპოტი მსხვერპლის კისრის ფიქსირებისათვის. სიკვდილიმსჯილის ძალით მითრევა კუნძამდე უკვე საჭირო აღარ იყო. მსჯავრდებულს სახსრებზე მიმაგრებულ ვერტიკალურ დაფასთან მიყვანდნენ, რომლის ზედა ტორსიც მხოლოდ კისრის საწყისამდე აღწევდა. შემდეგ უბეღური, დაფაზე მიჯრული, ელვის სისწრაფით ლებულობდა ჰორიზონტალურ მდგომარეობას და კისერი მამინვე კალაპოტში აღმოჩნდებოდა. თავი უძრავად ფიქსირდებოდა, ჯალათს კი მხოლოდ პატარა სახელურის გადატრიალებდა რჩებოდა. დანა, რომელიც დიდი სიმაღლიდან ეშვებოდა, წამში ჰკვეთდა თავს. სიკვდილი მომენტალურად დგებოდა.

— არავითარი ტანჯვა-წამება, — განაგრძობდა ექიმი გიიოტენი, — დამნაშავე მხოლოდ ჰაერის მსუბუქ დაბერვას იგრძნობს კეფაზე.


ჯალათს მოეწონა ექიმის იდეა. მოითხოვეს აუდიენცია საფრანგეთის მეფესთან ლუდოვიკო XVI-სთან ასეთი ჰუმანური იდეის დასამტკიცებლად. მეფემ ისინი პატარა კაბინეტში მიიღო. მას შავი ხიფთანი, შავი კამზოლი, შავი ფაბოთი დამშვენებული შავი პერანგი, შავი პანტალონები და შავი წინდები ემოსა. მხოლოდ ფეხსაცმელი ეცვა სისხლივით წითელი. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოჩენია ჯალათს — სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ხომ, თვითონაც

სწორედ ასე იმოსებოდა.

– თქვენს წინადადებას, ბატონებო, ვიწონებ და ვემხრობი, – წარმოთქვა ლუდოვიკო XVI-მ – აი, მხოლოდ დანის პირი არ მოძწონს. იცით, ასალგაზრდობაში მექანიკას ვსწავლობდი. მისი კანონების მიხედვით, დანის პირს ნახევარმთვარის კონფიგურაცია კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ ირიბი. მაშინ განაჩენის სისრულეში მოყვანისას ნებისმიერი კაზუსი საესეებით გამოიცხული იქნება. თუმცა, ბრძანებას გავცემ, მანქანის გამოსაცდელად 20.000 ლივრი გამოგიყონ. შედეგები ერთი თვის შემდეგ მომასხსენეთ.

სიკვდილის მანქანა ააგეს და კონსიერჟერის ციხის ეზოში დააყენეს. იქვე მიიტანეს სამი გვამი. როგორც მეფემ იწინასწარმეტყველა, დანის ნახევარმთვარის ფორმის პირი მიზანს ასცდა. გვამის კისერი მხოლოდ ნახევრად გაიჭრა. სამაგიეროდ, ირიბპირიანმა დანამ „მშვენიერად“ იმუშავა. მეფემ დაამტკიცა პროექტი და „ჰუმანურ“ მანქანას „გილიოტინა“ უწოდა – „ჰუმანისტ“ ექიმის, გილოტენის სახელის მიხედვით.

გილიოტინა პატარა მდელოზე მოათავსეს ტოუილრის სასახლის მახლობლად და მანქანა შეუფერხებლად ამუშავდა. მაგრამ ამ დროს დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია. კონვენტმა ლუდოვიკო XVI-ს და მის მეუღლეს მარია-ანტუანეტას გილიოტინა მიუსაჯა. მეფე ვაჟაკურად ავიდა ეშაფოტზე, ახელა საკუთარი კონსტრუქციის დანას და... მყისვე თავიც მოჰკვეთეს!..

 ამერიკელი ჯალათი ჯონ ვუდი ისტორიაში შევიდა, როგორც XX საუკუნის ყველაზე ცნობილი ჩამომხრჩობი. ნიურნბერგის პროცესის სასამართლომ ზომ სწორედ მას დაავალა, იმქვეყნად გაესტუმრებინა დამნაშავე ნაცისტები – რიბენტროპი, კეიტელი, იოდლი, კალტენბრუნერი, როზენბერგი, ფრანკი, ფრიკი, შტრაიხერი, ზაის-ინკვარტი.

სასამართლოს არც ერთ წევრს ეჭვი არ ეპარებოდა ჯონ ვუდის ოსტატობაში. თავის მშობლიურ ქალაქში, სან-ანტონიო-



ში მას იმ დროისთვის 350 კაცი ჰყავდა ჩამომხრჩობილი. ვუდს ამერიკის არმიის სერჟანტის წოდება მიანიჭეს და საგანგებო რეისით სან-ანტონიოდან ნიურნბერგში ჩაიყვანეს.

– დიდხანს ვოცნებობდი ასეთ სამუშაოზე! – თქვა „ვირტუოზმა“ ჩამომხრჩობმა თვითმფრინავის ტრაპთან.

ნიურნბერგის ციხის ეზოში, ჯონ ვუდის პროექტის მიხედვით, აღმართეს სახრჩობელა, ე.წ. „ხანგრძლივი მარყუჟის“ მეტოღით ჩამოსახრჩობად. სახლის არსი ის იყო, რომ ტაბურეტის ნაცვლად, სახრჩობელის ქვეშ სარქველი მოაწყვეს. მას შემდეგ, რაც დამნაშავეს ჯალათი თავზე შავ ტომარას ჩამოაცვამდა და ოცდაათნასკვიან მარყუჟს გაუკეთებდა, სარქველი მომენტალურად იხსნებოდა და მსხვერპლი შიგ ვარდებოდა! სიკვდილი ძალზე სწრაფად დგებოდა, თუმცა, ძველი მეტრძოლი ფულდმარშალი კეიტელი მარყუჟში დაახლოებით ნახევარ საათს ხროტივებდა.

სერჟანტი ჯონ ვუდი სან-ანტონიოში დაფინის გვირგვინით შემკული დაბრუნდა. არც ერთ ჯალათს, არასდროს და არასდრ ასეთი პატივით არ შესვენდრიან. „ხანგრძლივი მარყუჟის“ გამოგონების შემდეგ, ის სახრჩობელის გაუმჯობესებას ცდილობდა. შემდეგ კი დაარწმუნა ქალაქის ხელმძღვანელობა, რომ შემოეღოთ სიკვდილით დასჯის „პროგრესული“ სახეობა – ელექტრონული სკამის გამოყენებით! ჯონ ვუდმა, თვითონ შეიმუშავა ახალი კონსტრუქციის სკამი და წინადადება შეიტანა, დენის ძაბვა ერთ-ნახევარჯერ გაეზარდათ.

როცა სკამი ააწყვეს, ჯალათი მასზე დაჯდა და თავის ხელქვეითებს უბრძანა, მისთვის ხელფეხი სკამზე მიეკრათ და საბედისწერო ელექტროდები მიეერთებინათ მარცხენა ფეხთან

და მარჯვენა ხელთან (და არა თავზე, როგორც ყველგან იყო დანერგილი). ამის შემდეგ, რკინისნერვებიანმა კაცმა, ჯონ ვუდმა უბრძანა „სახელმწიფო ელექტრიკოსს“, ჩაერთო ჩამრახი. ისიც გულუბრყვილოდ დაემორჩილა. კვამლი რომ აუვიდა, მხოლოდ მაშინლა მიხვდნენ მისი თანაშემწეები, რომ სან-ანტონიოში ელექტროსკამზე პირველი დასჯილი... XX საუკუნის საუკეთესო ჯალათი იყო!..


 რევოლუციური პეტერბურგის საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით, კრონშტადტელების მასობრივი დახვრეტის დროს მოხდა კაზუსი, რომელიც სპეციალისტებს დღემდე ვერ აუხსნიათ. ეგზეკუციას ვინმე ბუტმანი ხელმძღვანელობდა. ხის ფართან ერთდროულად ათ-ათი კაცი გამოჰყავდათ და ათი კაცი ესროდა მათ ნაგანით. სიკვდილის კონვეიერი შეუჩერებლად მუშაობდა. დამსჯელი სოლოვიოვის რევოლვერს ხის სავაზნე კოლოფი ჰქონდა. მან ის თვითონვე დაამზადა მას შემდეგ, რაც ფოლადისა დაკარგა. შეუფერხებლად მომუშავე კოლოფმა უცებ ტრიალი შეწყვიტა და იარაღმა რამდენჯერმე ზედიზედ უმტყუნა. ბუტმანი ამან გააგეჟა.

– შენ რა, არამზადავ, ზოგავ თეთრ კონტრრევოლუციონერს? – დაუღრიალა მან პიტერის ყოფილ მუშას – სოლოვიოვს.

– მაშინ წესიერი იარაღი მომეცი, ჩემი არ მუშაობს! – თავი იმართლა სოლოვიოვმა.

– როგორ არ მუშაობს? მომეცი აქ... ბუტმანმა ნაგანი აიღო, ატრიალა ხის კოლოფი, ლულა საფეთქელთან მიიტანა და ჩახმანს გამოჰკრა. ტყვიამ ჩეკისტების მეთაურს თავის ქალა გაუხვრიტა! როცა ძერჟინსკიმ გაიგო, რომ მისმა საყვარელმა ბუტმანმა თავი სოლოვიოვის ნაგანით მოიკლა, მან თავისი ხელით დახვრიტა ხის სავაზნე კოლოფის გამომგონებელი... 





ქართული ფეხბურთის მატრიცია

დმიტრი

შოსტაკოვიჩი

„გამოჩენილ კომპოზიტორს განსაკუთრებით უყვარდა 50-60-იანი წლების თბილისის „დინამო“. მისმა არქივმა ბევრი საინტერესო მასალა შემოგვინახა იმდროინდელი ფეხბურთელების შესახებ, მასში სრულიად ახალგაზრდა მიხეილ მესხისა და შოთა იამანიძის პატარა ფოტოსურათებიც აღმოვაჩინე“.

ბალახტიონ ტაბანაშვილი

ეს ინფორმაცია არა რომელიმე სპორტულ ჟურნალისტს, არამედ მუსიკის-მცოდნეს — პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორს სოფია ხენტოვას ეკუთვნის. დმიტრი შოსტაკოვიჩის შემოქმედების მკვლევარმა კომპოზიტორის ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესწავლისას მის არქივში აღმოაჩინა უამრავი მასალა, რომელიც მუსიკისმცოდნისთვის უჩვეულო ნაშრომს დაედო საფუძვლად — „ფეხბურთი XX საუკუნის გამოჩენილი კომპოზიტორის დმიტრი შოსტაკოვიჩის ცხოვრებაში“.

ამ რამდენიმე ხნის წინ, ახალი მასალების მოსაძიებლად, სოფია ხენტოვა თბილისშიც იყო ჩამოსული: შესაძლოა, შოსტაკოვიჩის „საფეხბურთო“ წერილები საქართველოშიც ინახებოდეს სადმე, აქამდე 70-მდე ასეთი წერილი მაქვს თავმოყრილი, გვითხრა მკვლევარმა.

— გენიოსებს, როგორც წესი, ერთი მიმართულების შემოქმედებით ნვა არ ახასიათებთ, მაგრამ — სად მუსიკა და სად ფეხბურთი?



დმიტრი შოსტაკოვიჩი

— მე კი მგონია, შოსტაკოვიჩი ბევრ საერთოს პოულობდა სპორტსა და ხელოვნებას შორის. მისთვის ფეხბურთი მხოლოდ თამაში როდი გახლდათ — ეს იყო ხასიათთა შეჯახების დრამა, კეთილშობილებისა და კოლექტიურობის, გუნდური ერთანობის გამოვლენის საუკეთესო საშუალება. ფეხბურთი შოსტაკოვიჩზე საოცარ ფსიქოლოგიურ შემოქმედებას ახდენდა — ენერჯიას მატებდა, აზრისა და გრძნობის თვითგამოხატვის იშვიათ შესაძლებლობას ანიჭებდა იმ წლებში, როდესაც თავისუფალი ფიქრი და სუნთქვაც კი აკრძალული გვქონდა. და როგორც გულშემატკივარი, დიდი მგზნებარებით გამოირჩეოდა. როგორც სამუსიკო, ასევე საფეხბურთო პერიპეტეიები მტკიცედ ჰქონდა ჩაბეჭდილი მეხსიერებაში. ვერაფერი გაანელებდა ფეხბურთის სიყვარულს — იგი სხვა ქალაქებშიც კი დადიოდა მატჩებზე დასასწრებად, თქეშსა და ყინვაში ფეხმოუცვლელად იდგა ხოლმე სტადიონის ტრიბუნაზე: ჭეშმარიტი გულშემატკივრისთვის უღირს საქციელად მიაჩნდა მატჩის დამთავრებამდე შინ წასვლა. მას არასოდეს უს-

არგებლია საკუთარი სახელით, თავისი პოპულარობით. ერთხელ თბილისში ჩამოსულა, ძველი „დინამოს“ სტადიონის შესასვლელთან, ფეხბურთის სხვა მოყვარულებთან ერთად მდგარა და გამაწარებული ყვიროდა — „ათი მანეთი ბილეთში, ათი მანეთი!“

— და მაინც, როდის შეეყარა გულშემატკივრის უკუჩვენებელი სენი?

— ჩემ მიერ მოპოვებული მონაცემებით ფეხბურთით 1927 წელს „დაავადდა“, როდესაც ლენინგრადის ნაკრებისა და ინგლისის სპორტული კავშირის გუნდებს შორის გამართულ საერთაშორისო მატჩს დაესწრო. ამ შეხვედრას გამოჩენილი რეჟისორი ვსევოლოდ მეიერჰოლდიც დაესწრო, თავის 7 წლის გერთან — კოსტია ესენინთან (სერგეი ესენინის შვილი — ავტ.) ერთად. მალე შოსტაკოვიჩმა მეიერჰოლდთან დაიწყო თანამშრომლობა და მოსკოვში ჩასული, მის ბინაში ჩერდებოდა. იქვე დაუახლოვდა საფეხბურთო სტატისტიკის მომავალ „პოეტს“ — კონსტანტინ ესენინს. თავად კომპოზიტორმაც მოჰკიდა ხელი ამგვარ სტატისტიკას: ადგენდა ქვეყნის პირველობის ცხრილებს, ბომბარდირთა სიებს, ზეპირად იცოდა ყველა გუნდის მოთამაშეთა გვარები და კოსტია ესენინთან, ზოგჯერ კამათიც მოსდიოდა ამა თუ იმ, მისთვის საინტერესო საკითხზე.

— თუ შოსტაკოვიჩი ასეთი მზურვალე გულშემატკივარი იყო, როგორ დაუთმო სხვას ფეხბურთის მარშის შექმნა?

— სხვათა შორის, შეეცადა კიდევ, მაგრამ ბლანტერის მარში საუკეთესო აღმოჩნდა. აქვე იმას გეტყვით, რომ მას აქვს ერთი ნაწარმოები საფეხბურთო თემაზე — ბალეტი „ოქროს საუკუნე“, რომელსაც თავდაპირველად, იცით, რა ერქვა? „დინამიად“! ლენინგრადის „დინამოს“ უძღვნა და თავს უფლებას

მივცემ, ვთქვა – ნაწილობრივ თბილისის „დინამოსაც“, რომლის თამაშის დიდი მოტრფიალე იყო.

— მისი საფეხბურთო წერილები რაღას ემსახურებოდა? დღევანდელი გულშემატკივრისთვის, ვფიქრობ, გაუგებარი შეიძლება იყოს...

— მაშინ 30-40 წწ. მოსკოვშიც, თბილისშიც და ლენინგრადშიც არსებობდა ე.წ. ფეხბურთის გულშემატკივართა საზოგადოებები, რომლებიც ერთმანეთს აწვდიდნენ სპორტულ ინფორმაციას, ხშირად, უშუალოდ მატჩების დამთავრების შემდეგ. ამ წერილებს გულშემატკივრები მორიგი მატჩის წინ სტადიონზე კითხულობდნენ და თავიანთ კომენტარსაც ურთავდნენ. ზოგი ასეთი წერილი კი გალექსილიც იყო. წარმოიდგინეთ, ომის ქარცეცხლიან წლებშიც ვერ მოსწყდა კომპოზიტორი ფეხბურთს. სწორედ იმ დროს უკავშირდება ერთი საოცარი საფეხბურთო მოკლეხა: ლენინგრადის ბლოკადისას ჩატარდა ფეხბურთის მატჩი, რომელმაც განაცვიფრა მტერი და ლენინგრადელთა თავგანწირვისა და სიმამაცის კიდევ ერთ დადასტურებად იქცა. ის მატჩი ფაშინის წინააღმდეგ საბრძოლო მძლავრი იარაღი გახლდათ და, სხვათა შორის, ამ ლეგენდარული ორთაბრძოლის ჩატარების ინიციატორი, ქართველი კაცი – ლენინგრადის საზღვაო ოპერატიული ჯგუფის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ვასილ მჟავანაძე იყო, რომელიც ამბობდა: „ჩვენ უნდა ჩავუნერგოთ მოწინააღმდეგეს აზრი, რომ ლენინგრადი გამარჯვების რწმენით ცხოვრობს, რომ ვერც შიმშილი, ვერც სიცივე, ვერც ტყვიების უწყვეტი ზუზუნი ვერ გაგვტეხს და ვერ შეგვირყევს გამარჯვების რწმენას“.

1942 წ. 6 მაისს, ლენინგრადის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს ხვდებიან ქალაქის გარნიზონისა და „დინამოს“ ფეხბურთელები. იწყება უსასტიკესი საარტილერიო დაბომბვა. ყუმბარები „დინამოს“ სათადარიგო მოედანზე ცვივა... მიუხედავად ამისა, მატჩი მაინც შედგა – ყველა ფეხბურთელისათვის მეტისმეტად საპატიო მატჩი. „დინამო“ 6:1 მოუგო ჯარისკაცთა გუნდს, მაგრამ ანგარიში რა მოსატანია?! თითოეულმა სპორტსმენმა სული და გული ჩადო ამ თამაშში.

შოსტაკოვიჩს სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა ის სულიერი ალტკინება, სიცოცხლის ჟინი და შეუპოვრობა, ამ, თითქოსდა უმნიშვნელო ეპიზოდმა რომ



სოფია ხენგოვა

მოუტანა ლენინგრადელებს. კომპოზიტორი შემდგომში ხშირად ამბობდა: „ფეხბურთი! იცით კი, რა არის ფეხბურთი? ომიანობის უმძიმესი პერიოდის ერთ დღეს მივხვდი, რომ ეს მხოლოდ თამაში, მხოლოდ სპორტი არ არის. ორმოცდარის ალყამემორტყმული ლენინგრადი – დიდი და პატარა ააღლევა ცნობამ, რომ სტადიონზე ფეხბურთის მატჩი შედგებოდა. წარმოიდგინეთ, შიმშილისაგან დასიკვებული მშვიდობიანი მოსახლეობა, დღეში 150 გრამი პურით რომ სულდემულობს... მტერი გააფთრებით გვითევს, ჯარისკაცები უკანასკნელ ძალას იკრებენ გადამწყვეტი ბრძოლისთვის და უცებ – საომარი ვითარებისათვის სრულიად მოულოდნელი, მშვიდობიანი ცხოვრების დამახასიათებელი აქტი – ფეხბურთის მატჩი!.. ფაშინსტები ოთხი კილომეტრით არიან დაშორებული ქალაქიდან, გებელსი მკვდართა ქალაქს ემახის ლენინგრადს. გერმანული პრესა ამტკიცებს – რამდენიმე დღე და ჩრდილოეთის პალმირა ჩვენი იქნებაო... აი, ეს არის ფეხბურთი!“

— ოდესმე თავადაც ხომ არ უთამაშია ფეხბურთი შოსტაკოვიჩს?

— არა, მაინცდამაინც მარჯვე სპორტსმენი ვერ იყო... აი, მსაჯის როლში კი, ალბათ დიდ წარმატებებს მიაღწევდა. დიდი სიამოვნებით და ხალისით მსაჯობდა მოყვარულთა მატჩებს. რაც მთავარია, ბევრ ფეხბურთელთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა. ზოგთან მეგობრობდა კიდევ. ხიბლავდა ელევანტური, მოხდენილი თამაში და მინდორზე გამყვანებული ჯენტლმენობა. და, რაღა თქმა უნდა, ლამაზად გატანილი გოლი. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: 1940 წელს თბილისის „ლოკომოტივს“ „ა“ ჯგუფიდან გავარდნის საფრთხე დაემუქრა. აღშფოთებული შოსტაკოვიჩი გამოეხარჩლა აუტსაიდერს: „ორჯერ ვუყურე მათ თამაშს და არ შემიძლია, არ ვთქვა – თბილისელთა გოლები ცეცხლივით აგანთებს...“

— რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, მასზე კომპოზიტორის არქივში

უამრავ მასალას წავაწყდი – მათ შორის, მწერალ გურამ ფანჯიკიძის წერილსაც, რომელიც ეხება თქვენი გუნდის შეხვედრას ბრაზილიის სან-სალვადორის „ბაიასთან“, რომელიც 1960 წელს გაიმართა. „ფანჯიკიძე ფეხბურთის დიდი მცოდნე და გულშემატკივარია“ – წაუწერია შოსტაკოვიჩს სტატიის მინდორზე. კომპოზიტორს გახაზული აქვს ფანჯიკიძის მიერ მოყვანილი, ბორის პაიჭაძის, მიხეილ მესხისა და შოთა იამანიძის გამონათქვამები ამ მატჩის შესახებ. აი, რამდენიმე ციტატა წერილიდან:

„ჯერ კიდევ თამაშის დაწყების წინ, ვარჯიშის დროს – ბრაზილიელებმა ტექნიკური ილეთების ისეთი ფეიერვერკი მოაწყვეს, რომ შეშინებულმა მაყურებლებმა უნებურად გაიფიქრეს: ამის მესამედს თუ მაინც აკეთებენ თამაშის დროს, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმეო.“

მაგრამ თამაშის დროს ბრაზილიელებმა ვერ აჩვენეს თვალისმომჭრელი ტექნიკა.

თბილისელთა გამარჯვებამ დიდი ანგარიშით (4:0) გააოცა მაყურებელი...“

ბორის პაიჭაძემ განაცხადა:

„ბაიას“ თამაში მაგონებს ბრაზილიის ნაკრების თამაშს, მაგრამ საკმაოდ „დაპატარავებული მასშტაბით“. „ბაია“ არცთუ ისე სუსტი გუნდია, როგორც ეს თბილისელ მაყურებელთა უმრავლესობას მოეჩვენა.“

მაინც, რის წყალობით გაიმარჯვეს ქართველმა ფეხბურთელებმა? ტემპით და მაღალ ტემპში ტექნიკური ხერხების კარგი შესრულებით. გარდა ამისა, ბრაზილიელთა ზონალური დაცვა ძალზე ხელსაყრელი იყო დრიბლინგის ისეთი ოსტატებისთვის, როგორებიც არიან: მესხი,

ვასილ მჟავანაძე



იამანიძე, ლოლობერიძე, ბარქაია.

მაყურებლებმა ამ თამაშით დიდი სიამოვნება მიიღეს. ასეთი ტკობის მიღება კი შეიძლება მხოლოდ მაღალტექნიკური გუნდების თამაშისას. ეს იყო სეზონის ერთ-ერთი უღამაზესი მატჩი.

მე ვიყავი შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატზე და გავიხსენებ, როგორები იყვნენ ბრაზილიის ნაკრების ვარსკვლავები. მოვიყვან ერთ შედარებას.

გარინჩას აქვს განუმეორებელი სტარტი – 5-10-15 მეტრ დისტანციაზე. ეს კი სავსებით საკმარისია გარემარბისათვის. გარდა ამისა, გარინჩა მთელი მატჩის დროს არის ჩართული თამაშში, თანაც, მისი მოქმედების არეს მთელი მოედანი წარმოადგენს, დაწყებული საკუთარი საჯარიმოდან. გარინჩასთან შედარებით, მესხს აქვს ტექნიკური უპირატესობა, მაგრამ იგი ნაკლებად მოძრაობს – ელოდება ბურთს, მისი უბურთოდ მანევრირება კი პარტნიორებს უძნელებს ბურთის მიწოდებას. ბრაზილიელთა მარცხენა გარემარბს – ზაგალოს კი, მესხი ნამდვილად სჯობს.

ბრაზილიის ნაკრების ძლიერების საიდუმლოებას ის კი არ წარმოადგენს, რომ ისინი „ზეზუნებრივი“ ნიჭით არიან დაჯილდოებული. უბრალოდ, ბრაზილიის ნაკრებში არ იყო სუსტი ადგილი – გუნდის 11 მოთამაშეთაგან 11-ვე ვარსკვლავი იყო“.

მიხეილ მესხი:

„მე ძალზე მომეწონნენ ბრაზილიელები. ძალიან სასიამოვნოა მათთან თამაში. ამ გუნდში კარგად იგრძნობა ის კარგი სტილი, რაც ბრაზილიელებს ახასიათებთ. ამ მხრივ „ბაიას“ თამაშმა გამახსენა იტალიის „ინტერნაციონალე“, რომლის წინააღმდეგ წელს გამოვდიოდი მოსკოვ-



ბორის პაიჭაძე

ში, იტალიელებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს... ბრაზილიური ფეხბურთის დიდი გამარჯვებები განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: მათ კარგად შეათანხმეს ერთმანეთთან სამხრეთამერიკული ვირტუოზული ტექნიკა, ევროპულ კოლექტივიზმთან, თავიანთი პირადი თვისებების გათვალისწინებით, გამოიმუშავეს თავდასხმისა და თავდაცვისთვის მეტად რაციონალური სქემა 4-2-4.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიას“ შემადგენლობაში არ იყო არც ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ბრაზილიური ფეხბურთისა, თბილისელ გულშემოტკივრებს მაინც შეეძლოთ ბრაზილიელთა თამაშის სტილითა და ინდივიდუალური თავისებურებებით, გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. მით უმეტეს, რომ „ბაიამ“ მიმდინარე წელს მიაღწია დიდ წარმატებას: მოიპოვა ბრაზილიის თასი. მან ფინალში დაამარცხა უძლიერესი კლუბი – „სანტოსი“, რომლის შემადგენლობაში არიან მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები: პელე, სანტოსი, გარინჩა, კუტინიო და სხვები“.

მთა იამანიძე:

„თბილისელ მაყურებელს ნუ დაავიწყდება, რომ „ბაიამ“ პირველი ტაიმის მთელ მეორე ნახევარში თავისი თამაში მოგვახვია. მათმა უზუსტესმა გადაცემებმა და კართან ადგილის შერჩევით გასვლამ, გამახსენა ფრანგების თამაში... ისი-

ნი დამშვიდებულნი გამოვიდნენ მეორე ტაიმში, მაგრამ დასაწყისიდანვე ჩვენმა მაღალმა ტემპმა და მესხის შესანიშნავმა გარღვევებმა დალაღა მათი დაცვა. მთელი მეორე ტაიმის მანძილზე იგრძნობოდა ბრაზილიელთა დეზორგანიზაცია... მე პირადად დიდად კმაყოფილი ვარ ბრაზილიელებთან თამაშით. ეს იყო ნამდვილი თამაში და არა „მუშაობა“!“,

აი, ასეთი საინტერესო წერილი ინახება შოსტაკოვიჩის არქივში. დაზუსტებით ვერ ვიტყვი, დაესწრო თუ არა კომპოზიტორი იმ თამაშს, მაგრამ ზემოთ მოყვანილ წერილზე მას კიდევ ერთი წარწერა აქვს გაკეთებული: „მნელია ამ თამაშით აზრი გამოვთქვა საერთოდ ბრაზილიურ ფეხბურთზე. ჩემზე პირადად დიდი შთაბეჭდილება დატოვა ინგლისელთა თამაშმა („ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“). მათ აქვთ თამაშის ძალზე ლაკონიური, ეკონომიური სტილი, გრძელი გადაცემები, მაღალი ტემპი. შეუძლიათ იერიში ერთდროულად აწარმოონ ორივე ფლანგიდან და ცენტრიდან. მაგრამ, მათ აკლიათ ის ტექნიკური დახვეწილობა, რაც ასე ჭარბად აქვს თბილისის „დინამოს“. ამის მიზეზი შემიძლება – ინგლისში ფეხს იკიდებს ძალისმიერი ფეხბურთი, რომელიც ხშირად უხეშობამდე მიდის...“

რაიმე ახალს თუ მიაგნით თბილისში?

– როგორც ვვარაუდობდი, მართლაც აღმოვაჩინე შოსტაკოვიჩის რამდენიმე წერილი ერთ თბილისურ ოჯახში... რიგი მიზეზების გამო, გვარს ვერ დავასახველებ. გეტყვით მხოლოდ, რომ წერილში აღწერილია 1933 წლის მატჩი ქ. ივანოვოსა და თურქეთის ეროვნული ნაკრების გუნდებს შორის, რომელშიც საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 7:3 გაიმარჯვეს. მეორე წერილში კი თურქებთან თბილისელთა ერთ-ერთ მატჩზეა საუბარი და შოსტაკოვიჩი აღტაცებით აღწერს ეპიზოდს, როდესაც თქვენმა თანამემამულემ – ანდრო ჟორდანამ შესანიშნავი ოსტატობა გამოამჟღავნა და ისე „სუფთად“ ააცალა ბურთი იმ დროის ევროპაში სახელგანთქმულ ცენტრალურ თავდამსხმელს ვახიზს, რომ ამ მრავალბრძოლაგამოვლილმა ფეხბურთელმა, უცებ ვერც შეიტყო ეს და რამდენიმე მეტრი უბურთოდ გაირბინა... ასეთი კურიოზებიც ხდებოდა ფეხბურთში, რაც ამ სპორტის მოყვარული კომპოზიტორის თვალსაც არ გამოჰპარვია...



ლენინგრადის „მენიგთან“ პაექრობისას



ახალი კონტრაქტი



ბრიტანელ მსახიობსა და მოდელს ელიზაბეტ ჰერლის ახალი ძვირად ღირებული კონტრაქტი შესთავაზეს. ეს ეხება შოტლანდიური კომპანიის რეკლამური გამოგონებას – გელის ბიუსტჰალტერებს, რომლებიც ULTIMO-ს სახელწოდებით არის ცნობილი. თავისი პროექტის ფართოდ გასავრცელებლად, ფირმის ხელმძღვანელი მიშელ მონი (გელით დატენილი ბიუსტჰალტერი პირადად მან შექმნა) ჰერლის 3 მლნ გირვანქა სტერლინგს (4,2 მლნ ლოლარი) ჰპირდება. ამის შედეგად, ჰიუ გრანტის ყოფილი გერლ-ფრენდი, ქალის საცვლის რეკლამის სფეროში ყველაზე მაღალანაზღაურებდად მოდელად შეიძლება იქცეს.

ყულაგე ლამაზიც აბის და ყულაგე გაულენიანიც

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, თავის მრავალწლიან „ტიტულს“ – „ლამაზმანს“, ჯულია რობერტსმა კიდევ ერთიც არანაკლებ „გავლენიანი“ დაუმატა. საქმე ის არის, რომ ამერიკაში ტრადიციული რეიტინგის მიხედვით, რომლითაც გართობის ინდუსტრიის 50 ყველაზე გავლენიან ქალს ადგენენ, ჯულიამ მესამე ადგილი დაიკავა. ავტორიტეტული გაზეთის „ჰოლივუდ რეპორტერის“ აზრით, რობერტსის ძალა არა მარტო იმაშია, რომ ის მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული მსახიობი ქალია (20 მლნ ლოლარი ერთ როლში), არამედ იმაში, რომ სტუდიებისთვის მისი მონაწილეობა ფილმის წარმატების გარანტიად იქცევა და შესაბამისად, მისი სახელის წყალობით ფილმისათვის უზარმაზარ თანხებსაც გამოჰყოფენ ხოლმე.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ რობერტსი – ერთადერთი მსახიობი ქალია ხსენებულ ნუსხაში, სხვა დანარჩენები კი, უმეტესად საქმიანი სამყაროს წარმომადგენელი ქალბატონები არიან: პირველი ადგილი სტუდია „პარამაუნტის“ ხელმძღვანელმა შერი ლესინგმა დაიკავა, მეორე – „იუნაივერსალის“ წარმოების ხელმძღვანელმა სტივისი სნაიდერმა, ჯულიას შემდეგ კი – „სონი-მიუზიკის“ ვიცე-პრეზიდენტი, „სიბი-უს ინტერტენმენტის“ პრეზიდენტი, „ემთი-ვი-ს“ პრეზიდენტი და სტუდია „კოლა-მბიას“ შეფი აღმოჩნდნენ... სახელგანთქმული ტელეწამყვანი ოპრა უინფრი, რომელიც სწორედ შემოსავლის მაჩვენებლით წლების მანძილზე ლიდერობს, შოუბიზნესში მომუშავეთა საშუალო 50 ქალბატონს შორის, მე-15 ადგილზეა.

სინდის



სახე წაერთვა

34 წლის სუპერმოდელმა სინდი კროუფორდმა კომპანია „რეკლონის“ სარეკლამო იმიჯის წარმომადგენლის სტატუსი დაკარგა. ამ პოსტზე ის სოულ-მუსიკის პოპულარულმა ამერიკელმა შემსრულებელმა შანია ტვეინმა და ჰოლივუდელმა კინოვარსკვლავმა კეიტ ჰაღსონმა შეცვალეს. „რეკლონთან“ სინდი კროუფორდის კონტრაქტი 11 წელიწადი გრძელდებოდა და ტოპ-მოდელისთვის ყოველწლიურად 6,5 მლნ ლოლარი მოჰქონდა. მაგრამ თუ მისი ქონება განუხრელად იზრდებოდა (საგარაუდოდ, ახლა 50 მლნ ლოლარამდე აღწევს), კოსმეტიკური კომპანიის საქმე ბოლო დროს, მთლად ხერიანად არ მიდის: მისი პროდუქციის გაყიდვის მოცულობა თითქმის 20%-ით შემცირდა, რამაც „რეკლონის“ მესვეურებს იმიჯის



სასწრაფო განახლებისკენ უბიძგა. რაც შეეხება სინდი კროუფორდს, თავისივე თქმით, კოსმეტიკური ბიზნესი კვლავაც იზიდავს. ამიტომ ის არ აპირებს მისთვის თავის დანებებას, თუმცა, საკუთარი საქმის წამოწყებასაც ფიქრობს.

როცა ბატონი რეზო ლალიძისათვის უკითხავთ: თქვენ ყოველდღე ბევრს მუშაობთო? მას უპასუხია: მე ყოველდღე ვცხოვრობო... ის მართლაც ცხოვრობდა სისხლსავსე და მშვენიერი ცხოვრებით, ნადირობდა, თევზაობდა, ქართულ სუფრას თამადაობდა, ხუმრობდა და კმნიდა უამრავ შესანიშნავ მელოდიას; შეიძლება, ზოგიერთი მათგანი ხალხურიც კი გეგონოთ, იმდენად უშუალოა და ახლობელი.



რეზო ლალიძე:

- მე ყოველდღე ვცხოვრობო...

ლელა ჭიყაშვილი

1921 წლის 10 ივლისს დაიბადა. დედამისი, ზაფხულის სიციხეს ქალაქიდან გარიდებული, ამ დღეს ბაღდათის რაიონში ყოფილა აგარაკზე. თითქოს სიმბოლურია, რომ რევაზ ლალიძის მუსიკისადმი ინტერესიც იქ დაიბადა, თუმცა მომავალი კომპოზიტორი მშობლებთან ერთად ძირითადად თბილისში ცხოვრობდა. სკოლაში სწავლის პერიოდში თურმე არდადეგებს სოფელ ოფჩაში ატარებდა. ცელქობდა, თანატოლებთან ერთად დარბოდა, თევზაობდა. ხშირად სოფლის სკოლა-ათწლიელის ეზოშიც შერბოლდნენ სათამაშოდ. ერთხელ იქ რეპროდუქტორი ყოფილა ჩართული. „დაისის“ შესავალს გადმოსცემდნენ. „დაუვიწყარია მღელვარება, რომელიც მაშინ განვიცადე. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მუსიკასთან“, – გაიხსენებს 60 წლის დეაწლმოსილი ხელოვანი... იმ შორეული ბავშვობის შემდეგ ზაქარია ფალიაშვილი

მის კერპად იქცა. როცა თითქმის 5 წლის განმავლობაში ოპერა „ლელაზე“ მუშაობდა, თურმე ხშირად ამბობდა მღელვარებით: „რადაც არაჩვეულებრივს მოეღიან ჩემგან, თითქოს მეც უკვდავი ზაქარია ვიყო, „აბესალომს“ ვწერდე და მხოლოდ ბოლო აკორდის მიწერადა მაკლდეს“.

მშობლებმა მუსიკისადმი ინტერესი რომ შეამჩნიეს, თბილისის VI-VII მუსიკალურ სკოლაში მიიბარეს. ცელქი ბიჭი, სტადიონთან ახლოს რომ ცხოვრობდა და ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, უცებ სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა, სადაც ხელში ვიოლინო მისცეს... მუსიკის სიყვარულმა თავისი ქნა, ბიჭი გატაცებით უკრავდა, მაგრამ მასწავლებელი საშინელი პედანტი ყოფილა: „როგორც კი როლში შევიდოდი, მეტყოდა ხოლმე. – „Скрипку выше!““. ამის თქმა და ჩემი გათიშვა ერთი იყო...“ თანაც იმ ასაკში

ლაში სიარულს. რკინიგზის VI სკოლაში სწავლობდა, ინჟინერი ან ექიმი გამოვალა, ფიქრობდა. და აი, ერთხელაც სკოლაში მოეწყო თვითშემოქმედებითი კონცერტი. სწორედ აქ გამოადგა თავისი „სავიოლინო“ გამოცდილება. სცენაზე მოხეტიალე მუსიკოსის როლში გამოვიდა. თავზე ძველი ქუდი ეხურა, ხელში ვიოლინო ეჭირა, უკრავდა და მღეროდა იმ დროის მოდურ სიმღერას „პარახოლი მიდის, აღარ ჩერდება“. დიდი „წარმატება“ ჰქონია მოწაფეებში მის გამოსვლას. ეგონა, დირექტორიც შეაქებდა, მასწავლებლებიც... ამის ნაცვლად, ვიღაც ქალი გიბარებსო, უთხრეს. ეს ქალი აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი ქართველი ჰიანისტი – ლარისა ქუთათელაძე. მან უკვე იცოდა, რომ რეზო ლალიძეს სამუსიკო სკოლაში სწავლისათვის თავი დანებებული ჰქონდა და მშობლებთან ერთად დაიბარა ნიჭიერი ყმაწვილი. მაშინ ის IV სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი იყო, თურმე დირექტორს კი თავის მხრივ, გაუფრთხილებია რეზო: „მშობლებს გადაეცი, ხვალ მე თვითონ შეგამოწმებო“...



სით უკიჟინებდა: „აბა, შენ გენაცვალე, აბა, შენი ჭირიმეო...“

გავიდა ცოტა ხანი და რევან ლალიძემ მოსწავლეთა სიმებიანი კვარტეტი სათვის დაწერა „მეზავრული“, „იანანა“, „აღმოსავლური ცეკვა“. ლუარსაბ იაშვილს ეს პიესები დიმიტრი არაყიშვილისთვის მოუსმინებია, რომელსაც უთქვამს: „ჩემო შვილო! შენს მომავალზე უნდა იფიქრო, საკომპოზიტორო ფაკულტეტზე უნდა ისწავლო!“

ამან გადაწყვიტა მომავალი კომპოზიტორის ბედი. რევან ლალიძე ჩაირიცხა პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის კლასში. კონსერვატორიაში გულმოდგინედ მეცადინეობდა, ამასთანავე სამ ადგილას მუშაობდა: დილაობით სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა, მერე რადიოკომიტეტში მიდიოდა... ომის წლები იყო, ხალხს უჭირდა... შუალედში კი „ფანჯარას“ კონსერვატორიაში ლექციების მოსასმენად იყენებდა.

სტუდენტობისას ბატონი რეზო ჩაიკოვსკის სახელობის სტიპენდიანტი ყოფილა. ყველაფერს ასწრებდა მაშინაც და მერეც, როცა უკვე პედაგოგიურ მოღვაწეობას თვითონ ეწეოდა, მუსიკას ქმნიდა. სანადიროდ და სათევზაოდ ახლომახლო კი არა, 400 კმ-ით დაშორებულ ადგილებში მიდიოდა, მიჰქონდა კარავი და მეგობრებთან ერთად 3 დღე-ღამეს ატარებდა ბუნებაში. თვითონ ბატონი რეზო იხსენებდა დიმილით: „ძალიან ბევრი მიწანწალია, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მიწანწალია თოფით, ძალით, ბადით. საქართველოს ყველა მდინარეზე მაქვს ნასროლი ბადე. წყლის გიჟი ვარ. წყალი საოცრად მიყვარს. ალბათ იმიტომ, რომ ლალიძე ვარ. საქართველოს ყველა წყაროს ტემპერატურა გაზომილი მაქვს. მივსულვარ ყველა წყაროსთან, სადაც კი მიწვედა მანქანა და ჩემი სათევზაო ამუნიციია. საოცრად მიყვარს წყაროსთან ჯდომა, მით უფრო, თუ ჩვენბური პურ-მარილიცაა“.

მთელი ცხოვრება საყვედურობდნენ: ამდენ დროს ნადირობასა და თევზაობაზე ნუ ხარჯავ, შენს მუსიკაზე იმუშავეო, მაგრამ მას სხვანაირად არ შეეძლო. ტყე-ღრეში ნადირობისას, შეჩერდებოდა, სიგარეტის კოლოფზე იწერდა ფანქრით მელოდია... ოჯახში ხშირად უნახავთ ასეთი აქა-იქ დაწერილი მელოდები. როგორც ჩანს, დიმი-

ტრი მოსტაკოვიჩამდეც მიუღწევია ამბავს, ავტორის მიერ ნადირობასა და თევზაობაში გაფლანგული დროის შესახებ... და როცა მისი „საჭიდაო“ მოუსმენია, მოსტაკოვიჩს უთქვამს: „ყველა კომპოზიტორს ვურჩევდი თევზაობით გატაცებას, თუკი ბადეში „საჭიდაოს“ მსგავსი რამ გაეხვევაო“.

რევან ლალიძეს უყვარდა ცხოველები. „ირემს, დათვის ან შველს როგორ ვესვრიო“, – ამბობდა. მონადირე ძაღლებიც ყოველთვის ჰყავდა თურმერთხელ მონადირე ძაღლის პატარა რკინის ქანდაკი გააკეთებინა თურმე და კმაყოფილი დარჩა ძალიან: ჩემს მარდიას (ძაღლს რქმევია ასე) მაგონებსო...

გუდამაყარში ნადირობდნენ თურმე. სადამოს ტყეში კოცონი დაუნთიათ. კომპოზიტორის გონებაში მელოდია გაფლანგებულა. ასე შეიქმნა სავილონჩელო პიესა „ელეგია“, რომელსაც თავად ხშირად „გუდამაყარსაც“ უწოდებდა.

ქართული სუფრა რევან ლალიძის კიდევ ერთი ლამაზი გატაცება იყო. ერთხელ თურმე სუფრას უსხედან ბატონი რეზო და დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი. პირველი – ქეიფის დიდი მოყვარული და მეორე კი კაცი, რომელიც წვეთ სასმელს არ ეკარება.

– ლალიძე მე ვარ და ტკბილ სასმელს შენ სვამ! – გახუმრებია კომპოზიტორი.

– ფალიაშვილი ვარ და მუსიკას კი შენ წერ, – უპასუხია ფალიაშვილს.

18 წლის რომ იყო, მაშინ შეუყვარდა ქალბატონი თინათინ შატბერაშვილი. რომანსიც კი მიუძღვნა 14 წლის გოგონას – „მე შენ გიმღერ“, რომელიც დღეს მის არქივში ინახება. 1953 წელს მიუპატიჟია „საჭიდაოს“ პრემიერაზე მომავალი მეუღლეც და მისი მეგობრებიც. ქალბატონი თინა იხსენებდა: „ამ დღემ გააცისკროვნა ჩემი სულიერი სამყარო“. როცა ჟურნალისტს უკითხავს რეზო ლალიძის მეუღლისათვის: „ბუნების მოტრფიალე კაცი, ალბათ ხშირად გჩუქნიდათ ყვავილებს?...“, მას სიცილით უპასუხია: „არასდროს... სიამოვნებით მომართმევდა ხოლმე თავისი ხელით დაჭერილ თევზებს ბადით...“

სიცოცხლის მოტრფიალე და ბობოქარი ბუნების პატრონი, როცა მუსიკას ქმნიდა, დაუვიწყარი სანახაობასავით წარმოუდგენდა ოჯახის წევრებს

თავის იმპროვიზაციას... როიალი ჰქონდა, მხოლოდ თავისი ქალიშვილის – ლელასათვის... თვითონ „მონჯდრეულ“ პიანინოზე მუშაობდა, რომელიც დღეს დაკვრისათვის ყოვლად გამოუსადეგარი, რელიკვიად ინახება მის სახლში. ქალბატონი ლელა დიმილით ამბობს: კომპოზიტორის ტემპერამენტსა და ბობოქარ მუშაობას რომელი ინსტრუმენტი გაუძლებდაო...

არანაირ შეზღუდვასა და რეჟიმს არ ექვემდებარებოდა. თავის ჯანმრთელობას არ უფრთხილდებოდა. სიკვდილის წინა დღეს წაუკითხავს გალაკტიონის პატარა ლექსი ხმამაღლა:

„დაიძინე, ტყის ფოთოლო, დაიძინე ქვეყნის სევდავ!“

დაიძინე, არემარე, დაიძინე შემოხედავ!“

დაიძინე ცის კამარავ, შენც, ყვავილის ცელქო მუმლო!..

დაივიწყეთ ხევ-ხუცებში მიმალული საიდუმლო“.


მაგრამ სამარადისო ძილის შემდეგაც კი მღუმარება არ ჩამოდგარა: კვლავ გაისმის: „შენ გიმღერი, ჩემო თბილის ქალაქო“; „ჩემო კარგო ქვეყანავ“; „თბილისო“; მისი მელოდები ფილმებშიც – „საბუდარელი ჭაბუკი“, „ხევსურული ბალადა“, „გლახის ნაამბობი“, „შეწვევებილი სიმღერა“, „ყვავილი თოვლზე“ ჟღერს. და კიდევ რამდენი სხვა არსებობს მისი შემოქმედების დაუვიწყარი ნაყოფი.



მითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ მსოფლიოში სახელგანთქმული კინოვარსკვლავი მერილ სტრიპი თავად დადის სუპერმარკეტში და ოჯახისთვის ერთი კვირის სანოვაგეს იმარაგებს. ყიდულობს მხოლოდ იმ კეტჩუპს, რომელიც მის ქმარს – დონალდს და უფროს ვაჟიშვილს უყვართ და არჩევს იმ ტკბილეულს, რომელსაც მისი გოგონები ანიჭებენ უპირატესობას. ასე ხდება ყოველ შაბათს – მაშინ, როცა ყველა სხვა „თავმოყვარე“ ვარსკვლავი პლაჟზე ნებივრობაში ატარებს დროს ან სხვა გასართობი იქცევს თავს.

მერილ სტრიპი ისე ცხოვრობს, როგორც ეს მისთვის უფრო მოსახერხებელია და სულაც არ ანაღვლებს, რას იტყვის ხალხი. ის გადაბარგდა ლოს-ანჯელესიდან, სადაც ყოველი ბუჩქის უკან, სულ მცირე, ხუთი პაპარაცი მაინც არის ჩასაფრებული და ვარსკვლავის ყოველ ნაბიჯს აფიქსირებს, მეორე დღეს კი ოცდახუთზე მეტი გაზეთის ფურცლებზე აშუქებს. ამიტომაც აირჩია მერილ სტრიპმა საცხოვრებლად კონეკტიკუტის შტატის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რანჩო, სადაც მის მეზობლად ფინანსური და სამრეწველო მაგნატები ცხოვრობენ. მსახიობის კარმიდამო ას აკრ (1 აკრი უდრის 4056,86 კვმ-ს) მიწას შეადგენს, მის სახელოვნო კი ტბები და შესანიშნავი ტყეა. მისი შვილები – ჰენრი, მერი, გრეისი და ლუიზა მზის სხივებისა და სუფთა ჰაერის გარემოში იზრდებიან და არა პაპარაციების ობიექტივების მეთვალყურეობის ქვეშ. ბავშვებს აღმზრდელი არ ჰყავთ და მსახიობი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ანდობს მათ მეთვალყურეობას ძი-

მოქანდაკე დონალდ ჰამერი და მსახიობი მერილ სტრიპი 20 წელზე მეტია ერთად ცხოვრობენ



მერილ სტრიპი:
მე არ ვარ ნაპოვნი მსახიობი

ძებს – როცა გადაღებებზე მიემგზავრება. დანარჩენ დროს კი ის შვილებთან ატარებს: ეხმარება გაკვეთილების მომზადებაში, დაჰყავს ექიმთან და საბავშვო წვეულებებზე.

– იცით, მე ვერაფერს მიშველიდა სახლში ერთი დამხმარე ქალი: ოთხი შვილი მყავს და ერთი მოსამსახურისთვის ყველა საქმის დაკისრება უბრალოდ, ადამიანის უფლების შელახვა იქნებოდა. გამოდის, რომ ოთხი ძიძა უნდა ამეყვანა, ამ შემთხვევაში კი მათი მოქმედების მართვა-კოორდინირება მომიწევდა – რომ რაიმე არ გამოჩენოდა, ან არ დავიწყროდათ. ხელმძღვანელობა კი არ მეხერხება. ჩემი მოწოდებაა, ძილის წინ ბავშვებისთვის ზღაპრების კითხვა. ყოველთვის მინდოდა, ბევრი შვილი მეყოლოდა ჩემთვის სულერთი იყო, სად ან რა პროფესიით ვიმუშავებდი, მაგრამ ეს უხერხული იყო, რადგან რაღაც განათლება ხომ უნდა მიმელო. ასე რომ, იბუღებული ვიყავი, მსახიობი გავმხდარიყავი და ყველამ დაიჯერა, რომ მსახიობი ვარ. სინამდვილეში ეს ასე არ არის. არც ერთი ნამდვილი მსახიობი არ იტყვის უარს ხელსაყრელ როლზე მხოლოდ იმიტომ, რომ ნახევარი წლით მოუწევს სახლიდან სადმე გამგზავრება. მე კი ამ ბოლო დროს სულ ასე ვიქცევი.

მერილ სტრიპი მართლაც ძალიან ხშირად ამბობს უარს შემთავაზებულ როლზე. თეატრს დიდი ხანია საბოლოოდ გამოეთხოვა, თუმცა თავიდან მაყურებელმა ის სწორედ, როგორც შესანიშნავი თეატრალური მსახიობი, ისე გაიცნო. მერილს არ სურდა, რომ მისი შვილები კულისებში გაზრდილიყვნენ. მას არც გადაღებებზე დაჰყავს შვილები, თუმცა, ამას ბევრი ჰოლივუდელი ვარსკვლავი აკეთებს. შვილები მისი ცხოვრების დიდი ნაწილია, საბუშაო კი – სულ სხვა რამ. მუშაობს ისე, როგორც იცის და შეუძლია და ამბობს, რომ შურს დე ნიროსი, რომელსაც მუშაობის საკუთარი სტილი აქვს. მას კი

ასეთი სტილი არ გააჩნია. თუ ფილმის ეპიზოდში ტირილი მოუწევს, ის ღიმილით უბრუნებს გრიმიორს უკან ფელატინისგან დამზადებულ ხელოვნურ ცრემლებს, ცოტა ხნით განმარტოვდება და... აცრემლდება. კლინტ ისტვუდი ახლაც კი იხსენებს „მედისონის ოლქის ხიდების“ გადაღებებს, როცა ერთ რთულ ეპიზოდს რამდენიმე დღის მანძილზე იღებდნენ. ყოველ დღით მერილ სტრიპი გადასალბებ მოედანზე მიდიოდა და ტირიდა. მისი შემხედვარენი, ტირილს იწყებდნენ ჯერ ოპერატორი, შემდეგ ხმის ოპერატორი, ბოლოს კი თვით „რკინის“ ისტვუდი.

„სოფის არჩევანის“ (მისი მეორე ოსკარი) გადაღებისას მერილმა სრულყოფილად აითვისა უცხოური აქცენტი. მისი გმირი წარმოშობით პოლონეთიდან იყო და სტრიპი ფილმში მკვეთრი პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა. ლინგვისტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს არა რუსული ან ჩეხური, არამედ ზუსტად პოლონური აქცენტი იყო. „აქცენტების დარგში მთავარი სპეციალისტი“ – ჰოლივუდში მისი მეორე არაოფიციალური ტიტულია. პირველი კი ასე უღერს: „ჰოლივუდის ერთადერთი სერიოზული მსახიობი ქალი“.

თუმცა ამ ტიტულს მისთვის, ნერვიულობის გარდა, არაფერი მოაქვს. ყოველი ფილმის გადაღებას ის საშინლად განიცდის, ეშინია, რომ თავს ვერ გაართმევს როლს. საქმისადმი მისეული დამოკიდებულება ერთმა რეჟისორმა ასე გადმოსცა: „სამოთხე რეჟისორისთვის ის ადგილია, სადაც შეიძლება დაუსრულებლად იმუშაო მერილ სტრიპთან ერთად“.

მსახიობი ნიუ-ჯერსის შტატის პატარა ქალაქ სამიტში, 40-იანი წლების ბოლოს დაიბადა. მაშინ მას მერი ერტვა, მისი მეორე სახელი კი ლუიზა იყო. სწორედ ამ მეორე სახელის პირველი ასო – „ლ“ მიიმატა მან მოგვიანებით, როცა უკვე ვარსკვლავი გახდა. მამამისი, რომელიღაც

ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობდა, დედა კი სარეკლამო საქმეს მისდევდა. მერის ორი პატარა ძმა ჰყავდა, რომელთაც გოგონა სიამოვნებით უვლიდა. თავი საკმაოდ მახინჯად მიაჩნდა, სათვალესა და კბილების გასასწორებელ ფირფიტას ატარებდა. მას შურდა გამხდარი თანაკლასელი გოგონების და ძალიან განიცდიდა, გრძელი ცხვირი რომ ჰქონდა, უყვარდა ქვიშაზე ვალონით ფიგურების ხატვა და ფიქრებში გართულს, განმარტობდა. დედის ბროდვეის თეატრებში დაჰყავდა და ყოველი სპექტაკლის შემდეგ, გოგონა უფრო მეტად ეფლობოდა ფიქრებში. უეცრად მერიმ უარი თქვა ბატიბუტისა და ჰამბურგერების ჭამაზე, კბილებიდან ფირფიტა მოიძრო და თმა ქერად შეიღება. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ კოლეჯში სილამაზის დელოფლად აირჩიეს. ამას კი მისგან არავინ ელოდა.

პირველი ოსკარის მიღებამდე ჯერ კიდევ 12 წელი რჩებოდა. მან პრესტიჟული კოლეჯის დრამატული ხელოვნების და ინგლისური ენის ფაკულტეტი დაამთავრა და ფიქრობდა, თარჯიმანი გამხდარიყო, გაეროში დაეწყო მუშაობა, მსოფლიო ეხსნა და სამართლიანობისთვის ებრძოლა; სურდა, ცხოვრებაში რაიმე კონკრეტული, მნიშვნელოვანი საქმე ეკეთებინა, მაგრამ კერძოდ რა, თვითონაც არ იცოდა. ორი წლის მანძილზე ნამდვილი ჰიპების მსგავსად „ავტოსტოპით“ მოიარა ევროპა, ოფიციალურად იმუშავა პატარა ბარში და ბოლოს იელის უნივერსიტეტის თეატრალურ სკოლაში ჩააბარა. სწორედ ამ სკოლაში ამზადებენ ბროდვეისთვის მსახიობებს.

მეორე კურსზე სწავლისას ის იელის ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი გახდა. მიუხედავად გრძელი ცხვირისა, თითქმის ყველა სტუდენტურ დადგმაში მონაწილეობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ კი თეატრ „ფენიქსში“ მოეწყო.

მანჰეტენში, ბროდვეიზე მის პრემიერას მშობლებიც დაესწრნენ. ისინი სამიტიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ. დედა სიხარულისგან ტიროდა, ბედნიერი მამა კი გაურკვეველად ბუტბუტებდა რაღაცას. კრიტიკოსებმა ის „ტონის“ – თეატრალური

„ოსკარის“ ნომინაციაზე წარადგინეს. დაახლოებით ამავე დროს, მეზნებარე სიყვარულიც ეწვია.

ამ ამბავს 70-იანი წლების თითქმის ყველა გაზეთი აშუქებდა: სახელგანთქმული მსახიობის, რობერტ დე ნიროს მეგობარს – ჯონ კეზიელს, რომელიც „ნათლიაში“ ერთ-ერთ ძმას – ფრედო კორლეონეს ასახიერებდა, ახალი ამომავალი ვარსკვლავი შეუყვარდა, ყმაწვილი კი პირდაპირ გადასაღებ მოედანზე მოკვდა: ძვლის კბო ჰქონდა. დაავადებამ მოულოდნელად იჩინა თავი: „ირმებზე მონადირის“ გადაღების წინ ჩატარებულმა სავალდებულო სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა. დე ნირომ, რომელიც ფილმში მთავარ როლს ასრულებდა, განაცხადა, რომ უარს იტყოდა გადაღებაზე, თუ მის მეგობარს როლს არ მისცემდნენ. მერილ სტრიპმა კი, რომელიც ფილმში მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, სურვილი გამოთქვა, თავად გადაეკეთებინა სცენარი იმგვარად, რომ ჯონს ნაკლები დატვირთვა ჰქონოდა. ფილმის რეჟისორი, მაიკლ ჩიბინო დასთანხმდა, შეესრულებინა მსახიობების მოთხოვნები და კეზიელისთვის როლი შეენარჩუნებინა, თუმცა რეალური იყო იმის საშიშროება, რომ გადაღებების დასრულებამდე ვერ ეცოცხლა...

ჯონ კეზიელი „ირმებზე მონადირეში“ გადაიღეს, ფილმი კი მსოფლიო კინოს შედეგრი გახდა.

მერილს თავდავიწყებით უყვარდა ჯონი, ის კი ხელიდან ეცლებოდა. ქალს ამის წარმოდგენაც არ უნდოდა. ის ეძებდა „სასწაულო მოქმედ“ წამლებს, ყოველ თავისუფალ წუთს ჯონთან ერთად ატარებდა და სასწაულის სჯეროდა. გარშემომყოფთ სწორედ მერილის სულიერი ძალა აცვიფრებდათ. ის ზომ კეზიელის ცოლიც არ იყო და 30 წლის ასაკში ასე თავგამოდებით, ექთანვიით უვლიდა. ისინი ნახევარი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ ერთად, მაგრამ ეს უღამაზესი რომანი იყო...

მისი სიკვდილიდან სამი თვის შემდეგ, მერილ სტრიპი თავისი ძმის ახლობელს, მოქანდაკე დონალდ ჰაპერს გაჰყვა ცოლად. ალბათ ეს იმიტომ ჩაიღინა, რომ დარდისგან არ შემშლილიყო. ამის შემდეგ, ოც წელზე მეტია ერთად ცხოვრობენ, ოთხი შვილი ჰყავთ და სხვა რომანები არც ჰქონიათ. მართალია, დადიოდა ჭორები, თითქოს მერილ სტრიპით სერიოზულად იყო გატაცებული ლეონარდო დი კაპრიო (მათ ერთად ითამაშეს



პრადამი მოგზაურობისას შეიღებთან – ჰენრისა და მერისთან ერთად

ფილმში „მარვინის ოთახი“), კლინტ ისტვუდი (ერთად გადაიღეს ფილმში „მედისონის ოლქის ხიდები“) და პრაქტიკულად ყველა მისი პარტნიორი – ისინი კი, ჩვეულებრივ, მსოფლიოში სახელგანთქმული სუპერვარსკვლავები არიან, – მაგრამ ეს მხოლოდ ჭორები და უაზრო ლაქლაქი იყო. თვით ისტვუდმა აღიარა: „მე მერილით აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ მასთან რომანი?... სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია“.

პოლიგუდში მერილ სტრიპი იშვიათად და უხალისოდ მიემზავრება ხოლმე – ძირითადად მაშინ, როცა „ოსკარზეა“ წარდგენილი და იქ, გამოჩენაზე უარის თქმა, ძალზე უხერხულია. იმაზე ფიქრი კი, რა უნდა ჩაიცვას, გუნებას უფუჭებს და თავის ტკივილს იწვევს...

– ყველაზე ხშირად დონალდის მაისურები და სვიტერები მაცვია, ძალიან მოხერხებულია და ვერ ვგრძნობ, წონაში რომ მოვიმატე. კარგი კაბის საყიდლად დიდი დრო უნდა დახარჯო, მოუცლოლობა კი ჩემთვის პრობლემაა. საკუთარი დიზაინერის შერჩევა კიდევ უფრო რთულია და რამდენიმე წლის წინ, ვერა და ვერ მოვახერხე. ახლახან კი დონა კერანი გამაცნენ. მან თავის სტუდიაში მიმიყვანა და იქიდან, ჩემდა გასაოცრად, ახალი ტანსაცმლით გამოვედი. ძალიან მომეწონა მისი სტილი, ქალური და უბრალო, ყოველგვარი ზედმეტობისგან თავისუფალი. უკვე შემიძლია ამაყად ვუპასუხო ჟურნალისტების შეკითხვას: „დახს, მე დონა კერანთან ვიმოსება!“ სინამდვილეში კი მის მიერ შერჩეულ ტანსაცმელს სამ წელიწადში ერთხელ თუ ვიცვამ, რადგან ძირითადად, მაინც ჩემი ქმრის ტანსაცმლით დავდივარ...

მერილ სტრიპს სიცილიც უბრალო აქვს – არა „პოლიგუდური“. საინტერესოა, როგორ შეძლო მან ასეთი ბუნებრივი სიცილის შენარჩუნება?!

კლინტ ისტვუდთან ერთად ფილმში „მედისონის ოლქის ხიდები“



ყურმილი ავიღე. ზურას ნომერი აკრიბე. დედამისმა მიპასუხა.

- მერი დეიდა, გამარჯობათ.
- გაგიმარჯოს, ხვიჩა.
- ზურას თუ ღვიძავს, დამალაპარაკეთ.
- ახლავე.

დრო გაიწელა. დიდი ხანია ბავშვობის მეგობართან არ მისაუბრია და კიდევ დიდხანს არ დავურეკავდი, გურამი რომ არა.

- ბატონო! - გაისმა ყურმილში ბოხი ხმა.

- ზურა, გურამს უნდა შენი ნახვა, - ცოტა ხნით ვიყუჩე. მძიმე სუნთქვა მესმოდა. - მოვიდეთ?

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

- სიგარეტი წამომიღეთ, - მიპასუხა და ყურმილი დადო.

ორი დღის წინ მოვიდა გურამი ჩემთან. გვიანი იყო, დენი არ გვქონდა და ოჯახის წევრებს უკვე ეძინათ. კარზე კაკუნის ხმა გავიგონე. შემოსასვლელისკენ წავედი და გამოღებულ კარში მღვარ კაცს, სანთლის შუქზე დავაკვირდი. თავიდან ვერც ვიცანი: გამხდარა და გაჭაღარავებულა, ნატანჯი სახე ჰქონდა. არ მივსალმებივარ, ისე ვუთხარი - შემოდი-მეთქი. დერეფანი უხმაუროდ გავიარეთ და ჩემს ოთახში შევედით. ერთმანეთის მოპირდაპირედ ჩამოვსხედით. ხმას არ ვიღებდით არც ერთი. გურამმა სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან, მოუკიდა. ხელები უკანკალვდა. ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და ყველაფერი გამახსენდა.

მე, ზურა და გურამი ერთად ვიზრდებოდით და ერთ კლასშიც ვსწავლობდით. ზურა ჩვენ შორის ყველაზე ნიჭიერი და განათლებული იყო. გურამი კი შესახედაობით გვჯობდა ორივეს და ფიზიკურადაც ძლიერი იყო. პირველობა უყვარდა ორივეს და მათი მორიგება ხშირად მიწევდა. მე კი მათ ფონზე, დიდად არაფრით გამოვიჩნეოდი.

სკოლა დავამთავრეთ და ზურამ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. გურამმა ფიზკულტურის ინ-

სტიტუტში ჩააბარა, მე კი პოლიტექნიკური ვარჩიე.

კარგად მახსოვს ის დღე: ზურა ანთებული თვალებით მოვიდა. აღზნებული ლაპარაკობდა - ბიჭებო, მალე ჩვენი ქვეყანა თავისუფალი იქნება, ჩვენ დამოუკიდებლები ვიქნებითო... მე და გურამმა ბოლომდე ვერ გავიგეთ, რას გულისხმობდა, რამ ჩაუსახა ასეთი იმედი, მაგრამ მივხვდით, რომ რაღაც დიდი და საინტერესო ხდებოდა.

... 9 აპრილს, დილის ხუთ საათზე ამოვარდა ჩემთან გურამი.



გავიძარცვეთ?!

ლადო ნაპირელი

სოლოლაკის აღმართი ამოვრბინა, ძლივს სუნთქავდა. ეზოდან დამიძახა.

- ხვიჩა! ზურა მოვკებნოთ! ჩქარა ჩამოდი, ხვიჩა!

გამთენიისას ვიპოვეთ, სახეზე ფერი არ ედო. შეშლილივით იყურებოდა აქეთ-იქეთ. გახეთქილი შუბლიდან სისხლი მოსდიოდა. გურამს გადაეხვია.

- მხეცები არიან! ნამდვილი მხეცები! ჩვენს სისხლს არ შევარჩენთ, არა! - ცოტა ხნით იყუჩა, ყელში გაჩხერილი „ბურთი“ უშლიდა ლაპარაკს. - ხომ არ შევარჩენთ?!

- არა, არ შევარჩენთ! - უპასუხა გურამმა და მხარზე მოუ-

თათუნა ხელი.

ჩემთან ავიყვანეთ. რამდენიმე დღე თავზე ედგა გურამი.

მერე... რა იყო მერე?

ჰო, მერე გახარებული ზურა მახსოვს. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ჩემთან მოვიდა, გურამიც აქ იყო - ბავშვივით გახარებული, სულ იცინოდა. ქვეყნის საქმე მაქვსო - თქვა და მალევე წავიდა. მარტო დაგვტოვა სუფრასთან მე და გურამი.

ეზოში ჩასულმა კი ამოგვძახა:

- ჩვენ გავიმარჯვეთ!.. გე-

სმით! გავიმარჯვეთ! - და წავიდა.

ზუსტად არ მახსოვს, რა დღე იყო, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, დეკემბრის გვარიანად ცივი საღამო იდგა. თბილისში ტყვიების ზუზუნის ისმოდა. აივანზე ვიდექი. ეზოში მანქანა შემოვიდა. წინა კარიდან სამხედროფორმიანი, ახოვანი და წვერებიანი კაცი გადმოვიდა, ზემოთ ამოიხედა და სათვალე მოიხსენა. გურამი იყო.

- ამოვიდე, ძმაო? - უცნაურად მკითხა და თვალი ჩამიკრა.

მასავით გამოწყობილი ახალგაზრდები მანქანაში დატოვა და კიბეს ამოუყვა.

თვალეები ამღვრეული ჰქონდა.

– კაიფში ხარ, ბიჭო? – ვკითხე, ოღნავ გაღიზიანებულმა.

– ისე რა, ცოტათი, – გამიღიმა და შავ წვერზე ხელი მოისვა. – სხვანაირად ვერ იქნები, ძმაო, ისეთი დროა...

– რა ხდება, გურამ?!

– მშვიდობა. შენთან იმიტომ მოვედი, რომ ზურა გენახა: უთხარი, ჩამოსცილდეს იმ დიქტატორს და ჩვენ ამოგვიდგეს მხარში. მაგათი საქმე წასულია და ეგეც დაიღუპება. დროზე გადაწყვიტოს, თორემ... – თვალეები დააბრიალა – თორემ, მერე გვიანი იქნება. ჩემი იმედიც ნუ ექნება, არავის დავინდობ...

წავიდა. უბრალოდ თქვა და წავიდა.

კარზე ბრახუნის ხმამ გამომაღვიძა. იანვრის სუსხიანი დილა იყო. მტკვერში ამოსვრილი ზურა სახლში შემოვიყვანე. ცალი ფეხი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. საწოლზე დავაწვინე და ჭრილობა გადავუხვია.

ელვის სისწრაფით ვითარდებოდა თბილისში მოვლენები.

ეზოში დიდი სიჩქარით შემოვარდნილი მანქანის საბურავების ღრჭიალი გაისმა, აივნიდან გადავიხედე – გურამი იყო.

ზურას მივევარდი და სასწრაფოდ გადავმაღე ტანსაცმლის კარადაში.

გურამი რომ შემოვიდა, სახეზე გამარჯვებული კაცის დიმილი დასთამაშებდა.

– ხომ გეუბნებოდი – ჩვენ გავიმარჯვებთ! – გადამეხვია, – დედა ვუტირეთ!!

საწოლზე სისხლის ლაქები შენიშნა. იქვე ბამბის და ბინტის ნაჭრებიც ეყარა.

– იცი, რა, ხვიჩა, – ხმაბლლა ლაპარაკობდა, – ჩვენ რომ შატალოზე ვიპარებოდით, ახლა იმ გზით მოვედი – არავინ შემხვედრია, ბავშვობა გამახსენდა – გამიგე ალბათ, ხომ?!

მე და გურამმა საღამომდე მოვიცადეთ და ზურას სახლისკენ გავწიეთ.

სიბნელეში ერჩივნა გურამს

სიარული. ერთ დროს გალაღებულ-აღზნებულს ახლა ადამიანებთან შეხვედრის ეშინოდა: ძებნა იყო მასზე გამოცხადებული და სხვისი საბუთებით იმალებოდა.

კარი ზურამ გაგვიღო. ხელჯოხი ეჭირა: ციხიდან გამოსვლის შემდეგ მარჯვენა ფეხი ცუდად ემორჩილებოდა. ერთმანეთი უხმოდ გადავკოცნეთ და სასტუმრო ოთახში შევედით.

დაბალი მაგიდის გარშემო, სავარძლებში ჩავსხედით. დიდხანს ვერ ვიღებდით ხმას.

– ბიჭებო... – დაიწყო გურამმა. – მაპატიეთ, ვეღარ გავძელი...

თვალეებს ვერ გვისწორებდა, ხმა უცნაურად უთრთოდა. – უთქვენოდ ვეღარ გავძელი... დედის საფლავის სანახავად ჩამოვედი... თქვენთან ჩამოვედი... მომენატრეთ, თქვე ღმერთმაღლებო, თქვენა... – წყლიანი ჭიქა აიღო, მოსვა, – მაგრამ მგონი, აღარავის ვჭირდები... – თვალეებში ცრემლი ჩაუდგა.

ტელევიზორი თავისთვის ბუტბუტებდა, არავის ესმოდა მისი ხმა.

– გურამ! – ხმა ამოიღო ზურამ, – ჩემთან დარჩი... – ცოტა ხნით იყურა, – რაღაცას მოვიფიქრებთ...

ბიჭები ერთ ოთახში, ერთ სივრცეში იხსდნენ, მაგრამ ფიქრებით სხვადასხვა სამყაროში იმყოფებოდნენ.

– ჰო, ისევ ერთად უნდა ვიყოთ... – მე ვთქვი თუ სხვამ – არც ვიცი.

სასაუბრო აღარაფერი გვქონდა – ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით.

მოდულუნე ტელევიზორიდან გაურკვეველი ხმები ისმოდა, ეს კი ნამდვილად გავარჩიე. მერე სიტყვებსაც დაუვგდე ყური:

– ჩვენ სამართლიანად გავიმარჯვებთ! – ტრაბახობდა ვიღაც ფუნქციონერი.

ბიჭებს შევხედე – ორივეს ცრემლი უბრწყინავდა თვალეებში და ყბები უკანკალებდა.

ეებს...

რეაქციონერული უაზრობა



ვარდთა და ნეხვთა ვინათვან მზე სწორად მოეფინების, დიღთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!

შოთა რუსთაველი

ვინც სათნოებას თესავს, დიდებას იმკის.

ლეონარდო და ვინჩი

პირველი და უკანასკნელი, რაც გენიოსს მოეთხოვება, ესაა ჭეშმარიტების სიყვარული.

გოეთე

ვისაც ძალუმს – აკეთებს, ვისაც არა – ასწავლის.

ჯორჯ ბერნარდ შოუ

ღვინის ხარისხის და ხანის გასაგებად ხელადა ფსკერამდე უნდა დაცალო.

ოსკარ უაილდი

არავინ არა დაზღვეული, რომ სისულელე თქვას, მაგრამ ცუდია, როცა მას მოფიქრებულად ამბობენ.

მიშელ მონტენი

პოეტი – უცვლელი სიდიდეა.

ალექსანდრ ბლოკი

ვიდრე ორივე მხარეს არ მოუსმენ, განაჩენს ნუ გამოიჭან.

კლეობულ როდოსელი

ცხოვრება კარგია...

მაგრამ კარგი ცხოვრება უკეთესია!

გეორგი ვიცინი და იური ნიკულინი

LAMBORGINI-ს მფლობელი გერმანული კონცერნი VOLKSWAGEN-ი DIABLO-ს ახალი მოდელის გამოშვებას გეგმავს, რომლითაც FERRARI-ს ბაზრიდან სუპერმანქანების შევიწროებას აპირებს.

1963 წელს შექმნილი „ლამბორგინი“ თავიდანვე სერიოზულ კონკურენტად მოეწინა „ფერარის“. ახლა კი, როცა „ფოლკსვაგენის“ სახით უმძლავრესი მფარველი გამოუჩნდა, რომელიც თავის მხრივ ცდილობს, სუპერავტომობილების მწარმოებელი კომპანიის სტატუსი შეინარჩუნოს, „ლამბორგინის“ სურს, თავისი ახალი – „დიაბლოს“ მოდელით ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი წაართვას იტალიელ მეზობელს.

საავტომობილო გიგანტ FIAT-ში შემავალი „ფერარიც“ არ აპირებს პოზიციების დათმობას და სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც ქმნის ახალ მოდელს.

ახალი „ლამბორგინი“, რომლის კოდი ნიშანია 147, „დიაბლოს“ ამჟამინდელ ვერსიაზე გაცილებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა. ამ მოდელის შესახებ მწარმოებლები უკვე საკმაოდ ომახიანი განცხადებებით გამოვიდნენ, პრესაში კი მისმა ჯაშუშურად გაკეთებულმა ფოტოსურათებმა „გააჟონა“. თუმცა ამ, ფაქტობრივად სარბოლო ავტომობილის წარმოება 2001 წლის დამლევს ან 2002 წლის დამდეგს დაიწყება. ახალი 6 ლიტრიანი, 12 ცილინდრიანი, V ძრავა 670 ცხ. ძალას განავითარებს, რაც ასეულობით აღემატება კომპანიის წინამორბედ ფავორიტს – „დიაბლო“ GT-ის აგრეგატის სიმძლავრეს. ტიტანის შენაღობით გამოყენებამ, კიდევ უფრო მეტი მდგრადობა შესძინა ძრავის ნაწილებს.

წინამორბედის მსგავსად, ავტომანქანა სრულამძრავიანი იქნება. როთუ-



იტალიური „ემმას“ აგხესია

ლი ტრანსმისიის მიუხედავად, „ემმას“ მაქსიმალური სიჩქარე 360 კმ/სთ ექნება.

ახალი „ლამბორგინის“ უპირატესობა ორი მიმართულებით არის გამოხატული: დაგეგმილია არა მარტო ზემდგომი 12 ცილინდრიანი ვერსიის შექმნა, არამედ „მოკრძალებული“ – 4 ლიტრიანი 10 ცილინდრიანი ვარიანტის წარმოებაც, რომელმაც ფირმის ხელმძღვანელობის ვარაუდით, PORSCHE 911 TURBO-სა და FERRARI-ს პირდაპირი კონკურენტი იქნება.

ბრიტანული ჟურნალის AUTOCAR ინფორმაციის თანახმად, მანქანის დიზაინი, ფირმა BERTONE-ს სადიზაინერო დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პეტერ შრეერის მეურვეობით, იტალიურმა საძარე ატელიემ AUDI-მ შეიმუშვა.

„დიაბლოს“ კორპუსი ნახშირბადიანი ბოჭკოსაგან არის დამზადებული და მხოლოდ სასურავი აქვს ფოლადის – იმის გამო, რომ ავტომობილის შასის სტრუქტურის ნაწილს წარმოადგენს და ამდენად, მეტი დატვირთვა აქვს. კარი ალუმინის გამოყენებით

არის დამზადებული, რაც უსაფრთხოების მოთხოვნებს პასუხობს.

მანქანის დიზაინის მთავარი ცვლილება ჰაერშემწოვებს უკავშირდება: ისინი საგრძნობლად გადიდდა, რაც სამუხრუჭე დისკების ზომის რამდენიმე სანტიმეტრით გაზრდამ განაპირობა.

შეცვლილია სალონის დიზაინიც: სავარძლების „სამოსი“ ხელით არის შესრულებული, წინა პანელში კი დამატებულია სხვადასხვა ელექტრონული სისტემით მართვის ხელსაწყოები, მათ შორის კლიმატ-კონტროლი.

გარდა ამისა, სალონი გაცილებით მოცულობითი გახდა. თავისუფალი სივრცე განსაკუთრებით გაფართოვდა საპედლე კვანძის არეში.

ბევრი სიახლე, რომელიც ახლა „ლამბორგინის“ აქვს, სტანდარტულ კომპლექტაციაში შევა. მათ შორისაა, მაგალითად, ტყავის სავარძლები, „მეტალიკის“ ფერი და ელექტრონული საკიდრის მართვის ახალი სისტემა, რომელმაც საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს ავტომობილის მოძრაობის ხარისხი, განსაკუთრებით მოსახვევებში.

საოცარი იყო ცნობა, რომელიც ახალ მოდელზე გაკეთებული განცხადებების ბოლოში იყო მოთავსებული: მანქანა უფრო იაფი ელირება მთელი 25%-ით!

ცხადია, ეს მიზანმიმართული სვლაა კომპანიისა, რომელიც სერიოზულად აპირებს, სპორტული ავტომობილების მწარმოებელ სხვა ფირმებს, ბაზრის ამ სექტორის დიდი „ნაჭერი“ გამოსტაცოს ხელიდან.



„დაიმდეხ-ქაინდეხის“ ხეცხო-მოდელები

რეტრომ ამ სახელგანთქმულ კომპანიასაც მოუტანა ახალი წარმატებები. მაგალითად, ეს ითქმის CHRYSLER PT CRUISER-ზე, რომელსაც აშშ-ის 2001 წლის ავტომობილს უწოდებენ.

სავსებით შესაძლებლად მიაჩნიათ აგრეთვე, სერიულ წარმოებაში ახალი მოდელის – DODGE SUPER 8 HEMI-ს ჩაშვება. 50-იანი წლების მანქანების ეს სტილიზებული კონცეპტი V8 მძლავრი ძრავით არის აღჭურვილი, გარდა ამისა, უძვირფასესი ხელსაწყოთა პანელითა და სახურავზე გაკეთებული დიდი, გამჭვირვალე ლუკით გამოირჩევა.



ახალი Freelander



დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა LAND ROVER FREELANDER-ის ახალი ვერსიის წარდგენა, რომლის წინამორბედი, ევროპაში პირველად, ოთხი წლის წინ იხილეს და მას შემდეგ ბევრი ცვლილებაც განიცადა. სწორედ ეს ცვლილებები დაედო საფუძვლად 2002 წლის მოდელს.

ეს ავტომობილი წლეულს, მეოთხე კვარტალში გამოჩნდება სავაჭრო ქსელებში. მას ოთხი კარი და 2,5 ლიტრიანი V6 ძრავა ექნება, რომელიც 175 ცხ. ძალას განავითარებს.

სტანდარტულ კომპლექტაციაში, ოთხივე წამყვანი თვალი, ოთხივე ბორბლის წვეის კონტროლი, ABS-ი, ხუთსაფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი და HILL DESCENT CONTROL (HDC) სისტემა შედის.

ახალი მოდელი რაიმე ახალი დიზაინით არ გამოირჩევა – მასში მკაფიოდ არის გამოხატული კონსერვატიული ინგლისური დიზაინის თავისებურებები.

გერმანული საავტომობილო გიგანტი Mercedes-ი მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს. ახალი მოდელების შექმნის გარდა, შტუტგარტელი კონსტრუქტორები „ძველი“ მოდელების გადაკეთება-მოდერნიზაციასაც დიდ ყურადღებას უთმობენ. მაგალითად გამოდგება ასეთი ძველ-ახალი SLK, რომელშიც საკმაოდ იგრძნობა მაკლარენ-მერსედესის ფორმულა-1-ის ბოლიდის გავლენა. მაგალითად, მანქანის წინა ნაწილი უფრო კონუსური და ამდენად წინსწრაფულია. ხოლო უკანა ნაწილი კი უფრო გლუვია, ვიდრე წინა მოდელისა. ამ მანქანას სპეციალურად მამაკაცებისთვის ქმნიან და ამიტომ მის იერში მეტი აგრესიულობა და ძალა იგრძნობა, ვიდრე მის წინამორბედში. მომხმარებელი ამ მოდელს 2003 წელს მიიღებს.

Mercedes-ი მხოლოდ მამაკაცებისთვის



ლუკრეციას მამა, სიმდიდრესა და დიდებაზე დახარბებული აზნაური როდრიგო ლენცუოლი ბორჯა, შემდგომში პაპი ალექსანდრე VI, სამშობლოში – ვალენსიაში ცხოვრებისას გაუმიჯნურდა ახალგაზრდა ქვრივ ელენა ვანოცის, რომელსაც ქმრის მკვლელობაში ედებოდა ბრალი. ელენას ორი ქალიშვილი ჰყავდა: უფროსი – მეტად შეუხედავი, რომლის სახელიც უცნობია და უმცროსი – ძალზედ მომხიბვლელი როზა, რომელმაც დედის დანაშაული უწყოდა და საყვარელი მამის გამო შურის საძიებლად შესაფერ მთმენტს ელოდა... როზა დღითი დღე მშვენიდებოდა, ბოლოს და ბოლოს, მისი სილამაზით მოხიბლულმა როდრიგო ბორჯამ გერს მასთან სარეკლის გაყოფა მოსთხოვა. თქვენ წარმოიდგინეთ, გოგონა სულაც არ აღაშფოთა ამ შეთავაზებამ და მაშინაცვალს მშვიდად უპასუხა: „სანამ დედაჩემი ცოცხალია, შენთან ვერ დავწყვიტო“.

მეორე დღეს ელენა ვანოცი მოულოდნელად გარდაიცვალა – საყვარელმა საწამლავე დააღვინა. უფროს დას მონასტერში უკრეს თავი, ხოლო როზა როდრიგოსთან დარჩა.

7 წლის განმავლობაში მიჯნურების ბედნიერებისათვის ხელი არაფერს შეუშლია. 1455 წელს კი როდრიგოს ბიძამ, კარდინალ ალფონსო ბორჯამ (პაპი კალიქსტ III) ძმისწული თავისთან მიიხმო. როდრიგო რომში გაემგზავრა. რამდენიმე ხანში კი (როცა კარდინალის წოდება მიიღო), როზა ვენეციაში გადაიყვანა. ვენეციაში ქალმა თავის მფარველს სამი ვაჟი – ფრანჩესკო, ჩეზარე, ჯოვანი და ქალიშვილი – ლუკრეცია აჩუქა. ლუკრეციამ შესანიშნავი განათლება მიიღო. თერთმეტი წლის ასაკში უკვე სრულყოფილად ფლობდა „სიკეკლუცის ხელოვნებას“. მშობლები აღფრთოვანებული შეჰყურებდნენ უმშვენიერეს ქალიშვილს და თავიანთი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად მისი ღვთაებრივი სილამაზის გამოყენებაზე ოცნებობდნენ.

ერთ-ერთ წვეულებაზე ლუკრეციას ყურადღება მიიპყრო ლამაზმა ყმაწვილმა – მარჩელო კანდიანომ. მომდევნო წვეულებაზე მარჩელო აღარ მოსულა: ვანოცის სასახლიდან გასვლისას, უცნობმა მკვლელმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ლუკრეციამ ერთი ამოიოხრა და მაშინვე არშიყი დაუწყო ფერარელ აზნაურს ნიკოლო დალბერჯეტის, რომელ-



ენით აუწერელი სილამაზით, გარყვნილებითა და დაუნდობლობით განთქმული იმპერატორ ალექსანდრე VI-ის ქალიშვილი და ჩეზარე ბორჯას და — ლუკრეცია ბორ-

ჯა ხელოვნებისა და ლიტერატურის მფარველადაც ითვლებოდა, განსაკუთრებით კი იმ პერიოდში, როცა ფრანსის პერცოგის — ალფონს დესტეს ცოლი გახლდათ.

იც ცხოვრებულ კანდიანოზე ორჯერ უფროსი, მაგრამ ორჯერ უფრო მდიდარიც იყო. გამოცდილი თაყვანისმცემელი უფრო „მიმწოლიც“ აღმოჩნდა და მომდევნო ღამით მან ლუკრეციას საძინებელში შეღწევა მოახერხა. მაგრამ გვერდითა ოთახში ამტყდარი ხმაურის გამო, ვერაფერი მოახერხა და ქუჩაში გასულს უცნობმა ხანჯალი ჩასცა.

ვინ იყო ეს ცივისსხლიანი მკვლელი, რომელიც აგრეირად თავგამოდებით იცავდა ყმაწვილი ქალის უმწიკვლობას?

დალბერჯეტის წასვლის შემდეგ გოგონამ სწრაფად გაიხადა, სარკმელთან დაჯდა და ფიქრებში იმ სცენას დაუბრუნდა, რომლის დასასრულიც ასე ძლიერ სწყუროდა. უცებ ქალს ვიღაც შემოეხვია... ეს ვიღაც, მისი ღვიძლი ძმა ჩეზარე აღმოჩნდა. თავდაპირველად ლუკრეციამ ძმის მკლავებს თავი დააღწია, მაგრამ ჩეზარე მუხლებზე დაეცა, დას სიყვარულში გამოუტყდა და მისი ორივე თაყვანისმცემლის მკვლელობა აღიარა... ჩეზარე დის პასუხს ელოდებოდა. უეჭველია, ნებისმიერი სხვა გოგო ლუკრეციას ადგილზე, ძმასთან დაწოლას სიკვდილს ამჯობინებდა, მაგრამ ლუკრეცია დედის „ღირსეული“ მემკვიდრე

გახლდათ – ჩეზარე ლამაზი, ჭკვიანი და მოხერხებული ყმაწვილი იყო და ის, რომ მათ ძარღვებში ერთი სისხლი ჩქეფდა, ქალს ოდნავაც არ აღეღვებდა.

ის იყო, და-ძმა ვნებას მიეცა, რომ ოთახში უფროსი ძმა – ფრანჩესკო შემოვიდა.

როგორც გაირკვა, ძმები ერთსა და იმავე ქალს ეტრფოდნენ და ერთსა და იმავეზე ოცნებობდნენ. იმ ღამის შემდეგ ფრანჩესკომ და ჩეზარემ ერთმანეთი შეიძულეს, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ „მოსიყვარულე“ დის სარეცელი გაენაწილებინათ. ამ კავშირიდან (გნებავთ კავშირებიდან) ლუკრეციას ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც როზა ვანოციმ სასწრაფოდ ვერონაში, გლეხის ოჯახში უკრა თავი. ხოლო ახალი სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, როდრიგოს, ჩეზარე – პიზის, ხოლო ფრანჩესკო – პადუის უნივერსიტეტში, მაცდური დისაგან შორს, გააშვებინა.

თავად როდრიგო რომში გადასახლდა და ნამუსშერცხვენილი ქალიშვილის გათხოვებაზე დაიწყო ზრუნვა. მშობიარობის შემდეგ ლუკრეცია უფრო მეტად დაშვენიდა. ღვთაებრივი სილამაზის ქალიშვილი, სულ უფრო და უფრო იზიდავდა მამის ყურადღებას... ახლა როდრი-

გო მასში მხოლოდ და მხოლოდ ქალს ხედავდა. ის ყველაზე მოსიყვარულე თაყვანისმცემლად გადაიქცა – მაცდუნებელ გოგონას ნაირ-ნაირი ძვირფასი საჩუქრით ათამამებდა და ნებისმიერ კაპრიზს უსრულებდა. ლუკრეციაც, ჭეშმარიტი კურტიზანის მსგავსად, მამას ძღვენის შესაბამისი რაოდენობის და ღირებულების სიყვარულით ავიღლოვდა.

1492 წელს როდრიგომ ქალიშვილი არაგონელ აზნაურს – დონ ესტებანს მიათხოვა, რომლის ერთადერთი ღირსება ახალგაზრდობა იყო. ამავე წელს მოხდა ერთი ისეთი მოვლენა, რომელმაც ბორჯას ოჯახი დიდების კვარცხლბეკზე აიყვანა. II აგვისტოს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პაპი ინოკენტი VIII და პაპის ტახტი, ალექსანდრე VI-დ წოდებულმა როდრიგომ დაიკავა.

პირველ რიგში, როდრიგომ შვილებზე იზრუნა. ფრანჩესკოს განდის საჭერცოგო უბოძა, ჩეზარეს კი – ვალენტინუა (ჯოვანიზე, მცირეწლოვნების გამო, ჯერჯერობით არავინ ფიქრობდა).

განსაკუთრებული მზრუნველობა კი, ახალმა პაპმა საყვარელი ქალიშვილის მიმართ გამოიჩინა – ცნობილი „ბორჯას საწამლავის“ მეშვეობით, თავიდან მოიშორა დონ ესტებანი, რომელიც აშკარად აღარ გამოდგებოდა რომის პაპის სიძის როლში და ლუკრეცია პეზაროს მფლობელს, ალექსანდრეს სფორცას შვილიშვილს – ჯოვანი სფორცას მიათხოვა.

ფრანჩესკომ და ჩეზარემ იფიქრეს, რომ ლუკრეცია თავისი ნებით გათხოვდა. ჩეზარემ დას შეახსენა, რომ მოკლავდა ყველას, ვინც მისი საყვარელი ქალის დაუფლებას შეეცდებოდა – ორწლიანმა განშორებამ მისი გიჟური ვნება ვერ გაანელა. გააჩნდა ლუკრეციას ნახი გრძნობა ქმრის მიმართ, თუ, უბრალოდ, მისი მოშორება სურდა – არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ქალმა სფორცას ისეთ მუქ ფერებში დაუნახა მოსალოდნელი თავდასხმა, რომ საბრალო ჯოვანი სფორცა გაიქცა და გადაწყვიტა, აღარასოდეს დაბრუნებულიყო ოჯახში, სადაც ადამიანთა მოწამელა და მოკვლა უკვე ჩვეულებად გადაჰქცეოდათ.

„ჩალის ქვრივად“ დარჩენილი 15 წლის ლუკრეცია მამისაგან უზარმაზარ თანხას ღებულობდა და დელპელეგრინოს ქუჩაზე მდებარე საკუთარ სასახლეში თავისუფლებით ტყ-

ბებოდა. მის სასლში თავმოყრილი იყო ყველაზე ძვირფასი საუცხოო ნივთები, იქ ნებისმიერი პატარა სამშენისიცი კი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ლუკრეცია აუცილებლად გააკოტრებდა მამას, რომ არა უზარმაზარი ქონება, რომელსაც ეს უკანასკნელი, ხანჯლითა და საწამლავეთ იხვევდა.

ერთ საღამოს, დის საძინებელში შესულ ჩეზარეს (და-ძმამ ახლო ურთიერთობა აღადგინა), იქ ფრანჩესკო დაუხვდა. გაირკვა, რომ ლუკრეცია საყვარელს ელოდებოდა და ძმებმა, სანამ იდუმალ მოწინააღმდეგეს არ იხილავდნენ, ოთახიდან გასვლა არ ინებეს და ზღურბლზე მამა გამოჩნდა...

ლუკრეცია უპირატესობას უფროს ძმას ანიჭებდა. 1497 წელს თავისი ავხორცობის დასაკმაყოფილებლად, მან განაცხადა, ცოდვების მოსანანიებლად წმ. სიქსტის მონასტერში მივიდვარო, მაგრამ ჩეზარეს ეჭვი ღრღინდა და უფროს ძმას მოთვალთვალე მიუჩინა. მალე მას აცნობეს, რომ ფრანჩესკო ყოველ დამეს მონასტერში ატარებდა. ჩეზარემ უმოწყალოდ იძია შური – ძმა მოკლა, გვამი ტიბრში გადაავლო, თავად კი ნეაპოლში გაემგზავრა.

ფრანჩესკოს სიკვდილი მეხვიით დაეცა ბორჯას ოჯახს – ყველამ კარგად იცოდა მკვლელის ვინაობა. ალექსანდრე VI-მ გულწრფელად დაიტირა შვილი, რომლის სიკვდილმაც მრავალი გეგმა

ჩაუშალა. სამი დღე და ღამე პაპი ოთახში ჩაიკეტა, აღარავის ღებულობდა და საჭმელზე უარს ამბობდა. ლუკრეციამ მონასტერი დატოვა და მამის „დასამშვიდებლად“ გამოემართა. მეოთხე დღეს მამამ ჩეზარეს რომში დაბრუნების უფლება მისცა და არა მარტო აპატია ფრანჩესკოს სიკვდილი, არამედ უფროსი შვილის მთელი ქონება და სამფლობელოებიც გადაულოცა. ეს უცნაური ტრიო II წლის განმავლობაში ბატონობდა პაპის ტახტზე. მხოლოდ როზა ვანოციმ ვერ აპატია ჩეზარეს პირველი შვილის სიკვდილი.

პაპის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად აუცილებელი იყო, ნეაპოლის მმართველ არაგონის დინასტიასთან დანათესავება. ამიტომაც ალექსანდრე VI-მ ყურადღება შეაჩერა მეფე ალფონს II არაგონელის ჩვილმეტი წლის შვილზე ჰერცოგ ბიშელზე (ალფონსი) და როდრიგომ, როგორც ყოველთვის, თავისას მიაღწია – ჰერცოგს თავდავიწყებით შეუყვარდა გარყვნილი ქალი. სექტემბერში მამამ ლუკრეციას და გაქცეულ სფორცას ჯვარი აპყარა და ქალიშვილი ყმაწვილ ალფონსის მიათხოვა. მაგრამ ჰერცოგს დიდხანს როდი მოუხდა ოჯახური ბედნიერებით ტკობა – მმართველმა ის მნიშვნელოვანი დავალებით 2 წლით ნეაპოლში გაგზავნა.

ქორწინების ხელშეკრულების თანახმად, ლუკრეცია სპოლეტოს მმართველი და ქალაქ სერმონეტოს მფლობელი გახდა, ხოლო თავად ვატიკანში, არაჩვეულებრივ აპარტამენტებში დასახლდა. დღისით თავს ნადირობითა და ხარების ბრძოლის ცქერით ირთობდა, ღამით, „მისი უწმინდესობის“ თანდასწრებით, მასკარადებსა და მეჯლისებს აწყობდა. ამ ენით უთქმელი ფუფუნების შენარჩუნებას აურაცხელი ოქრო ესაჭიროებოდა და ოჯახმა იოლი გამოსავალი მონახა: საღამოებზე მიწვეული წარჩინებული დიდებულები მშვენიერი ლუკრეციას მიერ მიწოდებული თასიდან ღვინოს სვამდნენ და გაშლილი სუფრიდან წამოდგომას ვერ ასწრებდნენ, ისე იხოცებოდნენ, ზოგიერთებს კი ჩეზარე ხანჯლით კლავდა. დიდებულთა ქონების კონფისკაციას ალექსანდრე VI ახდენდა.

იმ პერიოდში, ალექსანდრე VI მთლიანად მოექცა ქალიშვილის გავ-



ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასხოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდე-
ბათ პასუხის გაცემა...

1. ვინ სტამბაში დაგაქდა აპაქი ნართელმა პირველად პომეა „ნათელა“, „თიბარ მიფა“ და „გამზრდელი“?



- ა) მიტროფანე ლალიძის;
- ბ) ძმები ზუბალაშვილების;
- გ) ღავით სარაჯიშვილის.

2. ნაოლეონ პონაპარტი ნახევარ მსოფლიოს პირდაპო- და იმას, ვინც:



- ა) ცხოვრებას უწინასწარმეტყველებ-
და;
- ბ) თმის ცვენას შეუჩერებდა;
- გ) ორგანოს ნახევარი წუთით გაუხ-
ანგრძლივებდა.

3. ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა „აბასკალმა და ეთერი“ მიუძღვნა:



- ა) მამას;
- ბ) შვილს;
- გ) დას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ლენის ქვეშ. ლუკრეცია აუდიენციაზე
იღებდა კარდინალებს, მონაწილეობას ღე-
ბულობდა ყველა პოლიტიკურ თუ საეკ-
ლესიო საქმეში, კითხულობდა მამის
წერილებს, ხელს აწერდა ბრძანებებს,
სჯიდა და აჯილდოებდა ქვეშევრდომთ.

ერთ მშვენიერ დღეს, ლუკრეციას
თვალში მოუვიდა ახალგაზრდა, ლამაზი
მილანელი ფაბრიციო ბაგლიონი. ჯიბე-
გაფხვივით ყმაწვილს აზრადაც არ მოს-
ვლია, თუ რა საფრთხეში ჩაივლო თავი,
როცა ბილწ ქალბატონს „სიყვარუ-
ლითვე“ უპასუხა. ერთი კვირის განმავ-
ლობაში „შეყვარებულებს“ არავითარი
დაბრკოლება არ შეხვედრიათ. მაგრამ,
როცა ეჭვიანმა ჩეზარემ მათი ურთიერ-
ობის შესახებ შეიტყო, დას მილანელ-
ის მიტოვება მოსთხოვა. ლუკრეცია
გაბრაზდა და ფაბრიციოს დაცვა მიუჩი-
ნა. მიუხედავად ამისა, ჩეზარემ ამჯერა-
დაც აჯობა დას, ყმაწვილს მოწამლული
ფორთოხალი აჭამა და საბრალო ბა-
გლიონი სიცოცხლეს გამოასალმა.
ლუკრეცია რამდენიმე დღე დამწუხრე-
ბული დადიოდა, მაგრამ ქმრის ჩამოსვ-
ლასთან დაკავშირებით მოწყობილმა
ზეიმმა მწუხარება გადაავიწყა.

საფრანგეთის მეფე კარლ VIII-სთან
მეგობრული ურთიერთობის დამყარების
გამო, ბორჯას ოჯახს ნეაპოლიტანურ
დინასტიასთან ნათესაობა აღარ აწყობდა,
ანუ ლუკრეციას ქმარი აღარ ესაჭიროე-
ბოდა. 1500 წლის 2 იანვარს წმ. პე-
ტრეს ტაძრის კიბეზე ჰერცოგ ბიშელს
ოთხმა ნიღბიანმა ალყა შემოარტყა და
სასიკვდილოდ დაჭრა. ლუკრეცია მთე-
ლი თვე იცავდა და უვლიდა მეუღლეს.
ერთხელ, ავადმყოფის მოსანახულებლად
მისულმა ჩეზარემ საბედისწერო სიტყვები
წარმოთქვა: „რისი გაკეთებაც სადილზე
ვერ მოვასწარი, ვახშამზე უნდა დავას-
რულოთ“. რამდენიმე დღეში ჰერცოგი
ბიშელი თავისსავე საწოლში გაგუდეს.

მესამედ დაქვრივების შემდეგ, ლუკრე-
ციას ვაჟი შეეძინა. მოდენის არქივში
დაცულ ერთ საბუთში ალექსანდრე VI
ბავშვს ჩეზარეს შვილად მოიხსენიებს,
ხოლო მეთრეში თავისად აღიარებს.

ბიშელის სიკვდილიდან ერთი წლის
შემდეგ ლუკრეცია მეოთხე ქმართან, ფე-
რარის ჰერცოგ დ'ესტესთან ერთად, მის
მამულში გადასახლდა და სასახლის
გაუთავებელი ორგებით დაღლილმა,
წყნარ ცხოვრებას მიჰყო ხელი. იქ მან
შემოიკრიბა მხატვრები, პოეტები, მეც-
ნიერები და ხელოვნების დიდი მეცენატი

გახდა. უკანასკნელი მისი საყვარელი
გახლდათ ცნობილი პოეტი პეტრო ბემ-
ბო, რომელიც, წერილებით თუ ვიზუალურად,
ლუკრეციას გულწრფელად უყვარდა. მის
თავყანისმცემელთა რიცხვს მიეკუთვნე-
ბოდა სახელგანთქმული ლუდოვიკო არი-
ოსტოც, რომელმაც ალექსანდრე VI-ის
ქალიშვილს XIII საგალობელში „შმაგი
როლანდი“, ოქტავა მიუძღვნა, მაგრამ პო-
ეტის მიამბურმა აღფრთოვანებამ ქა-
ლის შერყეულ რეპუტაციას ჩირქი ვერ
ჩამორეცხა.

ალექსანდრე VI-ის (1503), როზა ვანო-
ცის (1504) და ჩეზარეს (1507) სიკვდი-
ლის შემდეგ, ლუკრეციას ქალიშვილი
გაახსენდა. მან მოძებნა მაციტელის
ოჯახი და ცხრაშვილი წლის წინ აღ-
საზრდელად მიბარებული ჯულიას ბედი
იკითხა. გლეხებმა მწუხარებით აუწყეს,
რომ მათი აღსაზრდელი გასულ ხუთშა-
ბათს, საღამოს 9 საათზე გარდაიცვალა.
ეს სწორედ ის დღე იყო, როცა დედას
პირველად გაახსენდა შვილი...

ლუკრეციას პიროვნება მუდამ იზ-
იდავდა მხატვრებს, პოეტებს, ისტორიკო-
სებსა და მწერლებს. დრამაში „ლუკრე-
ცია ბორჯა“ ვიქტორ ჰიუგომ კონ-
ტრასტული სახე შექმნა: „და მაინც, რა
არის „ლუკრეცია ბორჯა“? წარმოიდგი-
ნეთ, ზნეობრივი სიმამხინჯე, ყველაზე საზ-
არელი, ყველაზე მიუღებელი. მოათავსეთ
იგი იქ, სადაც ყველაზე ძლიერად გამ-
ოიკვეთება – იმ ქალის გულში, რომელ-
იც დაჯილდოებულია უნაკლო ფინიკური
სილამაზითა და მეფური მედიდურობით...
ახლა დაუმატეთ მთელ ამ ზნეობრივ
სიმამხინჯეს ყველაზე სუფთა გრძობა, რაც
შეიძლება ქალმა განიცადოს – დედო-
ბრივი გრძობა“.

ალექსანდრე დიუმა კი ლუკრეცია
ბორჯას ასე ახასიათებდა: „გონებით გარყვ-
ნილი, ტემპერამენტით ცოდვილი, პატივ-
მოყვარე ქალი, რომელსაც უყვარდა სია-
მოვნება, დითირამები, ოქრო, ძვირფასი
ქვები, აბრეშუმი, ფუფუნება და მდიდრუ-
ლი სასახლეები. ესპანელი – მიუხედა-
ვად ქერა კულულებისა, კურტიზანი –
მიუხედავად უცოდველი გარეგნობისა.
რაფაელის მადონას სახისა და მესალი-
ნას სულის მქონე ლუკრეცია, როდრი-
გოსათვის ძვირფასი იყო, როგორც შვილი
და როგორც საყვარელი – მასში, როგორც
ჯადოსნურ სარკვეში, ის თავისივე ვნებე-
ბისა და მანკიერების ანარეკლს ხედავ-
და“.

მონაგვალა ნატო ჩხაიძე



↗							↘	მან არ გაიტეხა ...	
	უფიცის გალერეის ადგილ-სამყოფელი		ფასიანი ქალაქის სახე						↖
↖			პოპულარ-ობის ხარისხი		ღვინის ღრისტარ-მხარულ-ღმერთი		↗		სლოტებში მიშველი სხეულის გამოსახულ.
		↖						↗	↘
↖	ნაპოლეონის პირადი მხატვარი		რაიონული ცენტრი საქართველოში		ბიძების შესარბილ-მოწყობელ-მანქანაში		↖	ბაიტის 1/8	
			↖						↖
	რომაელი ორატორი, მწერალი						↗		↖

მამცობით გამბედაობით გამოჩენული	საკონ-დიტრო ნაწარმი	პირველობა მეცნიერულ აღმოჩენა-ში	ყვავილი	აშშ-ს უდიდესი მდინარე					
↖				მოკოლა-დის მასალა				ჯუჯა ცხენი	მეფე მონაღ გალაქციუ-ლი გლეხი
სიმღერა ოპერაში				ლონდონის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა		„პარიზის ღვთისმშობ. ტაძარი“ (პერსონაჟი)	გერდას მძა (ზღაპარი)		... პეპერნი
↖			სპეციალ. სადგომი კინოგადა-ღებისთვის						
იაზონის გემი									
ანელი კას თავდ-აზნაურ. წოდება			კორეული საავტო-მობილო ფირმა						
თანამე-სუფრე (საბა)			ლოკუ-მენტების შემცველი საქალაქე			კუდი აღენი, ... ფეროუ			
↖		გარეული ვირი		სესხად აღებული ფული					
		საკონ-ტიუმე ქსოვილი							
↖									
	ორგანიზაც-სხვან მითავესე. განყოფილ.	ქლის ტანსამო-სის ნაწილი	ჯინსის ფირმა						

28-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ა; 4-ა.
 60-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-გ; 3-ბ.

კვირის (5 - 11 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

პირველი - 21/1-19/1



ამ კვირაში სასურველია, დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ახლობლები მოინახულოთ, სახლის რემონტის ჩატარება და ახალი ბიზნესის წამოწყებაც შეეძლიათ. ნუ გეწყინებათ, მაგრამ ამ დღეებში ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრას ნამდვილად ვერ შეძლებთ. ასე რომ, ჯერჯერობით ემოციებსა და გრძობებს მიენდეთ.

თხევამი - 20/1-20/11



თუ უბრალო, რიგითი თანამშრომელი ხართ, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ. აი, თუ ხელმძღვანელი მუშაკი ბრძანდებით, იცოდეთ, რომ ქვეშევრდომებს ვერანაირ დავალებას ვერ მისცემთ — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავში არაფერი მოგივათ, რადგან ახლა მთელი არსებით, სასიყვარულო გრძობებში ხართ ჩაფლული.

მშვიდი - 21/11-20/11



გეჩვენებათ, რომ სიტუაცია თქვენგან საგმირო საქმეებს, გადამჭრელ ნაბიჯებსა და სარისკო ავანტიურებს მოითხოვს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მსგავსი არაფერი მოიმოქმედოთ! ცდუნების დასაძლევად საუკეთესო წამალი თქვენთვის ახლა შრომა და, რაც უფრო მძიმე და მოქმანცველი იქნება სამუშაო, მით უკეთეს შედეგს გამოიღებს „მკურნალობა“.

კირი - 21/11-21/11



არაჩვეულებრივად ახერხებთ შემოქმედებითი აქტივობისა და კომერციული საქმიანობის შერწყმას, დიდ წარმატებასაც მიაღწევთ ნებისმიერ საქმეში და არა მარტო საქმეში — სიყვარულშიც გაგიმართლებთ, რადგან გულგრილს, უბრალოდ, არავის დატოვებთ.

პარნიკი - 22/1-21/11




სასიამოვნო, რომანტიკული კვირა გელით. სამუშაოზე სიამოვნებას მოგანიჭებთ კოლეგებთან და პარტნიორებთან ურთიერთობა (რაც, სხვათა შორის, მოგებთან გარიგებების დადებაში დაგეხმარებათ), ხოლო თავისუფალ დროს გული გაგიწევთ იმ ადამიანებისკენ, რომლებთანაც ტკბილი მოგონებები გაკავშირებთ.

მირნიკი - 22/11-22/11



ამ კვირაში ლოგიკური აზროვნების არაჩვეულებრივ უნარს გამოამჟღავნებთ. ყველაზე ჩახლართულ პრობლემებსა და ურთულეს თავსატეხებსაც კი გაუძველებით; მაგრამ უფრთხილდით საკუთარ ეგოცენტრიზმს. პარასკევისთვის კი, უმჯობესი იქნება, თუ გონებას დაასვენებთ და გულისთქმას მიენდობთ.

ლიმი - 23/11-23/11



ამჟამად თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი — ტელევიზორთან ჯდომაა. არავითარ შემთხვევაში, არ მიიღოთ მონაწილეობა არანაირ კონფლიქტში. გაუთავებელი საქმეებით ძალზედ გადაიღალეთ და თუ არ ამოისუნთქავთ, შესაძლოა, ყველაზე ძვირფასი — ჯანმრთელობა შეგერყვით. ამიტომ, ეს კვირა ოჯახის წევრებს დაუთმეთ და განიტვირთეთ.

ქალწული - 24/11-23/11



ყველაზე მხიარული წვეულებიდანაც კი გული შინისკენ მიგიწევთ. ამ კვირაში მხოლოდ შინ და მხოლოდ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში იგრძნობთ თავს კომფორტულად და მშვიდად.

სასწიმი - 24/11-23/11



თავს ძალა დაატანეთ და შეეცადეთ, გარშემომყოფთა ტკივილი გულთან ახლოს მიიტანოთ და შეძლებთ დაგვარად დაეხმაროთ მათ. პასუხისმგებლობით მოექიდეთ საერთო პრობლემებსაც და მთელი ტვირთი საკუთარ თავზე აიღეთ. თუმცა, სასწორებო, ცოტათოდენი ეგოიზმი თქვენც არ გაწყენდათ!

ღრიანიკი - 24/11-22/11



მშვიდი და უღრუბლო დღეები გელით. ახლა შეგიძლიათ ყოველგვარი წყენისა და საყვედურების გარეშე გადაჭრათ ნებისმიერი პირადი პრობლემა. განსაკუთრებულ სიამოვნებას კი კლასიკური მუსიკის მოსმენა, კარგი წიგნის წაკითხვა, საინტერესო ფილმის ნახვა და უბრალოდ, ბუნებაში გასიერება მოგგვრით. მაგრამ მაღალია ფიზიკური ტრავმის მიღების ალბათობაც.

მშვიდი - 23/11-21/11



ძალზედ სერიოზული და პრაქტიკული იქნებით, რამაც, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ — როგორც კოლეგებთან, ისე მეგობრებთან ურთიერთობაში. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწევთ საქმეში. მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც უნდა გაიღიმოთ.

თხის რქა - 22/11-20/11



ნაცნობ-მეგობრების წრის გაფართოება და განახლება არ გაწყენდათ. უარს ნუ იტყვით მიპატიჟებაზე და ელიტის ცხოვრების წესს დროის ფუჭ ხარჯვად ნუ მიიჩნევთ. გაუთვალისწინებელმა და მოულოდნელმა შეხვედრამ, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება.

ჩ უ კ ე ე გ უ კ უ გ ვ ქ ნ გ ლ უ გ უ ი უ დ უ კ

ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც ეშინიათ პასუხისმგებლობის და ცდილობენ, საკუთარი პრობლემები სხვებს მოახვიონ თავს. თქვენც მათ რიგს ხომ არ განეკუთვნებით? აღნიშნული ტესტი ამის გარკვევაში დაგეხმარებათ.

1. სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება მომავალი პროფესიის, მომავალი საქმიანობის არჩევის თაობაზე?

- ა) თავად მიიღეთ გადაწყვეტილება საკუთარი ხასიათისა და მონაცემების საფუძველზე;
- ბ) გაითვალისწინეთ მშობლებისა და ნათესავების რჩევა;
- გ) მხოლოდ ახლო მეგობრების რჩევა გაითვალისწინეთ.

2. რისი იმედი გქონდათ, როცა ამორჩეულ სასწავლო დაწესებულებაში ჩაბარება გადაწყვიტეთ?

- ა) საკუთარი თავის;
- ბ) იმედი გქონდათ, რომ გავიმართლებდით მისაღებ გამოცდებზე;
- გ) მხოლოდ ნაცნობების იმედი.

3. როგორ ემზადდებოდით სწავლის დროს გამოცდებისთვის?

- ა) საკუთარი შრომისმოყვარეობით;
- ბ) სთხოვდით დახმარებას თანაკურსელებს და ლექტორებს;
- გ) მუდამ სხვისი დახმარების იმედი იყავით.

4. როგორ მოეწვეთ სამსახურში?

- ა) განაწილებით;
- ბ) გამოიყენეთ გავლენიანი ადამიანთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია;
- გ) გავლენიან ნაცნობთა დახმარების წყალობით.

5. თუ სამსახურში რთულ სიტუაციაში აღმოჩნდით, როგორ იღებთ გადაწყვეტილებას?

- ა) მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე;
- ბ) იღებთ რჩევებს კოლეგებისგან;
- გ) ყოველთვის კოლეგების ჭკუაზე დადინართ.

6. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი ოჯახის შექმნისას?

- ა) თქვენ თავად მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება;
- ბ) გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევა;
- გ) თქვენი რჩეული წარუდგინეთ ნათესავებს და შემდეგ გაითვალისწინეთ მათი აზრი.

7. თუ თქვენი მეუღლე არ იმყოფება ქალაქში, შეგიძლიათ თუ არა დამოუკიდებლად



მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?

- ა) დიას;
- ბ) თქვენ ეს შეგიძლიათ, მაგრამ გირჩევნიათ, მაინც მეუღლესთან ერთად გადაწყვიტოთ;
- გ) ვერ გადაწყვეტთ დამოუკიდებლად.

8. რამდენად მტკიცედ იცავდით საკუთარ აზრს, როცა მოზარდი იყავით?

- ა) ყოველთვის თქვენს აზრზე რჩებოდით, თუნდაც ამას მშობლებთან კონფლიქტი მოჰყოლოდა;
- ბ) იცავდით საკუთარ აზრს, მაგრამ ამასთან, პატივს სცემდით და ითვალისწინებდით მშობლების შეხედულებას;
- გ) თავად არაფრის გადაწყვეტა არ შეგეძლოთ.

9. რამდენად მტკიცედ იცავთ ამჟამად თქვენს აზრს – შინ, სამსახურში ან მეგობართა წრეში?

- ა) მიუხედავად გარემოებები-

სა, აუცილებლად საკუთარ აზრზე რჩებით;

- ბ) უმეტეს შემთხვევაში, დაიცავთ;
- გ) იშვიათად დაიცავთ.

10. ვითარდებით თუ არა, როგორც პიროვნება სამსახურებრივ, საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ სფეროებში?

- ა) თავდავიწყებით ეძლევი საკუთარ პროფესიას;
- ბ) თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეუღლისა და ახლობლების შეხედულებები;
- გ) მთლიანად მეგობრების შეხედულებებს ეყრდნობით.

11. თუ ზედათ, რომ თქვენი ახლობელი ადამიანი ისეთ საქციელს სჩადის, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას, თქვენ:

- ა) აიძულებთ, თავს მოუაროს;
- ბ) ტაქტიკურად მიუთითებთ, როგორ უნდა მოიქცეს;
- გ) ცდილობთ მიუთითოთ, მაგრამ ეს არ გამოგდით.

ყოველი „ა“ პასუხი შეაფასეთ 4 ქულით, „ბ“ — 2-ით, „გ“ კი — 0-ით. დათვალით ქულები.

30-44 ქულა: თქვენ მეტისმეტად დამოუკიდებელი პიროვნება ხართ. ვერ იტანთ, როცა თქვენს საქმეში ერევნიან და სხვის უბრალო რჩევასაც კი არ ითვალისწინებთ. დარწმუნებული ხართ, რომ ყოველთვის შეძლებთ მოვლენების სწორად შეფასებას. მეტისმეტად ჯიუტი ხომ არ ხართ, რაიმე მიზნის მისაღწევად? დაისსომეთ, რომ საკუთარი ძალების რწმენა ზომიერების ფარგლებშია კარგი, თორემ ზედმეტი თავდაჯერებულობა შეიძლება ადამიანს ნაკლად ჩაეთვალოს.

15-29 ქულა: თქვენ მტკიცე ხასიათი გაქვთ და კარგად უმკლავდებით პრობლემებს. ამასთან, საიმედო

მეგობარი, ზომიერად თავდაჯერებული ადამიანიც ხართ. თქვენ დამოუკიდებლობა არ არის გამაღიზიანებელი, რადგან იმის უნარი გაქვთ, რომ ყური დაუგდოთ გარშემომყოფთ და საჭიროების შემთხვევაში, მათი აზრიც გაითვალისწინოთ. ახლობლები ძალიან გაფასებენ ამ თვისებების გამო.

0-14 ქულა: გადაწყვეტილების მიღება ძალიან გიჭირთ, ამიტომ მეტი დამოუკიდებლობა უნდა გამოიჩინოთ და გარშემომყოფებიც უფრო დაგაფასებენ. ეცადეთ, თავად გაუმკლავდეთ წამოჭრილ პრობლემებს და მეტად ირწმუნეთ საკუთარი ძალების.

XXI საუკუნის

სექსის ბრიტანული ფესტივალი, რომელიც ლონდონის „ოლიმპიადაში“ საუკუნეების მიჯნაზე მოეწყო, 2 დღეში 50.000-მდე მაყურებელმა მიინახა. თავიანთი პროდუქცია აქ 170-მდე დიზაინერმა, მხატვარმა, სექსუალური სათამაშოების და სამოსის მწარმოებელმა წარმოადგინა. დამთვალიერებლებს აოცებდათ სხვადასხვა ზომისა და ფერის ვიბრატორი და სხვა ნივთები, რომლებსაც აქამდე რატომღაც ეგონათ, რომ ისინი მხოლოდ შავი, ვარდისფერი ან კრემისფერი შეიძლება იყოს.

ფესტივალზე 15.000-ით მეტი ეროტიკული ატრიბუტი იყო წარმოდგენილი, ვიდრე ერთი წლის წინ. ჟურნალისტთა კომენტარით, როგორც ჩანს, ბრიტანელებს მობეზრდათ ევროპაში ყველაზე კონსერვატიული ერის სახელის ტარება და გადაწყვიტეს, ახალ საუკუნეში მაინც, საბოლოოდ გაფანტონ ეს მითი.



სექსი

მეფეზე ადიე გვიხაბში შესვდა ახ ებების

ნორვეგიაში გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სამანქანო გვირაბი, რომელიც დედაქალაქ ოსლოსა და ქვეყნის დასავლეთით მდებარე პორტ ბერგენს დააკავშირებს. მისი სიგრძეა 24,5 კმ (აქამდე ყველაზე გრძელი შვეიცარიის ალპებში მდებარე გვირაბი სენ-გოტარდი - 16,9 კმ).


ლაერდალის გვირაბი (მის ერთ მხარეს მდებარე ქალაქის სახელი) უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით აიგო: მისი კედლები ცეცხლგამძლე მასალით არის მოპირკეთებული, გვირაბში სულ 48 მოედანი-თავშესაფარია, ყოველ 125 მეტრში ცეცხლჩამქრობია დამაგრებული. საინტერესოა, რომ მის ოფიციალურ გახსნაზე, რომელშიც ნორვეგიის მეფეს, ჰარალდ მეხუთესაც უნდა მიეღო მონაწილეობა, რამდენიმე საათით ადრე, თავად გამოიცა და ახალი ნაგებობა: გვირაბის მე-12 კმ-ზე ცეცხლი გაუჩნდა ავტობუსს, რომელშიც 50 მგზავრი იყო. ხანძარიც სწრაფად ჩააქრეს და ხალხის ევაკუაციაც დროულად, ყოველგვარი დანაკარგის გარეშე მოახერხეს.

ყინულში „ჩაშენებული“



სწორედ ასეთი ექსპერიმენტით ალაპარაკა ხალხი 27 წლის ამერიკელმა ილუზიონისტმა დევიდ ბლეინმა, რომელმაც ნიუ-იორკის ცენტრში დაადგმუნა ყინულის უზარმაზარი ბლოკი და, სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილმა, 58 საათი დაყო მასში. ყინულის ორ შეერთებულ ნაჭერს შორის „ჩაშენებულ“ ბლეინს მიღებით აწვდიდნენ ჰაერსა და წყალს, მის სხეულზე მიმაგრებული ხელსაწყოები კი, ილუზიონისტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემებს აწვდიდა ექიმებს. მის გასათავისუფლებლად, მესამე დღეს ელექტროხერხით ყინულის გახერხვა მოუხდათ - დამტკრევის შემთხვევაში ბლეინს ხიფათი არ ასცდებოდა, რადგან სარკოფაგის მხოლოდ ერთი, ზედა ნაწილი 1 ტონამდე მაინც იწონიდა. ექსპერიმენტის ოფიციალური შედეგები, ილუზიონისტის ყოველსიმომცველი გამოკვლევის შემდეგ მოხდება. მაშინვე გაირკვევა, მოხდება თუ არა ეს ექსპერიმენტი გინესის რეკორდების წიგნში.

მი. მანამდე კი, დევიდ ბლეინმა მიიღო უცნობი მეცენატის დაპირებული 1 მლნ დოლარი და საცოლესთან ერთად თბილ ქვეყანაში გამგზავრებას აპირებს.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია


ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის - „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ჭკობების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა ელენე თევდორაძემ და ბატონმა კახა თარგამაძემ. ვულოცავთ ქალბატონ ელენეს და ბატონ კახას და ვუსურვებთ წარმატებებს!

მოთხრობიერებელი

(მკითხველის გარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისი განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (6 თებერვლის) 13 საათამდე.



ახლა მოდურია
„გოტფორტები“
და კოვზოური ჩემები,
პლატფორმები და
ოთხკუთხედსხვირიანი
თასებიანი „ბათინკები“,
გდაღმუნანი
მოსდანილი ჩემები...
მათი „მოდური
წარმომავლობა“
საუკუნეების
სიღრმედას იღებს
სათავეს...

გვ.32

ნილო
პათიაშვილი

650/7

ახალი
სახე



მოხილავო გოგონებო!

**ამ შეიქცავა თქვანი
ფოტო დაიბეჭდოს!**

თქვენი ფერადი სურათი,
საკონტაქტო ტელეფონის
მითითებით გამოგვიგზავნეთ
„კვირის პალიტრის“ საფოსტო
ყუთების საშუალებით.

**„კვირის“ ფოტოგრაფი
გზად არიან ახალი**

ფოტოსახევის შესაქმნელად!

მადლობას ვუხდით აგეჯის
სახელ „ბელუქს“
გაწეული დახმარებისთვის